საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

21 ივნისი **სამშაბათი** 2011

№ 143 (13440) ფასი 80 თეთრი


# წილი ნაყარია, ხვედრი ვნახოთ

ზესტაფონი-დაჩია (მოლდოვა)
დინამო-მილსამი (მოლდოვა)
ბანანცი (სომხეთი)-მეტალურგი
გაგრა-ანორთოსისი (კვიპროსი)



2-3

# შერმადინის მაქაბიადა: თბილისიდან თელ ავივამდე

11



# ტატიშვილის ისტორიული გამარჯვება




მიხეილ ქორქიას ფოტოები ლონდონიდან სპეციალურად „ლელოსთვის“

10

● ჩემპიონთა ლიგა. ზესტაფონის მეტოქე

ევროტურნირები

ევროპის ლიგა. მეტალურგის მეტოქე

# ჯაბა, დაგვიბრუნდი კიშინიოვში!

"ჯაბა დვალს უკვე დავურეკე და ვუთხარი, როგორც იქნა, კიშინიოვში ბრუნდები-მეთქი. მეც და მასაც ძალიან გვიხარია, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ ვითამაშებთ. მეორე მხრივ, "ზესტაფონი" საკმაოდ ძლიერი გუნდია, ფეხბურთელები დიდი ხანია ერთად არიან და შესანიშნავად შეთამაშდნენ. ზაგრების "დინამოსთან" შეხვედრა ძალიან არ გვინდოდა და კარგია, მას რომ ავცდით. ჩვენს წყვილში შანსები, ვფიქრობ, 50/50-ზეა. მძიმე ბრძოლა გველის, მიხარია, რომ პირველ მატჩს სტუმრად ჩავატარებთ", - ეს მოლდოვის განვლილი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის, "დაჩიას" ქართველი ნახევარმცველის **ლევან კორღალიძის** სიტყვებია.

კიშინიოვური კლუბის ღირსებას მის გარდა კიდევ ერთი ჩვენიანი – გამოცდილი ცენტრალური მცველი **დავით გამეზარდაშვილი** იცავს და ისიც ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ორივე "ზესტაფონის" ყოფილი ფეხბურთელია. კორღალიძემ იმერულ კლუბში ერთი სეზონი გაატარა გამეზარდაშვილმა – ნახევარი და ძირითად შემადგენლობაში ორივე იშვიათად ხვდებოდა. ვფიქრობთ, "ზესტაფონისა" და "დაჩიას" შესადარებლად ეს კარგი მაგალითია, მაგრამ მეტოქეს სათანადოდ შეფასება სჭირდება. შესაძლოა, "ზესტაფონი" წყვილის ფავორიტი იყოს, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ "დაჩიამ" ტირასპოლის "შერიფის" ათწლიანი ჰეგემონია დაამხო და თორმეტწლიანი ისტორიის მქონე კლუბმა პირველი ტიტული მოიგო.

სათაურში ნახსენები **ჯაბა დვალი** კი "ზესტაფონამდე" სწორედ "დაჩიას" წევრი იყო და თანამემამულეთა მსგავსად, მოლდოვაში მასაც წარმატებული კარიერა ჰქონდა.

"ზესტაფონი" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე უფრო სუსტ გუნდსაც შეიძლებოდა გადაჰყროდა, მაგრამ, მეორე მხრივ, პოტენციურ მეტოქეთა შორის "დაჩიაზე" უფრო უხერხული კლუბებიც იყვნენ. წილისყრამდე "ზესტაფონის" სავარაუდო მოწინააღმდეგეთა რაოდენობა ექვსამდე შემცირდა და არასასურველი კლუბები იქაც იყვნენ – "დაჩია", ვფიქრობთ, უნგრულ "ვიდეოტონსა" და აზერბაიჯანულ "ნეფთჩიზე" უკეთესი ვარიანტია. არც "ზესტაფონისთვის" ავადსახსენებელი "ტობოლის" მეტოქეობა გამოდგებოდა დიდად გასახარი. იდეალური კი ის იქნებოდა, საქართველოს ჩემპიონებს სანმარინოულ "ტრე ფიორისა" და მალტურ "ვალეტას" შორის გამარჯვებული შეხვედროდა. ექვს შესაძლო მეტოქეს შორის ეს წყვილიც იყო...

რამდენიმე დღის წინ **გია გეგუჩაძემ** "ლელოსთან" ინტერვიუში ისურვა, მის გუნდს პოსტსაბჭოური ქვეყნის წარმომადგენელი არ გადაჰყროდა. "ზესტაფონის" თავკაცის სურვილი არ ახდა, იგი უეფას ოფიციალურ ვებგვერდთან კომენტარში "დაჩიას" ასე აფასებს: *"ვფიქრობ, გუნდებს შემდეგ რაუნდში გასვლის თანაბარი შანსი აქვთ. მეტოქეს პატივს ვცემთ, მაგრამ ჩვენი მიზანი შემდეგ ეტაპზე გასვლაა. „დაჩიას" ორ ფეხბურთელს კარგად ვიცნობ – დავით გამეზარდაშვილიცა და ლევან კორღალიძეც ახლო წარსულში ჩვენი ფეხბურთელები იყვნენ. „დაჩიას" თამაში არასდროს მინახავს, სამაგიეროდ, კარგად ვიცი „შერიფის" ძალა. გამოდის, რომ "დაჩია" მასზე სუსტი არ უნდა იყოს".*

1999 წელს შექმნილი "დაჩია" თავიდანვე ანგარიშგასაწევ ძალად იქცა, მაგრამ "შერიფს" რეალურ პრობლემებს ვერ უქმნიდა. გარდამტეხი გასული სეზონი აღმოჩნდა, როცა დედაქალაქელებმა დნესტრისპირელებს 9 ქულით გაუსწრეს. "დაჩიას" 80-იანების ცნობილი რუსი ფეხბურთელი **იგორ დობროვოლსკი** წვრთნის, რომელმაც შარშანწინ თბილისიდან გამარჯვება წაიღო – მაშინ იგი მოლდოვის ეროვნულ ნაკრებს თავკაცობდა და ამხანაგურ მატჩში ექტორ კუპერის გაწვრთნილ საქართველოს სძლია.

**დაჩია (კიშინიოვი)**

დაარსდა 1999 წელს

სტადიონი: "დინამო" (3 ათასი მაყურებელი)

პრეზიდენტი: რუსტამ პოლონკოევი

მთავარი მწვრთნელი: იგორ დობროვოლსკი

ტიტული: მოლდოვის ჩემპიონი (2011)

"დაჩიადან" მოლდოვის ეროვნულ ნაკრებში სტაბილურად არავინ თამაშობს. ვექვობთ, გუნდში ქართველი გულშემატკივრისთვის ნაცნობი ფეხბურთელები იყვნენ. დობროვოლსკის გუნდს ქართველთა გარდა არაერთი ლეგიონერი ჰყავს – რუმინელი **ლუსიან დობრე**, ტოგოელი **აბდულჯაფარ მამა** (რომელსაც თავისი ქვეყნის ნაკრებში 40-ჯერ უთამაშია), მაკედონიელი **გორან დიმოვსკი**, ნიგერიელი **ბაბა კოლინზი**, განელი **ერიკ საკეი**, რუსი (უფრო კონკრეტულად - ჩეჩენი) **ისლამ ცუროევი** და ბელარუსი **ვადიმ ერჩიკი**.

"დაჩიას" ევროტურნირებზე 10 მატჩი აქვს ჩატარებული (2 მოგება, 4 ფრე, 4 მარცხი), პირველ ეტაპს კი ერთადერთხელ გასცდენია – შარშან ევროპის ლიგაზე ჩერნოგორიულ "ზეტას" აჯობა, მეორე რაუნდში კი შვედურ "კალმართან" დამარცხდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ბანანცს ლეგიონერების იმედიც აქვს

# მოგონებანი გქბილი და მწარე

**ბანანცი (სომხეთი)**

დაარსდა 1992 წელს

სტადიონი: ბანანცი (6 ათასი მაყურებელი)

პრეზიდენტი: სარგის ისრაელიანი

მთავარი მწვრთნელი: სტევიცა კუზმანოვსკი (მაკედონია)

ტიტულები: სომხეთის თასის ორგზის მფლობელი (1992, 2007)

"ბანანცმა" სომხეთის წინა ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა, ამჟამად კი იქაურ პრემიერლიგაში 13 ტურის შემდეგ ბოლოსწინა, მე-7 ადგილზეა. რუსთავის "მეტალურგი" ერევნულ გუნდთან დაპირისპირებაში ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა შესაძლოა, ქვემოქართლური კლუბი მედგარ წინააღმდეგობას წააწყდეს.

ქართველ გულშემატკივრებს "ბანანცთან" არცთუ სასიამოვნო მოგონებები აკავშირებთ. 2005 წელს თბილისის "ლოკომოტივმა" მას ერევანში 3:2 სძლია, თუმცა "მოახერხა", შინ 0:2 წააგო და უეფას თასს სამარცხვინოდ გამოეთიშა. "ბანანცზე" ერთი წლის შემდეგ ჯავრი ასევე დედაქალაქურმა "ამერმა" იყარა. მოვლენები ამ მატჩებშიც დრამატულად განვითარდა. "ამერი" თბილისში 0:1 დამარცხდა, სომხეთშიც 0:1-ს აგებდა, თუმცა ძალები მოიკრიბა და **რატი წინამძღვრიშვილისა** და **დენის დობროვოლსკის** გოლებით ერევნის "რესპუბლიკურზე" მეორე ტაიმში ორი გოლი გაიტანა – 2:1.

მაშინდელი "ბანანციდან" დღევანდელ გუნდში, ფაქტობრივად, აღარავინ შემორჩა. სამაგიეროდ, კვლავ კლუბშია მისი დამაარსებელი და პრეზიდენტი **სარგის ისრაელიანი**, რომელმაც "ბანანცს" მშობლიური სოფლის სახელი უწოდა.

გუნდის ლიდერია ბრაზილიელი თავდამსხმელი **ბრუნო სესარ კორეა**, რომელმაც ჩემპიონატის 12 მატჩში 5 გოლი გაიტანა. დაცვის ბურჯია ერთ დროს დონეცკის "მეტალურგში" ნათამაშები **არარატ არაქელიანი**, ნახევარდაცვაში კი სხვებთან შედარებით ცნობილი ვეტერანი **არტურ ვოსკანიანია**, რომელსაც რუსულ "ურალანსა" და კვიპროსის "ეთნიკოსში" უთამაშია, სომხეთის ეროვნულ ნაკრებში კი 51 შეხვედრა ჩაუტარებია. "ბანანცს" რამდენიმე ლეგიონერი ჰყავს, რომელთაგანაც ძირითადში სისტემატურად მხოლოდ კორეას თანამემამულე ნახევარმცველი **ბეტო** ხვდება.

ევროტურნირებზე "ბანანცს" 18 მატჩი აქვს ჩატარებული, საიდანაც 3 მოიგო (აქედან ორი – ქართველებთან), 2 ფრედ დაასრულა და 13 წააგო. კლუბს საევროთასო ეტაპი ერთადერთხელ გადაულახავს და ისიც – ჩვენს "ლოკომოტივთან". შარშან ერევნელები ფამაგუსტის "ანორთოსისთან" ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე შინ 0:1, ხოლო სტუმრად 0:3 დამარცხდნენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



● ზესტაფონი

# ავსტრია რუმინულად დაიწყება

დღეს, გამთენიისას "ზესტაფონი" ავსტრიულ შეკრებაზე გაემგზავრა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** 23 ფეხბურთელი შეარჩია.

მეკარეები: **როინ კვასხვაძე, ზურაბ მამალაძე, კახაბერ მეშველიანი;**

მცველები: **გიორგი ხიდეშელი, გიორგი ონიანი, ზაალ ელიავა, მამუკა კობახიძე, თეიმურაზ ღონღაძე, მალხაზ გაგოშიძე;**

ნახევარმცველები: **მურთაზ დაუშვილი, ალექსი ბენაშვილი, თორნიკე გორგიაშვილი, ირაკლი ძარია, შოთა გრიგალაშვილი, შოთა ბაბუნაშვილი, თორნიკე აფციაური, გიორგი ჭანკოტაძე, როსტომ გეწაძე, მიხეილ სარდალიშვილი;**

თავდამსხმელები: **ნიკოლოზ გელაშვილი, ჯაბა დვალი, საბა ლომია, რატი წინამძღვრიშვილი.**

"ზესტაფონი" შეკრებაზე ოთხ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. საქართველოს ჩემპიონთა პირველი მეტოქე 23 ივნისს ბუქარესტის "სტიაუა" იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სიტუაცია

# ბოლქვაძე თავისუფალია

## სპარტაკმა უპრობლემო ფურცელი მისცა

ახლახან ვწერდით, რომ ცხინვალის "სპარტაკმა" **ვალერი ბოლქვაძე** ტრანსფერზე დააყენა. 23 წლის პლეიმეიკერს შეჰპირდნენ, რომ გათავისუფლების ფურცელს უპრობლემოდ მისცემდნენ.

*ასეც მოხდა, საბუთში წერია, რომ ჩემში არანაირ საფასურს არ მოითხოვენ. ეს გუნდის ძებნაში ხელს შემიწყობს. საკომპენსაციო თანხა რომ მოეთხოვათ, ეს ბევრად გამიძნელებდა საქმეს"* – გვითხრა ბოლქვაძემ.

ვალერის თქმით, მისით უკვე რამდენიმე გუნდი დაინტერესდა, თუმცა მათ ჯერ არ აკონკრეტებს - ყველაფერი უახლოეს დღეებში გადაწყდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ლიგა. დინამოს მეტოქე

# გარსია ფრთხილობს და იმედოვნებს: შანსები თანაბრად, ქომაგი მრავლად

სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ, ჩვენი აზრით ქართული გუნდებიდან შედარებით ყველაზე „სასურველი" მეტოქე თბილისის „დინამოს" შეხვდა. რა თქმა უნდა, უკეთესი ვარიანტიც შეიძლებოდა მომხდარიყო, თუმცა მაინც ვფიქრობთ, რომ ჩვენ ყველაზე ტიტულოვან კლუბს ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა არ უნდა გაუჭირდეს. ეგ კი არა, არც შემდგომი მეტოქე (უელსური „ლანელი") მიგვაჩნია იმ დონის გუნდად, „დინამოსთვის" ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა რომ შეეძლოს. თუმცა, უელსის თასის მფლობელ „ლანელიზე" დაწვრილებით იმის მერე ვისაუბროთ, „დინამო" რომ ორრაუნდიან დაპირისპირებაში მოლდოვურ „მილსამის" აჯობებს. უნდა აჯობოს კიდეც — ევროტურნირების დებიუტანტი „მილსამი" არსებობის... მეშვიდე წელს ითვლის და კლუბის ხანმოკლე ისტორიაში საუკეთესო შედეგს მხოლოდ ახლახან გასრულებულ სეზონში მიაღწია, როცა III ადგილი დაიკავა. აი, ეს მართლაც დიდი მოულოდნელობა იყო: მოლდოვის ჩემპიონატში გუნდი მეორე სეზონს ატარებდა და საბოლოოდ მხოლოდ „დაჩიასა" და „შერიფს" ჩამორჩა. ამასთან, „მილსამიმ" უკან ჩამოიტოვა შემადგენლობითაც და ფინანსებითაც თავისზე ბევრად ძლიერი გუნდები — „ზიმბრუ", „ისკრა-სტალი", „ტირასპოლი", „ნისტრუ".

**მილსამი (მოლდოვა)**

დაარსდა 2005 წელს

სტადიონი: „სპორტივ კომპლექსული" (2500 მაყურებელი); ევროპის ლიგის მატჩებს ჩაატარებს კიშინიოვში, „ზიმბრუს" სტადიონზე

მთავარი მწვრთნელი: შტეფან სტოიკა



მილსამის წინსვლა მოლდოვური მოულოდნელობაა

„მილსამი" კიშინიოვიდან 50 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ ორხეის (რუსულ ვარიანტში — ორგეევის) გუნდია; სხვათა შორის, ორხეის მოსახლეობა 33 000-ს ოდნავ აღემატება, ანუ, ჩვენს ეროვნულ სტადიონზე ბევრად უფრო მეტი ადგილია, ვიდრე... ქალაქ ორხეის მოსახლეობა! ისე, რახან სტადიონი ვახსენეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ „მილსამი" საშინაო მატჩებს „სპორტივ კომპლექსულზე" ატარებს, 2500 მაყურებელს რომ იტევს!

„დინამოს" მეტოქე მოლდოვურ ფეხბურთში 2005-06 წლებში გამოჩნდა, როცა ამ ქვეყნის III ლიგაში ასპარეზობდა. ორი წლის შემდეგ „მილსამი" უკვე II ლიგაში აღზევდა და ასევე ორწლიანი მცდელობის შემდეგ 2009 წელს უკვე უმაღლეს ლიგაში გადავიდა. სადებიუტო სეზონში „მილსამი" 12-გუნდიან ჩემპიონატში VIII ადგილზე გავიდა, ანუ, გუნდმა მთავარი მიზანი (უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება) შეასრულა; თუმცა, გუნდის მთავარი მწვრთნელი, ახლო წარსულში მოლდოვის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელი **იგორ ოპრეა** თანამდებობიდან გაათავისუფლეს და „მილსამის" მთავარ მწვრთნელად გასული სეზონის დაწყების წინ ადგილობრივი სპეციალისტი **ვლადიმირ გოსპერსკი** დანიშნეს. ამ უკანასკნელს დიდხანს არ უმუშავია — მის ნაცვლად რუმინელი მწვრთნელი, 33 წლის **შტეფან სტოიკა** მოვიდა გუნდში. ფეხბურთელობისას სტოიკა წლების განმავლობაში ასპარეზობდა რუმინულ „უნივერსიტატეასა" და ბერძნულ „ლარისაში", 1990 წელს 2 მატჩი ჩაატარა რუმინეთის ეროვნულ ნაკრებში; სამწვრთნელო კარიერაც „უნივერსიტატეაში" დაიწყო, შემდეგ სხვადასხვა რუმინელ კლუბებს წვრთნიდა - „გლორიას", „კურტეას", „ფარულს" და 2010 წლიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოლდოვური „მილსამი" ჩაიბარა. მოულოდნელ შედეგსაც მიაღწია: პატარა ქალაქის ყველასათვის უცნობმა კლუბმა მოლდოვის ჩემპიონატში III ადგილი დაიკავა და, რაც მთავარია, ევროტურნირებზე ასპარეზობის უფლებაც მოიპოვა!

„მილსამის" ბირთვს გასულ სეზონში გამოცდილი ფეხბურთელები შეადგენდნენ და ზოგიერთ მათგანს სხვადასხვა დონეზეც აქვთ ნათამაშები. ძირითადი მეკარე 31 წლის **მიხაილ მორარუ** გახლდათ, ადრე 6 წლის განმავლობაში „დაჩიაში" რომ ასპარეზობდა და თავის დროზე 1P მატჩი აქვს ჩატარებული მოლდოვას ნაკრებში. მისი დუბლიორები არიან 26 წლის **ადრიან ნეგაი** და 21 წლის **გეორგე ბანტიში.**

დაცვის ლიდერად 34 წლის **ადრიან სოსნოვსკი** მიიჩნევა, რომელიც „მილსამიში" გასული სეზონის წინ ჩაირიცხა, მანამდე კი ყოფილი საბჭოთა კავშირის არაერთ გუნდში მეტ-ნაკლები წარმატებით თამაშობდა: კიევის „დინამოში", მოსკოვის „სპარტაკსა" და „ტორპედოში", რამენსკოს „სატურნში", ალმა-ათის „კაირატში", კიშინიოვის „ზიმბრუში"...

სოსნოვსკის გარდა „მილსამის" ლიდერებად ორი გამოცდილი ფორვარდიც, 32 წლის **ალექსანდრ გოლბანი** და 29 წლის **გეორგე ბოგიუ** უნდა მივიჩნიოთ. ეს უკანასკნელი გასულ სეზონში 26 გოლით მოლდოვის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და ვიდრე „მილსამიში" გადმოვიდოდა, სხვადასხვა დროს რუსეთში, რუმინეთში, ყაზახეთსა და უზბეკეთში ასპარეზობდა. ბოგიუზე ბევრად გამოცდილია და უფრო შთამბეჭდავი სტატისტიკა აქვს გოლბანს — ტანმაღალ ფორვარდს (1,89 მ) სხვადასხვა დროს „კარპატის" (ლვოვი), „აინტრახტი" (ბრაუნშვაგი), „ჩახლაულის" (რუმინეთი) და „ტობოლის" (ყაზახეთი) ღირსება დაუცავს; 2002-04 წლებში კი გოლბანმა მოლდოვის ნაკრების შემადგენლობაში 14 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა. „მილსამის" შემადგენლობაში მრავლად არიან ლეგიონერები, თუმცა იმათი გვარ-სახელები ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს ბევრს არაფერს ეუბნება: **ალექსანდრუ სტოიკა, ოვიდიუ მენდიზოვი, ადრიან გრიგორუტა, კლაუდიუ იონესკუ, ვალერიან გარლა, მარიუშ რომანი** (ყველა-რუმინეთი), **უსმან ტრაორე** (კოტ'დივუარი), **გარსია კაიო** (ესპანეთი), **მოჰამედ ნურუდინ „პაკო"** (განა), **ადემარ ქსავიერი** (ბრაზილია).

დაბოლოს, იმასაც ვიტყვით, რომ ფაქტობრივად გადაწყვეტილია ევროტურნირებზე „მისლამის" საშინაო სარბიელის საკითხი — საკუთარი სტადიონი უეფას მოთხოვნებს არ შეესაბამება და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მოლდოვის გუნდი თბილისის „დინამოს" კიშინიოვში, „ზიმბრუს" სტადიონზე (10 500 მაყურებელი) უმასპინძლებს.

■ ■ ■

„დინამო" ახალი სეზონისათვის მზადებას სლოვენიაში განაგრძობს. ესპანელი სპეციალისტის, **ალექს გარსიას** ხელმძღვანელობით „დინამომ" გუშინ მეორე საკონტროლო მატჩი ჩაატარა სლოვენიურ „კოპერთან". შეგახსენებთ, თავდაპირველად ისე იყო ცნობილი, რომ „დინამო" სლოვენიის ჩემპიონს „მარიბორს" უნდა შეხვედროდა, თუმცა არც „კოპერია" ხელწამოსაკრავი გუნდი — გასული სეზონი III ადგილზე დაასრულა, შარშან კი ქვეყნის ჩემპიონი გახდა. „დინამოს" მსგავსად, „კოპერიც" უეფას ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზებს - სლოვენიური გუნდის მეტოქე ყაზახური „შახტიორი" იქნება. მოკლედ, ერთმანეთში ჩასატარებელ სპარინგ-მატჩამდე „დინამოსა" და „კოპერის" მწვრთნელ-ფეხბურთელთა მთავარი ინტერესი, რალა თქმა უნდა, ევროტურნირების კენჭისყრა იყო. ქართველი გულშემატკივრისათვის, რალა თქმა უნდა, ჩვენი ყველაზე ტიტულიანი კლუბის წარმომადგენელთა კომენტარები უნდა იყოს საინტერესო, „დინამოს" ვებ გვერდზე რომ ამოვიკითხეთ.

**ალექს გარსია** („დინამოს" მთავარი მწვრთნელი):

*„ამ წუთისათვის მეტოქეზე ცოტა რამ ვიცით. ვეცდებით, რომ მალე მოვიპოვოთ ვრცელი და ამომწურავი ინფორმაცია. საერთოდ, მიღებულია, რომ ორრაუნდიან ორთაბრძოლაში პირველი შეხვედრის ჩატარება გასვლაზე სჯობს. რაც შეეხება შანსებს, მიმაჩნია, რომ „დინამოსაც" და მოლდოვურ გუნდსაც თანაბარი აქვთ. ამასთან, დიდი იმედი მაქვს, ჩვენს პირველ მატჩზე („დინამოს" მთავარი მწვრთნელის რანგში, ჩემთვის პირველი რომ უნდა იყოს) გულშემატკივარი მრავლად მოვა და დიდი მხარდაჭერაც გვექნება".*

**ალექსანდრე კოშკაძე** („დინამოს" კაპიტანი): *„გუნდის თითოეული ფეხბურთელი შემართებითა და მონდომებით ვემზადებით ახალი სეზონისათვის. დიდი იმედი მაქვს და დარწმუნებულიც ვარ, რომ წყვილში გამარჯვებული სწორედ „დინამო" იქნება და მომდევნო ეტაპზეც ჩვენ გავალთ".*

**გიორგი ლორია** („დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მეკარე): *„ასეთი რანგის შეხვედრებში ნებისმიერ მეტოქეს მაქსიმალურად სერიოზულობით უნდა მივუდგეთ და ჩვენც ასე მოვიქცევით".*

■ ■ ■

რაც შეეხება გუშინდელ საკონტროლო შეხვედრას „დინამოსა" და „კოპერს" შორის, იგი სლოვენიელთა გამარჯვებით დასრულდა 2:1.

დინამომ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ლორია (46. გრიშიკაშვილი), ოდიკაძე (46. ჯილაური), თომაშვილი, კაკუბავა, რეხვიაშვილი (46. ჰომოლა), ხმალაძე(72. რეხვიაშვილი), კვეკვესკირი, კოშკაძე (46. თექთურმანიძე), ლექვთაძე(46. კახელიშვილი), რობერტინიო(46. ჯუსი), ახალაია (46. იაშვილი).**

ტრავმის გამო არ უთამაშიათ **ფირცხალავას, ჰაჯიბულიჩს, ბერაიას, ფანცხავას და კაშიას.**

დინამოელთაგან გოლი გაიტანა ლევან ხმალაძემ. მან თექთურმანიძის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი დაარტყა ზუსტად. მატჩის მიწურულს სოსო გრიშიკაშვილმა 11-მეტრიანი მოიგერია.

**გია ტუხაშვილი**

ევროტურნირების წილისყრა

**ჩემპიონთა ლიგა**

**პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი**
**28/29 ივნისი, 5/6 ივლისი**

1. ტრე ფიორი (სან მარინო)-ვალეტა (მალტა)
2. სანტა კოლომა (ანდორა)-დუდელანჟი (ლუქსემბურგი)

**მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი**
**12/13 და 19-20 ივლისი**

მაქაბი ჰაიფა (ისრაელი)-ბორაცი (ბოსნია)
მოგრენი (ჩერნოგორია)-ლიტექსი (ბულგარეთი)
მარიბორი (სლოვენია)-პირველი ეტაპის 2
შკენდერბეუ (ალბანეთი)-აპოელ (კვიპროსი)
სლოვანი (სლოვაკეთი)-ტობოლი (ყაზახეთი)
შტურმი (ავსტრია)-ვიდეოტონი (უნგრეთი)
**ზესტაფონი (საქართველო)-დაჩია (მოლდოვა)**
დინამო (ხორვატია)-ნეფთჩი (აზერბაიჯანი)
პიუნიკი (სომხეთი)-პლზენი (ჩეხეთი)
პარტიზანი (სერბეთი)-შკენდია (მაკედონია)
პირველი ეტაპის 1-ეკრანასი (ლიტვა)
მალმიო (შვედეთი)-ტორსჰავნი (ფარერები)
შემროკი (ირლანდია)-ფლორა (ესტონეთი)
რუსენბორგი (ნორვეგია)-ბრეიდაბლიკი (ისლანდია)
ჰიკ (ფინეთი)-ბანგორ სიტი (უელსი)
სკონტო (ლატვია)-ვისლა (პოლონეთი)
ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)-ბატე (ბელარუსი)

**ევროპის ლიგა**

**პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი**
**30 ივნისი, 7 ივლისი**

1. რეიკიავიკი (ისლანდია)-ფუგლაფიორდური (ფარერები)
2. დაუგავა (ლატვია)-ტრომსო (ნორვეგია)
3. ელსბორგი (შვედეთი)-ფოლა ეში (ლუქსემბურგი)
4. ნიუ საინტსი (უელსი)-კლიფტონვილი (ჩრდ. ირლანდია)
5. ჰონკა (ფინეთი)-კალიუ (ესტონეთი)
6. ფულჰემი* (ინგლისი)-რუნავიკი (ფარერები)
7. ვესტმანაიარი (ისლანდია)-სენტ პატრიკსი (ირლანდია)
8. ჰაკენი* (შვედეთი)-კერინგი (ლუქსემბურგი)
9. ოლესუნდი* (ნორვეგია)-ნითი (უელსი)
10. რენოვა (მაკედონია)-გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია)
11. კოპერი (სლოვენია)-შახტიორი (ყაზახეთი)
12. ბანგა (ლიტვა)-ყარაბახი (აზერბაიჯანი)
13. პაკსი (უნგრეთი)-სანტა კოლომა (ანდორა)
14. რაბოტნიჩკი (მაკედონია)-ნარვა (ესტონეთი)
15. რადი (სერბეთი)-ტრე პენე (სან მარინო)
16. ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია)-ფლამურტარი (ალბანეთი)
17. ულისი (სომხეთი)-ფერენცვაროში (უნგრეთი)
18. იაგელონია (პოლონეთი)-ირტიში (ყაზახეთი)
19. მინსკი (ბელარუსი)-ოლიმპიკი (აზერბაიჯანი)
**20. დინამო (საქართველო)-მილსამი (მოლდოვა)**
21. ვარაჟდინი (ხორვატია)-ლუსიტანსი (ანდორა)
**22. ბანანცი (სომხეთი)-მეტალურგი (საქართველო)**
23. ბირკირკარა (მალტა)-ვლაზნია (ალბანეთი)
24. შიროკი ბრიეგი (ბოსნია)-ოლიმპია (სლოვენია)
25. სპარტაკი (სლოვაკეთი)-ზეტა (ჩერნოგორია)

**მეორე საკვალიიკაციო ეტაპი**
**14 და 21 ივლისი**

**პირველი ეტაპის 22-პირველი ეტაპის 18**
სუდუვა (ლიტვა)-პირველი ეტაპის 3
მეტალურგი (მაკედონია)-ლოკომოტივი (ბულგარეთი)
სანტ ხულია (ანდორა)-ბნეი იეჰუდა (ისრაელი)
ჟელეზნიჩარი (ბოსნია)-შერიფი (მოლდოვა)
კუოპიო (ფინეთი)-გაზ მეთანი (რუმინეთი)
პირველი ეტაპის 19-გაზიანთეფსფორი (თურქეთი)
ისკრა-სტალი (მოლდოვა)-პირველი ეტაპის 21
ტაურასი (ლიტვა)-დენ ჰააგი (ჰოლანდია)
პირველი ეტაპის 10-ვორსკლა (უკრაინა)
ჯუვენესი (სან მარინო)-პირველი ეტაპის 14
იორებრო (შვედეთი)-სარაევო (ბოსნია)
კრუზეიდერსი (ჩრდ. ირლანდია)-პირველი ეტაპის 6
**ლანელი (უელსი)-პირველი ეტაპის 20**
ფლორიანა (მალტა)-აეკ (კვიპროსი)
შახტიორი (ბელარუსი)-ვენტსპილსი (ლატვია)
პირველი ეტაპის 16-იაბლონეცი (ჩეხეთი)
პირველი ეტაპის 1-ჟილინა (სლოვაკეთი)
მიკა (სომხეთი)-ვალერენგა (ნორვეგია)
პირველი ეტაპის 24-ბოჰემიანსი (ირლანდია)
დომჟალე (სლოვაკეთი)-სპლიტი (ხორვატია)
დიფერდანჟი (ლუქსემბურგი)-ლევადია (ესტონეთი)
ტირანა (ალბანეთი)-პირველი ეტაპის 25
პირველი ეტაპის 17-პირველი ეტაპის 9
მეტალურგსი (ლატვია)-ზალცბურგი (ავსტრია)
პირველი ეტაპის 15-ოლიმპიაკოს ვოლუ (საბერძნეთი)
პირველი ეტაპის 4-მიდტილანდი (დანია)
კეჩკემეტი (უნგრეთი)-აქტობე (ყაზახეთი)
პირველი ეტაპის 8-პირველი ეტაპის 5
**გაგრა (საქართველო)-ანორთოსისი (კვიპროსი)**
ვადუცი (ლიხტენშტაინი)-ვოივოდინა (სერბეთი)
რუდარი (ჩერნოგორია)-აუსტრია (ავსტრია)
სლაშკი (პოლონეთი)-დანდი იუნაიტედი (შოტლანდია)
პირველი ეტაპის 11-პირველი ეტაპის 7
სტრეიმური (ფარერები)-პირველი ეტაპის 12
ჰაფნარფიორდური (ისლანდია)-ნასიონალი (პორტუგალია)
პირველი ეტაპის 13-პირველი ეტაპის 2
ტურკუ (ფინეთი)-ვესტერლო (ბელგია)
ხაზარი (აზერბაიჯანი)-მაქაბი თელ ავივი (ისრაელი)
პირველი ეტაპის 23-თუნი (შვეიცარია)

* *ფეარ პლეის კვოტით დაშვებული კლუბები*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

● მეტალურგი

# სლოვენიელებმა ნაკრებისთვის ჯავრი იყარეს



სლოვენიის ჩემპიონ "მარიბორს" ოთხი ტრავმირებული ფეხბურთელი აკლდა. ამის მიუხედავად, სლოვენიური შეკრების ბოლო შეხვედრაში საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანმა სამარცხვინო ანგარიშით წააგო.

პირველი ბურთი **ველიკონიამ** 8-9 მეტრიდან დაბალ კუთხეში დარტყმით გაიტანა. ქართველებიდან პირველად სახიფათოდ **ირაკლი მაისურაძემ** 18 მეტრიდან დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა.

მასპინძლებმა შეტევები გააძლიერეს და პირველი ტაიმი 3:0 მოიგეს. ტაიმის მიწურულს **ირაკლი ქობალიას** სწრაფი კონტრშეტევის დაგვირგვინება შეეძლო, მაგრამ მისი მცდელობაც უშედეგოდ დასრულდა.

მეორე ნახევარში ორივე გუნდის მწვრთნელებმა შემადგენლობა შეცვალეს. ქართველები ანგარიშის შემცირებას ცდილობდნენ, მაგრამ სლოვენიელებმა ისევ იმარჯვეს და სამჯერ გაიტანეს: "მეტალურგის" კარი ორჯერ დალაშქრა **და სილვამ**, საბოლოო ანგარიში კი **ჩრნიჩმა** დააფიქსირა - 6:0.

**მარიბორი–მეტალურგი 6:0**

20.6.2011. მარიბორი. "ლუდსკი ვრატ". 700 მაყურებელი.

1:0 ველიკონია (15), 2:0 მეზგა (32), 3:0 ბერიჩი(43), 4:0 და სილვა (52), 5:0 და სილვა (53), 6:0 ჩრნიჩი (81).

**მეტალურგი:** ბედიაშვილი - ჯაფარიძე, კვახაძე, მახვილაძე, ორბელაძე - მიქაბერიძე, მაისურაძე, ტყემალაძე, გეწაძე - ქობალია, მოდებაძე.

შეცვლაზე შევიდნენ: ბათიაშვილი, ლომაია, ქავთარაძე, აბურჯანია, პავლიაშვილი, ღაღანიძე.

**მერაბ მამულაშვილი**

● გაგრა

# გაგრა და ქედია: ხელი ხელს...

**გიორგი ქედია** კარიერას "გაგრაში" გააგრძელებს. თავდამსხმელმა აზერბაიჯანის ჩემპიონატის უმაღლესლიგელი თავუზის "თურანი" სეზონის ბოლოს დატოვა. მას არც აზერბაიჯანში დარჩენის დიდი სურვილი ჰქონდა და საქართველოში რამდენიმე გუნდიც იწვევდა. 22 წლის თავდამსხმელი ბოლოს "გაგრას" შეუთანხმდა.

*"რამდენიმე გუნდთან მქონდა მოლაპარაკება, საბოლოოდ არჩევანი "გაგრაზე" შევაჩერე და ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. ვფიქრობ, არ შევმცდარვარ. სერიოზული გუნდია და არც ისე ურიგო მიზნები აქვს. გათავისუფლების ფურცელს ავიღებ და ხვალ ან ზეგ გუნდთან ერთად ვივარჯიშებ.*

*გუნდში ჩემი ჩარიცხვა ევროთასების კენჭისყრას დაემთხვა, რომელმაც "გაგრა" "ანორთოსისს" დაუწყვილა. ევროპის ლიგაზე თამაში დიდი სტიმულია. ქეცბაიას ყოფილი გუნდი საკმაოდ ძლიერი და გამოცდილია, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ასეთ კლუბებთან თამაში დიდი გამოწვევაა - თითოეულ ჩვენგანს ეძლევა შანსი, თავი გამოიჩინოს"* - თქვა ქედიამ.



გიორგი ქედია

**მერაბ მამულაშვილი**

● ფუტსალი

# მობრძანდით ჩვენს ფუტ-ზალაში

საქართველომ, კერძოდ, ქვეყნის ჩემპიონმა "იბერია სტარმა" მაისის ბოლოს უეფაში განაცხადი შეიტანა და უეფას ფუტსალის თასის (ფუტსალის ჩემპიონთა ლიგა) ძირითადი ეტაპის მასპინძლობის უფლება ითხოვა.

დეტალებით თავს არ შეგაწყენთ, მთავარი უეფას პასუხია - საქმე უკვე იქამდეა მისული, რომ 23 ივნისს თბილისში უეფას ინსპექტორი, ფუტსალის შეჯიბრებათა მენეჯერი **ლორან მორელი** ჩამოდის, ინფრასტრუქტურას ადგილზე გაეცნობა და თბილისისთვის მასპინძლობის უფლების მიცემა მასზე იქნება დამოკიდებული.

როგორც ჩვენი ფუტსალელები ამბობენ, მასპინძლობის უფლების მოპოვებას ამ კაცის ერთი "ჰო" გვაშორებს.

უეფას წარმომადგენელი ჩამოსვლის დღესვე ესტუმრება თბილისის სპორტის სასახლეს, მეორე დღეს დაათვალიერებს სასტუმროებს ("ჰოლიდეი ინი" - გუნდებისთვის, "რედისონი" - მსაჯებისა და დელეგატებისთვის). ამის შემდეგ რჩევა-რეკომენდაციებს მოგვცემს და შვეიცარიაში დაბრუნდება. საბოლოო გადაწყვეტილებას უეფა ორი კვირის განმავლობაში გამოაქვეყნებს.

6 ივლისს უეფას შტაბბინაში ფუტსალის თასის წილისყრა მოეწყობა. თავდაპირველად კენჭს საკვალიფიკაციო ეტაპზე მოთამაშე გუნდებს უყრიან. "იბერია სტარი", როგორც ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი, საკვალიფიკაციო ეტაპიდან განთავისუფლებულია და შეჯიბრებაში ძირითადი ეტაპიდან, ანუ სექტემბერში ჩაებმება. სწორედ ძირითადი ეტაპის ჯგუფის მასპინძლობაზე აქვს "იბერია სტარს" შეტანილი განაცხადი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ოფიციალურად მასპინძლად არა კლუბი, არამედ ფეხბურთის ფედერაცია ითვლება.



ლორან მორელი და საქართველოს ფუტსალის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ბექა კვიციანი მადრიდში, უეფას სემინარზე

ლორან მორელის ვიზიტის შესახებ საქართველოს ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრმა **გიორგი დარჯანიამ** გვამცნო: *"ვინმეს შეიძლება გაუკვირდეს, მაგრამ ჩვენი სპორტის სასახლე ამ ტიპის ერთ-ერთი საუკეთესო ნაგებობაა ევროპაში. უეფას სხვა, დამატებითი კრიტერიუმებიც აქვს და ყველანაირად ვაკმაყოფილებთ იმ მოთხოვნებს, რასაც ლიგის მასპინძლობის მსურველებს უყენებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ "იბერია სტარს" საკმაო ავტორიტეტი აქვს ევროპულ ფუტსალში და ამასთანავე ის ერთადერთი კლუბია, რომელსაც ლიგის უკლებლივ ყველა გათამაშებაში მიუღია მონაწილეობა. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას ამგვარ დეტალებსაც დიდი ყურადღება ექცევა."*

ძირითად ეტაპზე "იბერია" 4-გუნდიან ჯგუფში ითამაშებს, ელიტ-რაუნდში კი ორი საუკეთესო გავა. როგორც დარჯანიამ თქვა, საკმაოდ კარგი მდგომარეობა არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის მხრივ გვაქვს. დამატებით კრიტერიუმებშიც, დიდი ფეხბურთისგან განსხვავებით, საქმე დამაიმედებლად არის. ფაქტობრივად, გვრჩება ამ კაცის პირადი კეთილგანწყობის მოპოვება. ამაზე ჩვენი ფუტსალელები უკვე მუშაობენ და იმედს ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობის ეფექტზეც ამყარებენ.

ცხადია, ფუტსალის პრესტიჟული ტურნირის სამასპინძლოდ თუნდაც ინფრასტრუქტურა, თბილი დახვედრა, ხაჭაპური და ხინკალი ვერ გვიშველის: ლორან მორელმა უნდა დაინახოს, რომ მისი ჩამოსვლა სპორტულმა საქართველომ უმნიშვნელოვანეს მოვლენად აღიქვა.

საამისოდ ფუტსალელებმა მისი **ლადო ვარძელაშვილთან** შეხვედრა შეათანხმეს. სპორტის მინისტრი რომ შეხვდება და ხელს ჩამოართმევს, ნებისმიერი სტუმარი ამას პატივად ჩათვლის და თვლის, რომ ვიზიტი უყურადღებოდ არ დარჩენილა. ფუტსალელები იმედოვნებენ, რომ საბოლოოდ სწორედ ასეთი პატარ-პატარა დეტალები იქნება გადამწყვეტი უეფაში არჩევანის გაკეთებისას.

**მერაბ მამულაშვილი**

● ტორპედო



ქუთაისის სტადიონის რეკონსტრუქციას ყურადღება არ აკლია

# ქუთაისში ამბებია...

## ევროპული მწვანე და ჩვენებური სურვილები

ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე რამდენიმე დღეა სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. გუშინ ქუთაისის მთავარი არენა „ვისოლის" ხელმძღვანელებმა, იმერეთის გუბერნატორმა **ლაშა მაქაცარიამ** და ქალაქის მერმა **გიორგი თევდორაძემ** მოინახულეს. მიმდინარე სამუშაოების თაობაზე „ტორპედოს" პრეზიდენტ **ლევან ფხაკაძეს** გავესაუბრეთ: *„ვისოლი ჯგუფი" „ტორპედოს" განვითარებისთვის ინვესტიციების განხორციელებას განაგრძობს. კომპანიამ უეფას სტანდარტების შესაბამისი მოედნის მოსაწყობად 1 000000 ევროზე მეტი გაიღო. ქუთაისური კლუბი ახალ საფეხბურთო სეზონს განახლებულ მოედანზე შეხვდება, სალორიის საწვრთნელ ბაზაზე კი სამი ახალი მოედანი გაკეთდება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქუთაისის სტადიონზე საფარი 40 წლის წინ გამოიცვალა და მას შემდეგ ხელი აღარ დაჰკარებია. დღეს მიმდინარეობს თანამედროვე, ევროპული სტანდარტების საფრის დაგება. გამოვცვალეთ დრენაჟის სისტემა, დავაყენეთ ახალი სარწყავი მოწყობილობები და უახლოესი ორი კვირის განმავლობაში დაიგება საბერძნეთიდან ჩამოტანილი ბუნებრივი საფარი. ამ სამუშაოების შემდეგ მივიღებთ ისეთ სტადიონს, რომელზეც ნებისმიერი უმაღლესი რანგის თამაშის ჩატარებას შევძლებთ. „ტორპედოს" ექნება მართლაც გამორჩეული, ევროპული დონის არენა".* - გვითხრა კლუბის პრეზიდენტმა.

ცენტრალური სტადიონის სარეკონსტრუქციოდ „ვისოლმა" მოიწვია ბერძენი ექსპერტები და ბუნებრივი საფარიც საბერძნეთიდან შემოიტანა. სამუშაოებს უძღვება ბერძნული კომპანია „ჰელასოდი", რომელმაც „ოლიმპიაკოსისა" და „პანათინაიკოსის" მოედნები მოაწყო. ამავე ფირმამ დააგო საქართველოს ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე საფარი. უცხოელებთან ერთად სამუშაოებს „ვისოლ ჯგუფის" წევრი კომპანია „დელტაც" ახორციელებს. „ჰელასოდის" წარმომადგენელი **სოლომონ ობიგბესანი** სამუშაოებით კმაყოფილია და ამბობს, რომ ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე ბალახის საფრის დაგება მომდევნო კვირის ბოლოს დასრულდება, 40 დღის შემდეგ კი სტადიონს უეფასა და ფიფას ეგიდით გამართული ნებისმიერი მატჩის მასპინძლობა შეეძლება. ობიგბესანის თქმით, სტადიონზე სამუშაოების დასრულების შემდეგ „ჰელასოდი" კლუბის ბაზის მოედნებს მიხედავს. სტადიონის მოსავლელად კლუბის ხელმძღვანელობამ თანამედროვე ტექნიკაც შეიძინა. მიმდინარეობს ადმინისტრაციული კორპუსის რეაბილიტაციაც. სტადიონის პრესლოჟაში მედიის წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ, ისარგებლონ უკაბელო ინტერნეტით.

ლევან ფხაკაძე „ტორპედოს" გეგმებსაც შეეხო: *„მოვიყვანეთ ახალი მწვრთნელი გიორგი კიკნაძე, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებთ. მისი წინამორბედების უკმაყოფილო ნამდვილად არ ვართ, მაგრამ გასულ სეზონში უფრო მეტის გაკეთებაც შეიძლებოდა. ჩვენი მიზანია, რომ მუდმივად პროგრესის გზას ვადგეთ, ამისთვის ვგეგმავთ ახალი ფეხბურთელების მოწვევას და დარწმუნებული ვარ, მომდევნო ჩემპიონატს უფრო ღირსეულად ჩავატარებთ.*

კლუბის სამომავლო გეგმებზე უფრო კონკრეტულად „ტორპედოს" აღმასრულებელმა დირექტორმა **გიორგი პაპიაშვილმა** ილაპარაკა: *„რამდენიმე დღეა, გუნდმა ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. 22 ივნისიდან ურეკში შევიკრიბებით, სადაც 10 დღეს გავჩერდებით და ამხანაგურ შეხვედრებსაც გავმართავთ. ამ შეკრებაზე ჩამოყალიბდება ძირითადი ბირთვი. მოგეხსენებათ, გუნდში ახალი მწვრთნელები მოვიდნენ და, შესაბამისად, პირველ რიგში ფეხბურთელების საქმეში ნახვა სურთ. ურეკში გამოჩნდება, თუ რომელ პოზიციებზე გვჭირდება გაძლიერება. ჩვენ მზად ვართ, გვერდში დავუდგეთ მწვრთნელებს და გუნდი მათი შეხედულებისამებრ გავაძლიეროთ. მოვიწვევთ მათ, ვისაც მწვრთნელები ჩათვლიან საჭიროდ. ივლისის შუა რიცხვებიდან გუნდი გაემგზავრება უცხოურ შეკრებაზე. არის იტალიის, გერმანიის, სლოვენიის ვარიანტები და ამათში გაკეთდება არჩევანი".*

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

# ტორპედო მისვლები და დაბრუნებები

ახალი სეზონიდან ქუთაისის „ტორპედოში" რუსთავის „მეტალურგის" ყოფილი ნახევარმცველი **დავით ბოლქვაძე** ითამაშებს. 30 წლის ნახევარმცველი დასრულებულ სეზონში სტაბილურად ხვდებოდა „მეტალურგის" შემადგენლობაში, შვიდი გოლი გაიტანა და რუსთაველთა ბრინჯაოს მედალში თავისი წვლილი შეიტანა, მაგრამ ქვემოქართლელებმა კონტრაქტი აღარ გაუგრძელეს.

*„მართალია, ჯერ კონტრაქტი არ გამიფორმებია, მაგრამ ერთწლიანი ხელშეკრულების პირობები შევათანხმეთ და გუნდს ურეკში შეკრებაზე გავყვები"* – გვითხრა ბოლქვაძემ.

მასთან ერთად „ტორპედოში" ითამაშებს კიდევ ერთი ექსმეტალურგი **რევაზ ქემოკლიძე**, რომელიც, ბოლქვაძის მსგავსად, რამდენიმე წლის წინ ქუთაისელთა ღირსებას იცავდა. ქუთაისელთა ახალმა მწვრთნელებმა, **გიორგი კიკნაძემ** და **ზაზა ზამთარაძემ** გუნდში თავდამსხმელი **რევაზ გოცირიძეც** დააბრუნეს, რომელიც ბოლოს კარგ ფორმაში იყო. რა დასამალია და, სეზონის შემდეგ მისი გაშვება უცნაურად ჩანდა. გოცირიძის თქმით, კლუბთან კვლავ ნახევარწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ტორპედოს" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ქუთაისელებს ფიზმომზადებაში ხორვატი სპეციალისტი **ივო კატუშიჩი** დაეხმარება. მას თბილისის „დინამოსა" და „ზესტაფონში" უმუშავია - კატუშიჩთან კონტრაქტს კლუბი უახლოეს დღეებში გააფორმებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიური მიდი-მოდი

# სანამ ფანჯარა გაიხსნება

მართალია, სატრანსფერო ფანჯარა 1 ივლისს იხსნება, მაგრამ კლუბებს აქვთ იმის საშუალება, რომ თავისუფალ აგენტებთან ხელშეკრულებები გააფორმონ, ასევე, იჯარის წესით აიყვანონ მათთვის სასურველი მოთამაშეები. გამომდინარე აქედან, იტალიაში უკვე გახურებულია სატრანსფერო მიდი-მოდი და რამდენიმე მეტად საინტერესო გარიგებაც შედგა. ყველაზე მეტად „იუვენტუსის" მესვეურები აქტიურობენ, რომლებმაც უკვე მოასწრეს გუნდის მნიშვნელოვნად გაძლიერება. თავისუფალი აგენტის სტატუსით, ტურინელებმა **ანდრეა პირლო, მიკელე პაციენცა** და **რეტო ციგლერი** დაიმატეს – დაგვეთანხმებით, სამივე მაღალი კლასის ფეხბურთელია და რაც ასევე მნიშვნელოვანია, „იუვეს" მათში ერთი ცენტიც კი არ გადაუხდია. ეს დიდი პლუსია და იმას ნიშნავს, რომ სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდეგ, ტურინელები არანაკლებ აქტიურნი იქნებიან.

დიდ ამბებს გეგმავენ „რომას" მესვეურები, ჯერჯერობით კი მხოლოდ რამდენიმე ნაკლებად საინტერესო შეთანხმებას მიაღწიეს. უთუოდ უნდა აღვნიშნოთ **ფილიპ მექსეს** „ჯალოროსიდან" „მილანში" გადაბარგება – ფრანგმა თავისი სურვილით დატოვა „ტრიგორია" და უახლოეს სამ წელს „მილანელოზე" გაატარებს. ჯერჯერობით, არც „მილანის" მესვეურები არიან განსაკუთრებულად აქტიურნი, თუმცა ჯერ ყველაფერი წინ არის და დიდად ამან არ უნდა გაგვაკვირვოს.

საინტერესო პროცესები უნდა წარიმართოს „ინტერში", რომელიც ჯერ კიდევ უმწვრთნელოდ არის და კლუბის მესვეურთა მთავარი საზრუნავი სწორედ **ლეონარდოს** შემცვლელის მოძებნაა. თუმცა, **მასიმო მორატის** სხვა საფიქრალიც აქვს, მათ შორის წამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნება. ბოლო დღეებში გავრცელებული ცნობების თანახმად, „ინტერი" შესაძლოა ლიდერებმა: **სამუელ ეტოომ, დუგლას მაიკონმა** და **ვესლი სნეიდერმა** დატოვონ. თითოეულ მათგანზე ევროპული ფეხბურთის გრანდებს ნადირობა აქვთ გამოცხადებული, თუმცა „ინტერის" პრეზიდენტის თქმით, ისინი ხელშეუხებელნი არიან. მოვუსმინოთ მორატის:

*„ეტოოს, სნეიდერს და მაიკონს პირადად ვესაუბრე, მათგან მაქსიმალური ინფორმაცია მივიღე და ყველა წვრილმანი გავარკვიე. სამივეს დიდი სურვილი აქვს, რომ კარიერა „ნერაძურიში" გააგრძელონ და პარალელურად არავითარ მოლაპარაკებებს არ აწარმოებენ. მათი გასხვისება აზრადაც არ მომსვლია, ანუ აზრთა სრული თანხვედრაა და შესაბამისად, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ისინი „ინტერში" რჩებიან".*

მოკლედ, ყველას თავისი გასაჭირი და საფიქრალი აქვს, ჩვენ კი უკვე შემდგარ ტრანსფერებს გადავხედოთ...


ანდრეა პირლო


მარკო მატერაცი

### ატალანტა

**წავიდნენ:** დელვეკიო (კატანია), დალა ბონა (ნაპოლი).

**მივიდნენ:** ფურტუნისი (ასტერასი, საბერძნეთი), დეფენდი (გროსეტო), კოლომბი (იუვე სტაბია), კაზერტა (ჩეზენა), შელოტო (კატანია).

### ბოლონია

**წავიდნენ:** ლუპატელი (ჯენოა), ესპოზიტო (ჯენოა), სილიგარდი (ინტერი).

**მივიდნენ:** სტოიანოვიჩი (ლუშტენაუ, ავსტრია), პაონესა (ჩეზენა), ბერნაჩი (ტორინო).

### კალიარი

**წავიდნენ:** არავინ.

**მივიდნენ:** სივაკოვი (ვისლა, პოლონეთი), ელ კაბირი (მელბიუ, შვედეთი).

### კატანია

**წავიდა:** შელოტო (ატალანტა).

**მივიდნენ:** დელვეკიო (ატალანტა), მორეტი (ასკოლი).

### ჩეზენა

**წავიდნენ:** კაზერტა (ატალანტა), პელეგრინო (ატალანტა), პაონესა (ბოლონია), სამარკო (სამპდორია), დელაფიორე (პალერმო), ბუდანი (პალერმო), სანტონი (ინტერი), ფელიპე (ფიორენტინა), ფატიჩი (ჯენოა).

**მივიდნენ:** კალდიროლა (ინტერი), ტატინი (პავია), კიავარინი (დინამო ზ. ხორვატია), დე ფეუდისი (ტორინო), რანელა (გრასჰოპერსი, შვეიცარია).

### კიევო

**წავიდნენ:** არავინ.

**მივიდნენ:** რიკლერი (პიაჩენცა), ფარიასი (ფოჯა), ხანინი (კროტონე).

### ფიორენტინა

**წავიდა:** ნაპოლი (დონადელი, ნაპოლი).

**მივიდნენ:** ფელიპე (ჩეზენა), როციო (კავანეზე), რომიცი (რეჯინა), მარიტატო (რეჯინა), პაპა ვაიგო (გროსეტო), ლეპილიე (უეპენი, ბელგია), ნასტასიჩი (პარტიზანი, სერბეთი).

### ჯენოა

**წავიდნენ:** რაფინია (ბაიერნი, გერმანია), პალოსკი (მილანი).

**მივიდნენ:** ლუპატელი (ბოლონია), ესპოზიტო (ბოლონია), ფატიჩი (ჩეზენა), ზიმა (სლავია, ჩეხეთი), ვინეტო (კროტონე), პარფაი (კროტინე), რუდოლფი (ბარი), ლაზარევიჩი (ტორინო), ჰალენიუსი (ლუგანო, შვეიცარია), ბენ ჯემია (ფროზინონე), აჩერბი (რეჯინა), პრატო (უნივერსიდადი, ჩილე), ბირსა (ოსერი, საფრანგეთი), სეიმური (უნივერსიდადი, ჩილე), კრაინიჩი (მარიბორი, სლოვენია), რიბასი (დიჟონი, საფრანგეთი), გრანკვისტი (გრონინგენი, ჰოლანდია), პაპასტატოპულოსი (მილანი), ბერეტი (მილანი), მერკელი (მილანი), ბოლცონი (სიენა).

### ინტერი

**წავიდნენ:** კალდიროლა (ჩეზენა), ობინა (ლოკომოტივი, რუსეთი), მატერაცი (თავისუფალი აგენტი).

**მივიდნენ:** სილიგარდი (ბოლონია), სანტონი (ჩეზენა), მუნტარი (სანდერლენდი, ინგლისი), ბელეკი (კროტონე), კასტანიოსი (ფეიენოორდი, ჰოლანდია).

### იუვენტუსი

**წავიდა:** რინაუდო (ნაპოლი).

**მივიდნენ:** პირლო (მილანი), პაციენცა (ნაპოლი), ციგლერი (სამპდორია), ტიაგო (ატლეტიკო, ესპანეთი), პასკუატო (მოდენა), ლანცაფამე (ბრეშა), ამაური (პარმა), მარონე (სიენა)

### ლაციო

**წავიდა:** მეგნი (თავისუფალი აგენტი)

**მივიდნენ:** კლოზე (ბაიერნი, გერმანია), ლულიჩი (იანგ ბოიზი, შვეიცარია), მაკივა (ლარისა, საბერძნეთი), კავანდა (ტორინო).

### ლეჩე

**წავიდა:** კოპოლა (პარმა).

**მივიდა:** დიამუტენი (პესკარა).

### მილანი

**წავიდნენ:** მერკელი (ჯენოა), პაპასტატოპულოსი (ჯენოა), ბერეტა (ჯენოა), პირლო (იუვენტუსი), ვილა (ესპანიოლი, ესპანეთი), იანკულოვსკი (კარიერა დაასრულა).

**მივიდნენ:** პალოსკი (ჯენოა), ძიგონი (ფროზინონე), დონარუმა (პიაჩენცა), ონიევუ (ტვენტე, ჰოლანდია), მექსე (რომა), ტაივო (მარსელი, საფრანგეთი), დინიცი (ეუპენი, ბელგია), კოპოლა (სიენა).

### ნაპოლი

**წავიდნენ:** პაციენცა (იუვენტუსი), ლუკარელი (პარმა).

**მივიდნენ:** დალა ბონა (ატალანტა), დონადელი (ფიორენტინა), რინაუდო (იუვენტუსი), ინსინიე (ფოჯა), ფერნანდესი (ესტუდიანტესი, არგენტინა).

### ნოვარა

**წავიდა:** გონსალესი (პალერმო).

**მივიდნენ:** არავინ.

### პალერმო

**წავიდნენ:** პაოლუჩი (სიენა), ლივერანი (თავისუფალი აგენტი).

**მივიდნენ:** დელაფიორე (ჩეზენა), ბუდანი (ჩეზენა), გონსალესი (ნოვარა), დი კიარა (რეჯინა), ველარდი (მოდენა), რუბინიო (ტორინო), რაჯი (ბარი), ჟოაო პედრო (ვიტორია, პორტუგალია), ზახავი (ჰაპოელი, ისრაელი), ლაბრინი (უაჩიპატო, ჩილე), მილანოვიჩი (ლოკომოტივი, რუსეთი), სიმონი (ხალადაში, უნგრეთი), პიზანო (ვარეზე), ბერტოლო (სარაგოსა, ესპანეთი), სეტო (ტულუზა, საფრანგეთი), დი მატეო (ვიჩენცა).

### პარმა

**წავიდა:** ამაური (პარმა).

**მივიდნენ:** კოპოლა (ლეჩე), ლუკარელი (ნაპოლი), პერეირა (არისი, საბერძნეთი), მანდორლინი (პიაჩენცა), კასტელინი (რომა), პელე (ალკმაარი, ჰოლანდია), სანსონე (ბაიერნი, გერმანია), ბორინი (ჩელსი, ინგლისი).

### რომა

**წავიდნენ:** კასტელინი (პარმა), მექსე (მილანი).

**მივიდნენ:** ოკაკა (ბარი), დალესანდრო (ლივორნო), სისინიო (ვილიარეალი, ესპანეთი), ბარუსო (ლივორნო), კრეშენცი (კროტონე).

### სიენა

**წავიდნენ:** ბოლცონი (ჯენოა), მარონე (იუვენტუსი), კოპოლა (მილანი), კაპუტო (ბარი), კაჩატორე (სამპდორია).

**მივიდნენ:** პაოლუჩი (პალერმო), რადოი (სანტარკანჯელო), კოდრია (ბარი), დანტი (რეჯინა), პარავიჩინი (ლივორნო), ციოლისი (რასინგი, ესპანეთი).

### უდინეზე

**წავიდნენ:** არავინ.

**მივიდნენ:** ხაიმე (ბარი), რომო (დე მერიდა, ვენესუელა), ობოდო (ტორინო), ნიომი (გრანადა, ესპანეთი), მურიელი (გრანადა, ესპანეთი), მენსა (გრანადა, ესპანეთი), გეიხო (გრანადა, ესპანეთი), დანი ბენიტესი (გრანადა, ესპანეთი), მოროზინი (ვიჩენცა), მაცარანი (მოდენა), მარინო (ასკოლი), ლაურიტო (ემპოლი), ფორესტიერი (ემპოლი), ალემაო (ვარეზე), დანილო (პალმეირასი, ბრაზილია), ფაბიანი (ემპოლი), ბრკიჩი (ვოივოდინა, სერბეთი).

**ლაშა წიკლაური**




## უცხოური ფეხბურთი

● უკრაინის ჩემპიონატი

**მსოფლიოში** რამდენიმე ლიგაა, სადაც ორი გამოკვეთილი ლიდერი ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს თამაშის წესებს კარნახობს. ასეთად ტრადიციულად შოტლანდია მიიჩნეოდა („რეინჯერსისა" და „სელტიკის" ჰეგემონია აქ 1985 წლის შემდეგ გრძელდება), ბოლო წლებში რალაც ამის მსგავსი შეიმჩნევა ესპანეთშიც („ბარსელონა" და „რეალი" სხვებს 2004 წლის შემდეგ ჩემპიონობის შანსს არ უტოვებენ) და რაც მთავარია, ჩვენი დღევანდელი სტატიის გმირები: დონეცკის „შახტარი" და კიევის „დინამო". 1993 წლიდან მოყოლებული სხვა კლუბი ამ ქვეყნის ჩემპიონი არ ყოფილა. აღნიშნული გუნდები ბოლო წლებში სერიოზულად ძალად ჩამოყალიბდნენ და აღმოსავლეთევროპული გუნდებიდან აშკარად ყველაზე ძლიერები არიან. უკრაინულმა ვებგვერდმა „ბესტსპორტმა" მათ სატრანსფერო პოლიტიკას გადახედა და 2000 წლიდან მოყოლებული ყველაზე წარუმატებელი შენაძენები გაუხსენა.



რობერტო ნანიმ კიევს თავი ვერაფრით დაახსომა

# სატრანსფერო გარღვევები

*2000 წლიდან მოყოლებული კიევის "დინამომ" ერთადერთ წარმატებას მიაღწია ევროპაში, როცა 2009-ში უეფას თასის 1/2-ფინალში გავიდა. წარუმატებლობების მიზეზებზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ერთ-ერთი სწორედ არასწორი სატრანსფერო პოლიტიკაა. XXI საუკუნეში კიეველებმა შემდეგი შეცდომები დაუშვეს:*

| შახტარი | | დინამო |
|---|---|---|
| **ნენად ლალატოვიჩი** - სერბში 1 მილიონი ევრო გადაიხადეს და გუნდში დაცვის პრობლემების აღმოსაფხვრელად უხმეს. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ მან გუნდს მარტო მინდორზე კი არა, მინდორს მიღმაც შეუქმნა პრობლემები (მაგალითად მაშინ, როცა მსაჯზე გაიწია). | 10 | **ბალაშ ფარკაში**. უნგრელმა თავისი ტალანტი ერთადერთხელ გამოავლინა, როცა 2006 წელს მოსამზადებელ ეტაპზე ამხანაგურ შეხვედრაში „ჰამბურგს" 3 გოლი გაუტანა. შემდგომი 4 წლის განმავლობაში „დინამოს" ძირითადში 6 თამაში ჩაატარა, 2010 წელს კი კარიერა „დებრეცენში" განაგრძო. |
| **სტიპე პლეტიკოშა** – ხორვატის ტრანსფერი 2 მილიონი დაჯდა, მაგრამ ძალიან მალე ბავშვური შეცდომების დაშვება დაიწყო. | 9 | **კრისტიან ირიმია** - 550 ათასი ევრო. ამ მეკარის შესაძლებლობათა მაქსიმუმი უკრაინის მეორე ლიგა იყო. მისგან ერთადერთი ხეირი გასხვისებისას იყო. |
| **მილან იოვანოვიჩი** – მასში 500 ათასი ევრო გაიღეს. სერბი ფეხბურთელისა ჯიუტად სჯეროდათ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. შემდეგ სათამაშოდ ბელგიაში წავიდა და ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. 2010წელს კი „ლივერპულში" ამოყო თავი. | 8 | **ლეანდრუ მაშადუ** - 1 მილიონი დოლარი. ლეანდრუმ სადებიუტო შეხვედრაში „დინამოს" საიუბილეო მეათასე გოლი გაიტანა, თუმცა შემდეგ ერთბაშად მოუკლო, ვერაფრით მოახერხა ზედმეტი კილოგრამების დაგდება და სამი თვის შემდეგ პორტუგალიურ „სანტა კლარაში" გადავიდა. |
| **ემა ოკოდუვა** – 1 მილიონი ევრო. „შახტარს" ოკოდუვასა და **ჯულიუს აგაჰოვას** დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ სულ ტყუილად. ემა საერთოდ გაქრა, როგორც ფეხბურთელი. | 7 | **მარიან მარკოვიჩი** – 2,5 მილიონი ევრო. მან „დინამოში" 3 სეზონში სულ რალაც 37 მატჩი ჩაატარა და ორადორი გოლი გაიტანა. ამას გარდა გამართა 11 შეხვედრა ევროთასებზე და 9 - უკრაინის თასზე. სერბმა კიევში 7 წელიწადი გაატარა და აქედან 4 „დინამო 2-ში". |
| **ნიკოლაი იშჩენკო** – 2 მილიონი. ძნელია ითქვას, იშჩენკომ მხოლოდ იმედები ვერ გაამართლაო. მეტიც, მან რამდენჯერმე აშკარად დაალალატა გუნდი. მის საფირმო ნიშნად იქცა... მოწინაალმდეგის ფორვარდისთვის ზუსტი პასის გაკეთება, „რა თქმა უნდა" საკუთარ საჯარიმოსთან ახლოს. | 6 | **გილერმე** – 5 მილიონი ევრო. ეს ფეხბურთელი მართლა მაგარი იყო, მაგრამ მხოლოდ თავიდან. შემდეგ მოსკოვის ცსკა-ში გადავიდა და იქაც ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა. |
| **ბატისტა** – 3 მილიონი. დღემდე ხუმრობენ, რომ ბატისტა გუნდში იმიტომ მოხვდა, რომ **მირჩა ლუჩესკუს** მეგობარი იყოო. მან ერთადერთი რამით დაახსომა გულშემატკივარს თავი: გაძევებული **ლაშტუვკას** მაგივრად კარებში ჩადგა. | 5 | **ანდრე** – 8,1 მილიონი ევრო. ბრაზილიელი კიეველი გულშემატკივრების ბოლო იმედგაცრუებაა. მასში უზარმაზარი თანხა გადაიხადეს, თუმცა ბოლოს გუნდს შერჩა „ეზოს ფეხბურთელი", რომელიც ვარსკვლავების ყურებით იმდენად ერთობა, რომ ყურებითვე კმაყოფილდებოდა. |
| **ელანო** - 7,6 მილიონი. ეს არ იყო წარუმატებელი ტრანსფერის კლასიკური შემთხვევა, უპირველესად იმიტომ, რომ ბრაზილიის ნაკრების პირველი მოქმედი ფეხბურთელი იყო უკრაინაში, პლუს, ის საკმაოდ სარფიანად გაიყიდა. თუმცა, რამდენი თავის ტკივილი მოუტანა მან დონბასელებს? | 4 | **არისტონ ოტალვარო და დემბა ტურე** – ეს ფეხბურთელები „დინამომ" მხოლოდ იჯარით აიყვანა. მათ დღემდე მოიხსენიებენ როგორც „იმ ორ კოლუმბიელს". ერთადერთი თამაში რომელიც მათ ჩაატარაეს, ეს იყო „ლიონთან" 0:3 ჩემპიონთა ლიგაში. ამ მატჩის შემდეგ ორივე სამშობლოში გააბრუნეს. |
| **კონსტანტინ კრავჩენკო** – 3,6 მილიონი. გადავიდა თუ არა „შახტარში", ტრავმა მიიღო და შემდეგ უკვე ველარ მოახერხა ძირითადში დამკვიდრება. თუმცა რამდენიმე ძალიან კარგი პასითა და საჯარიმოთი კი მოახერხა თავის გამოჩენა. | 3 | **პაპე დიაკატე** - 4,5 მილიონი ევრო. ერთადერთი შედეგი რომელიც მის ტრანსფერს მოჰყვა ეს იყო გაუთავებელი ტრავმები და ჩემპიონთა ლიგის მატჩებში რეგულარული ჩავარდნები. მისი მაღალი ანაზღაურების გამო „დინამოს" მასთან განშორება სურს, მაგრამ იმ ფასად, რამდენიც მასში გადაიხადეს, პაპეს გაყიდვა ნამდვილად აღარ მოხერხდება. |
| **მარსელო მორენო** – 9 მილიონი ევრო. სამწუხაროდ, მარსელო ის „უსახელო დიპლომატი" აღმოჩნდა, რომლის თრევა არაკომფორტულია, მაგრამ მის მიტოვებაზე მაინც გწყდება გული. | 2 | **ალექსანდრ ფილიმონოვი** – 570 ათასი დოლარი. ფილიმონოვი სისტემატურად ცდებოდა და თანაც ყოველთვის გადამწყვეტ მომენტებში. მისი სათამაშო დონეზე ერთადერთი რამის თქმა შეიძლება: „დინამოდან" ის „ურალანში" გადავიდა. |
| **ნერი კასტილიო** – 15 მილიონი ევრო. „შახტარის" ყველაზე თვალსაჩინო ჩავარდნა სატრანსფერო ბაზარზე. როცა მექსიკელს ყიდულობდნენ, ეგონათ, რომ „ოლიმპიაკოსიდან" სუპერვარსკვლავი მოდიოდა. თუმცა კოლოსალური თანხის გადახდის შემდეგ თავად ფეხბურთელი ვერ მიხვდა, თუ სად მოხვდა. რამდენიმე უსახური მატჩის შემდეგ მექსიკელი იჯარით ხან სად მიდიოდა, ხან სად. | 1 | **რობერტო ნანი** – 3 მილიონი ევრო. არგენტინის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი დიდად დაეხმარა... „დინამო2-ს". მთავარ გუნდში კი მან თავის გამოჩენა ერთადერთხელ მოახერხა. მისი სახელმა უარყოფი დატვირთვა შეიძინა და ყოველ წარუმატებელ ტრანსფერს მას ადარებენ. |

● უეფა

# ფონდი გაიზარდა

## გადამწყვეტი ბრძოლა კორუფციასთან

უეფას აღმასკომმა გადაწყვიტა, რომ ევრო 2012-ის მონაწილეთა საპრიზო ფონდი გაზარდოს, ამას გარდა დადგინდა ჩემპიონატის წილისყრის თარიღი და ადგილი, დაწესდა სპეციალური პრიზი იმ ფეხბურთელებისთვის, ვისაც ნაკრებში 100 და მეტი მატჩი აქვს ჩატარებული. დამტკიცდა სპეციალური დისციპლინარული დებულება. კომიტეტში მუშაობას შეუდგნენ ახალი წევრები: **სერგეი ფურსენკო** (რუსეთი), **პეტერ ჟიიერონი** (შვეიცარია) და **ბორისლავ მიხაილოვი** (ბულგარეთი). კომიტეტში საქმიანობას შეუდგა ასევე ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრი **ჯეიმს ბოისი**. წევრობა სპეციალური მიწვევით შესთავაზეს უეფას ქალთა ფეხბურთის კომიტეტის დირექტორ **კარენ ეკლუნდს**. აღმასკომის ორდღიანი სხდომის დასრულების შემდეგ ოფიციალური განცხადება გავრცელდა: *„კომიტეტმა გაითვალისწინა ფიფას სურვილი და გადაწყვიტა კონკრეტული და ეფექტური ღონისძიებების გატარება, რათა ჩვენს ორგანიზაციაში მენეჯმენტის დონე ამაღლდეს. ყურადღებით ვადევნებთ თვალს მოვლენათა განვითარებას და გვგონია, რომ პირველ შედეგებს მალევე მივიღებთ, არაუგვიანეს 3 თვისა".*

ალმასკომმა დაამტკიცა 2011-2013 წლების პერიოდისთვის უეფას დანარჩენი კომიტეტების წევრი კონკრეტული პიროვნებები, დამტკიცდნენ ასევე უეფას სასამართლო ორგანოების მუშაკებიც, ოღონდ 2011-2015 წლების პერიოდისთვის. ამ სიას უეფა თავის ვებგვერდზე 1-ელ ივლისს სრულად მაშინ გამოაქვეყნებს, როცა ეს კომიტეტები მუშაობას შეუდგებიან. გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ დისციპლინარულ დებულებაში შეტანილი ცვლილებების დიდი ნაწილი ეხებოდათ გარიგებულ მატჩებს: *„ჩვენ ვამკაცრებთ წესებს ისეთი ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორიც არის გარიგებული მატჩები, შედეგებით მანიპულაცია და კორუფცია. აუცილებლად უნდა გავატაროთ პრევენციული ზომები. ამ მიზნით დისციპლინარებსა და ინსპექტორებს ადგილობრივ ხელისუფლებებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის შესაძლებლობებს მივცემთ. ასეთი ურთიერთობები დღეს უკვე არსებობს, მაგრამ დღემდე ჩვენ არ გვქონდა ამის სამართლებრივი ბაზა. ამის შემდეგ ყველაფერი უფრო ნათელი იქნება".*

ახლა კი სხვა თემებზე გადავიდეთ: ალმასკომმა დაადგინა ევრო 2012-ის პლეი ოფის მატჩების წილისყრის თარილი. პლეი ოფის წყვილებს 2011 წლის 13 ოქტომბერს კრაკოვში გაარკვევენ. კონკრეტული საათი, თუ როდის გაიმართება ეს ღონისძიება, ჯერ ცნობილი არ არის. კომიტეტმა მოიწონა ასევე ფინალური სტადიის წილისყრის ფორმატიც. ის 2011 წლის 2 დეკემბერს კიევში, ნაციონალურ სასახლე „უკრაინაში" გაიმართება შუა ევროპული დროით საღამოს 18:00-ზე. *„წინა კვირას ჩვენ თავად ვიყავით პოლონეთსა და უკრაინაში, - განაცხადა ინფანტინომ. - ორივეგან ჩანს სინათლე გვირაბის ბოლოს. სამუშაოები სრული სვლით მიდის. წინ ჯერ კიდევ უზარმაზარი საქმეებია დარჩენილი, მაგრამ ოპტიმიზმის უფლება ნამდვილად გვაქვს. დათქმულ ვადებში ყველაფერი მოესწრება. ორივე ქვეყანაში ენთუზიაზმი წარმოუდგენლად მაღალია – ევროს დაწყებას ყველანი მოუთმენლად ელიან".*

კომიტეტმა დეტალურად გაწერა ის თანხები, რომელთაც ტურნირის მონაწილეები მიიღებენ. უბრალოდ ფინალურ სტადიაზე მოხვედრა 8 მილიონ ევროს მოიტანს, ჯგუფურ ეტაპზე ქულისთვის გუნდი ნახევარ მილიონს დაიმსახურებს, მოგებისთვის - 1 მილიონს. მეოთხედფინალურ სტადიაზე გასვლა დამატებით კიდევ 2 მილიონს უდრის, ნახევარფინალში - 3, ფინალში დამარცხებული 4,5 მილიონს მიიღებს, ჩემპიონი - 7,5-ს. საერთო ჯამში უეფამ წინა ევროპის ჩემპიონატის შემდეგ საპრიზოები 184-დან 196 მილიონამდე გაზარდა.



● ლილი

# როზენალი ძაღლია

## ობერტანმა თავადაც არაფერი იცის



დავიდ როზენალი

საფრანგეთის ჩემპიონმა „ლილმა" ბუნდესლიგური „ჰამბურგიდან" იჯარით აყვანილ **დავიდ როზენალთან** სრულფასოვანი კონტრაქტი გააფორმა. „ძაღლების" ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, 31 წლის ჩეხმა ფრანგებთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

მიუხედავად იმისა, რომ გუნდი მოქმედი ჩემპიონია, მას მაინც სხვებზე მეტად უჭირს მაღალი დონის ფეხბურთელების გადაბირება. უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ კლუბმა კატეგორიული უარი მიიღო „სოშოსგან" **მარვენ მარტენის** ტრანსფერთან დაკავშირებით. დიდი ენთუზიაზმი მაინცდამაინც არც თავად ფეხბურთელს გამოუჩენია. სამაგიეროდ ნახევარმცველს არ მორიდებია ხმამაღლა დაედასტურებინა, რომ „ლიონში" სიამოვნებით გადაბარგდებოდა. რაზეც „სოშოს" პრეზიდენტ **ალექსანდრ ლაკომბისგან** ტრადიციული პასუხი მიიღო: ის არ იყიდება. როგორც ჩანს, ფრანგ პრეზიდენტებს ასეთი სიმკაცრე გასდით. შარშან ასე ძალის ძალად შეინარჩუნა „ლორიანმა" **კევინ გამეიროც**.

რაკი მარტენის ფრონტზე არაფერი გამოვიდა, „ლილმა" ყურადღება პრემიერლიგისკენ მიაპყრო და „მანჩესტერ იუნაიტედიდან" **გაბრიელ ობერტანის** იჯარით აყვანა მოინდომა. აი რა განაცხადა თავად ფეხბურთელმა, რომელიც თავად ხვდება, რომ „ალისფერი ეშმაკების" ძირითადში დამკვიდრების შანსი პრაქტიკულად არ აქვს: *„ამ წუთას ვერაფერს გეტყვით. ჯერ ის უნდა გავარკვიო, უნდათ თუ არა ჩემი არენდით გაშვება და სურთ თუ არა, რომ მაინცდამაინც „ლილში" წავიდე".*

გვერდი მოამზადა

**ლევან ბიბილაშვილმა**

● ფრაიბურგი



ფრაიბურგის ახალწვეულები ფერატი (მარცხნივ), დემბელე და მთავარი მწვრთნელი მარკუს ზორგი

# ფრაიმაც დაიწყო, ახლებთან ერთად

## კიევის დინამომ ბრაისგაუელებს სისეს შესახებ ისეთი წინადადებით მიმართა, რომ...

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ პირველი ბუნდესლიგური კლუბი, რომელმაც ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო, ელიტაში ახლახან აღზევებული „აუგსბურგი“ გახლდათ. **აკაკი გოგიას** კლუბს გუშინ „ფრაიბურგმაც“ მიბაძა – ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **მარკუს ზორგმა**, რომელმაც „ფრაის“ თავკაცის პოსტზე „ლევერკუზენში“ გადასული **რობინ დუტი** შეცვალა, გუშინ გუნდი პირველად ავარჯიშა. 45 წლის სპეციალისტს პირველივე ვარჯიშზე მიეცა იმის საშუალება, რომ საქმეში ახალწვეულებიც ენახა. ესენი არიან **გარა დემბელე, ბეგ ფერატი** და **დანიელ ბატცი**.

*„გუნდს ძალიან კარგად ვიცნობ, ზოგადად კი 12 წელია, მწვრთნელი ვარ. ასე რომ, ახალბედა არ მეთქმის,“* - განაცხადა ზორგმა, რომელიც აქამდე „ფრაიბურგის“ 17-წლამდელთა გუნდს და მეორე გუნდს ავარჯიშებდა. მიუხედავად იმისა, რომ „ფრაიმ“ გასულ სეზონში სენსაციურად კარგად იასპარეზა, ელიტაში დარჩენა ფინიშამდე დიდი ხნით ადრე გაინაღდა და საბოლოოდ მე-9 ადგილი დაიკავა, ზორგი ამბობს, რომ მისი მიზანი მომავალ სეზონშიც პირველ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება.

ყველაზე საინტერესო ის იყო, თუ როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ახალ მწვრთნელზე გუნდის სამიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ახალწვეული **დემბელე** – ამ უკანასკნელმა ხომ „ფრაის“ თავდასხმა უნდა გააძლიეროს და საჭირო გოლები გაიტანოს. *„ერთი ვარჯიშით ფეხბურთელის შესახებ დასკვნების გაკეთება შეუძლებელია, თუმცა რაც ვნახე, იმით კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, დემბელეს გადმობირების შემდეგ თავდასხმაში უკვე ძალიან კარგად ვართ დაკომპლექტებულები,“* - თქვა ზორგმა ვარჯიშის შემდეგ.

ახლა ყველაზე საინტერესო ის არის, დარჩება თუ არა გუნდში **პაპის დემბა სისე** – თავდამსხმელი, რომელმაც გასულ სეზონში 22 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე გავიდა, ჩამორჩა რა მხოლოდ **მარიო გომესს** (28 გოლი). თუ ბრაისგაუელებმა სისეს შენარჩუნება მოახერხეს, ფაქტია, რომ ზორგს ბუნდესლიგაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თავდასხმა ეყოლება. თუმცა სისეს ძალიან ბევრი მთხოვნელი ჰყავს, რომელთაგან რამდენიმე საკმაოდ სერიოზული და „ფრაიბურგზე“ გაცილებით პრესტიჟული კლუბია. ამას წინათ „ფრაის“ ხელმძღვანელებმა თქვეს, სისეს 15 მილიონ ევროზე იაფად არ დავთმობთო და როგორც გაირკვა, ასეთი თანხა სენეგალელის ერთ-ერთ მთავარ მსურველს, კიევის „დინამოს“ სულაც არ ებევრება. „კიკერის“ ინფორმაციით, უკრაინულმა გრანდმა „ფრაიბურგს“ უკვე მიმართა ოფიციალური წინადადებით და ისეთი თანხა შესთავაზა, რომელზეც უარის თქმა გაუჭირდებათ.

დემბელესთან ერთად, პირველ ვარჯიშში მონაწილეობა მიიღეს სხვა ახალწვეულებმაც – მეკარე **დანიელ ბატცმა**, რომელიც „ფრაიში“ „ნიურნბერგიდან“ გადავიდა და შვეიცარიელმა ნახევარმცველმა **ბეგ ფერატიმ** (ბაზელიდან იყიდეს). მათთან ერთად, ზორგმა მეორედან პირველ გუნდში ახალგაზრდა მოთამაშეები, **სიმონ ბრანდშტეტერი** და **კრისტიან ბიკელიც** გადაიყვანა.

● ტრანსფერი

# ტომაშ უიფალუში გალათასარაიში წავიდა



ტომაშ უიფალუში

გამოცდილი ჩეხი მცველი, 33 წლის **ტომაშ უიფალუში** მადრიდის „ატლეტიკოს“ ტოვებს და კარიერას თურქეთში, კერძოდ „გალათასარაიში“ გააგრძელებს. ვეტერანმა უკანახაზელმა თურქულ კლუბთან, სადაც ახალი მფლობელი „გალასთვის“ ძველი დიდების დაბრუნებას გეგმავს, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ტომაშ უიფალუში ჩეხეთის ნაკრებში 2001-დან 2009 წლამდე თამაშობდა და ეროვნული გუნდის ღირსება 78 შეხვედრაში დაიცვა.

● ამბები

# რომარიო: ბრაზილია 2014-ს იესო თუ გადაარჩენს!

## ლეგენდარულმა გოლეადორმა მშობლიურ ინფრასტრუქტურას დასტირა

ბრაზილიური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა **რომარიო** 2014 წლის მუნდიალს, რომელიც მის სამშობლოში ჩატარდება, სკეპტიკურად უყურებს. 45 წლის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორი ბრაზილიის სამუნდიალო ინფრასტრუქტურას აკრიტიკებს.

*„უბედნიერესი ადამიანი ვარ იმის გამო, რომ ვიცი, მსოფლიოს ჩემპიონატი ბრაზილიაში უნდა ჩატარდეს. ჩვენ ამაზე დიდი ხანია ვოცნებობდით, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ჩემს ქვეყანას მუნდიალის მასპინძლობისას სერიოზული პრობლემები შეექმნება. აქედანვე შემიძლია ვთქვა, რომ ეს არ იქნება ყველა დროის საუკეთესო მუნდიალი,“* - აცხადებს რომარიო გაზეთ „ფოლია დე სან პაოლოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში და ძალიან წუხს იმის გამო, რომ სტადიონების მშენებლობა პრობლემური და ბრაზილიისთვის რთული პროცესია.



რომარიო

*„ბრაზილია 2014-ის საუკეთესო მუნდიალად გადაქცევა მხოლოდ იესო ქრისტეს შეუძლია. ასე რომ, თუ უახლოეს სამ წელიწადში იესო დედამიწაზე დაბრუნდება, შესაძლებელი იქნება, რომ ბრაზილიამ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ჩემპიონატს უმასპინძლოს,“* - დასძენს რომარიო.

## ჰალილი თურქეთისაკენ

სუპერფეხბურთელიაო, ეს არც **ჰამით ალთინთოფზე** ითქმის და არც მის ტყუპისცალ **ჰალილზე** – ერთი საშუალო დონის ნახევარმცველია, მეორე კი საშუალო დონის თავდამსხმელი. თუმცა ფაქტია, რომ ჰამითს ძალიან გაუმართლა (მადრიდის „რეალში“ აღმოჩნდა), ჰალილს კი გერმანიაშიც აღარ აჩერებენ...

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ თავდამსხმელი, რომელიც გასულ სეზონში ფრანკფურტის „აინტრახტის“ ღირსებას იცავდა (ეს გუნდი მეორე ბუნდესლიგაში გავარდა), სამშობლოში დაბრუნდება. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, რომ ჰალილი უკვე შეუთანხმდა თურქულ კლუბ „ესქიშეჰირს“ და ტრანსფერს წინ აღარაფერი უდგას. ამ გუნდის პრეზიდენტმა **ჰალილ უნალმა** თქვა, ალთინთოფთან ყველაფერი გარკვეულია, არსებობს მხოლოდ მცირე ოჯახური პრობლემა, რაც ფეხბურთელის სიდედრს (!) ეხება და იმედი მაქვს, რომ ეს პრობლემაც მალე მოგვარდებაო. აქვე იმასაც გეტყვით, რომ „ესქიშეჰირის“ სპორტული დირექტორი თურქეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი და ჰალილ ალთინთოფის უახლოესი მეგობარი **უმით ქარანია**.

● დორტმუნდის ბორუსია

# ბენდტნერი გერმანიის ჩემპიონში?

## ბარიოსს ბევრი მთხოვნელი ჰყავს და დორტმუნდელები თავს იზღვევენ

დორტმუნდის „ბორუსიას“ ხელმძღვანელები კი ამბობენ, სატრანსფერო ბაზარზე აღარ გავაქტიურდებითო, რის გამოც ბოლო დროს გერმანიის ჩემპიონის სატრანსფერო გეგმებზე არანაირი სპეკულაციები აღარ ყოფილა, მაგრამ აი, გუშინ გერმანულ და ინგლისურ პრესაში ახალი ინფორმაცია გავრცელდა. ფაქტი ერთია: თუ ეს ტრანსფერი განხორციელდა, თამამად უნდა ვთქვათ, რომ დორტმუნდელებმა მეგა-ტრანსფერი გაჩარხეს.

მოკლედ, ინგლისური და გერმანული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, დორტმუნდელები ლონდონის „არსენალის“ 23 წლის თავდამსხმელ **ნიკლას ბენდტნერს** უმიზნებენ. და რაც ყველაზე საინტერესოა, ეს ცნობა ფეხბურთელის მამამ და მრჩეველმა დანიური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა: *„დიახ, დორტმუნდის „ბორუსიას“ მართლაც სურს ჩემი შვილის გადაბირება. რამდენადაც ვიცი, გერმანელებსა და „არსენალის“ ხელმძღვანელებს შორის უკვე შედგა პირველი მოლაპარაკება.“*



ნიკლას ბენდტნერი შესაძლოა ბორუსიაში ვიხილოთ

დანიელი ფორვარდი ლონდონურ კლუბში 2005 წლიდან თამაშობს და დიდი ხანია, დანიაში უდიდეს ტალანტად მიიჩნევა. გასული სეზონი კი მისთვის არცისე წარმატებული, მეტიც, ფაქტობრივად წარუმატებელი იყო, რადგან პრემიერლიგაში მხოლოდ 17 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 2 გოლი გაიტანა. ინგლისელმა ჟურნალისტებმა ბენდტნერი არაერთხელ გააკრიტიკეს იმის გამო, რომ მას მერე, რაც ცნობილი ფეხბურთელი გახდა, ფეხბურთზე სერიოზულად აღარ ფიქრობს და ღამეებს დისკოთეკებზე ათენებს. ჩვენი ინგლისელი კოლეგები მის კარიერულ ჩავარდნას სწორედ ცხოვრების ასეთ წესს აბრალებენ.

რა აზრი ექნება ამ ტრანსფერს „დორტმუნდისთვის“? ეს ალბათ მხოლოდ „ბორუსიას“ თავკაცმა **იურგენ კლოპმა** იცის – სწორედ მან მოისურვა დანიელი თავდამსხმელის ყიდვა. ექსპერტების ვარაუდით კი, ბენდტნერის ყიდვას დორტმუნდელებისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება აზრი, თუ BVB-ს **ლუკას ბარიოსი** დატოვებს. მართალია, 26 წლის გოლეადორს გერმანიის ჩემპიონთან კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული, მაგრამ ძალიან ბევრი სერიოზული მთხოვნელი ჰყავს. საკმარისია, რომელიმე სუპერგრანდმა „ბორუსიას“ ბარიოსის სანაცვლოდ მინიმუმ 20 მილიონი ევრო შესთავაზოს, რომ ვესტფალიელები ორი წლის წინ 4 მილიონად ნაყიდ თავდამსხმელს თვალის დაუხამხამებლად შეელევიან.

● ჰამბურგი

# იონინგი: პეტრიჩი უნდა დარჩეს!

## მწვრთნელმა გადამწყვეტი სიტყვა თქვა

„ჰამბურგის“ თავდამსხმელი **მლადენ პეტრიჩი** ახლა ნიუ იორკშია, სადაც შვებულებას ატარებს და ტრავმას იშუშებს. ჯერჯერობით უცნობია, როდის დაბრუნდება მოედანზე ხორვატი ფორვარდი, რომელსაც ჩრდილოგერმანულ კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული. სამაგიეროდ, ერთი რამ უკვე ცხადია და წყალი აღარ გაუვა: მლადენი მომავალ სეზონშიც „ჰამბურგში“ ითამაშებს. გადაწყდა, რომ ჰამბურგელები თავიანთ საუკეთესო თავდამსხმელს (11 გოლი გასულ სეზონში) არ შეელევიან.



ჰამბურგის მწვრთნელი მიხაელ იონინგი და მლადენ პეტრიჩი

ბოლო დროს პეტრიჩის „ჰამბურგიდან“ აბარგებაზე არაერთი ინფორმაცია ვრცელდებოდა და სპეკულაციებს ბოლო HSV-ს მთავარმა მწვრთნელმა **მიხაელ იონინგმა** მოუღო, რომელმაც ბევრი იფიქრა, თუ ცოტა, გადაწყვიტა, რომ ხორვატი ძალიან სჭირდება და გუშინ ჩვენს გერმანელ კოლეგებს უთხრა, მლადენი ჩვენთან რჩება, მორჩა და გათავდაო.

30 წლის თავდამსხმელი „ჰამბურგში“ 2008 წლიდან თამაშობს და ამ გუნდის მაისურით ბუნდესლიგაში 73 შეხვედრა ჩაატარა და 31 გოლი გაიტანა. უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში ის ჰამბურგელთა საუკეთესო თავდამსხმელია, მასზე მეტი გოლის გატანა თვით **რუუდ ვან ნისტელროიმაც** კი ვერ მოახერხა. მიუხედავად ამისა, საკმაოდ ბევრი რამ მეტყველებდა იმაზე, რომ პეტრიჩი ამ ზაფხულს გუნდს დატოვებდა. უპირველესი მიზეზი ის გახლდათ, რომ კლუბის ხელმძღვანელები და მლადენი ახალი კონტრაქტის პირობებზე ვერ თანხმდებოდნენ და რაკი პეტრიჩის ხელშეკრულებას ვადა გაისად ეწურება, „ჰამბურგისთვის“ მისი წელს გაყიდვა ფინანსური ხეირის ნახვის უკანასკნელი შანსი გახლდათ. მართალია, კონტრაქტი არ გაგრძელებულა, მაგრამ პეტრიჩი მაინც რჩება.

*„მლადენ პეტრიჩი არსად არ წავა. ის მომავალ სეზონშიც აუცილებლად „ჰამბურგში“ იასპარეზებს. ჩვენ არაერთმა ფეხბურთელმა დაგვტოვა, მლადენის გაშვება კი არაფრისდიდებით არ მინდა,“* - თქვა გუშინ იონინგმა.

შესაძლოა, „ჰამბურგი“ და მლადენი ახალ კონტრაქტზე მომავალი სეზონის მიმდინარეობის დროსაც ვერ შეთანხმდნენ, რაც იმის მაუწყებელი იქნება, რომ ერთი წლის შემდეგ პეტრიჩი HSV-ს უფასოდ დატოვებს, მაგრამ „ჰამბურგი“ დიდ ზარალს არ ნახავს, რადგან მლადენის ფასი სატრანსფერო ბაზარზე 3 მილიონი ევროა. ამ ფასად კი ჩრდილოელები ასეთი კლასის თავდამსხმელს ნაღდად ვერ იყიდდნენ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისური ამბები

**მანჩესტერ იუნაიტედი**

### ჩიჩარიტო გოლებს გვპირდება

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მექსიკელი ფორვარდი **ხავიერ ერნანდესი**, იგივე **ჩიჩარიტო**, ამბობს, რომ პრემიერლიგაში გატარებული პირველივე დიდებული სეზონის მიუხედავად, მიღწეულზე გაჩერებას არ აპირებს. ერნანდესმა, რომელიც დღეს, აშშ-ში, მექსიკის ნაკრების სახელით „ოქროს თასზე“ გამოდის, გასულ სეზონში, ყველა შეჯიბრებაში ერთად 20 გოლი შეაგდო. „გვადალახარადან“ ახალგადასულმა 23 წლის ბიჭმა „იუნაიტედის“ ჩემპიონობასა და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლაში დიდი წვლილი შეიტანა, მაგრამ ეჭვიან ადამიანებს გაუჩნდათ კითხვა: იქნებ ჩიჩარიტო მხოლოდ ერთწლიანი ვარსკვლავი იყო? იქნებ, პრემიერლიგის ცაზე გადაიფრინა და გაქრა?

*„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ, მთელმა გუნდმა ერთად, საერთო ძალისხმევით, ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოვიპოვეთ. ეს დიდებული იყო, მით უფრო, რომ ჩემპიონატი საკმაოდ რთული არმოჩნდა. „ჩელსიმ“, „არსენალმა“ და*



ხავიერ ერნანდესი

*„მანჩესტერ სიტიმაც“ კი, ბოლომდე იბრძოლეს, ხოლო ჩვენ ყველას ვაჩვენეთ, რომ ძლიერი ნებისყოფა გვაქვს და საკუთარ შესაძლებლობებში ერთხელაც არ შეგვპარვია ეჭვი. ასეთია ჩვენი გუნდი, „მანჩესტერ იუნაიტედი“, სადაც მთავარი ერთსულოვნება და მენტალიტეტია. წარმატება მის სისხლსა და გენშია. „იუნაიტედი“ მსოფლიოს საუკეთესო კლუბია. აქ ყველაფერი კეთდება, რათა ყოველ გამარჯვებას ახალი გამარჯვება მოსდევდეს. ერთადერთი, ყელში ჩემპიონთა ლიგის ფინალი გაგვეჩხირა.*

*პირადად ჩემზე თუ ვილაპარაკებთ, გასული სეზონით ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ მეცხრე ცაზე დარჩენას არ ვაპირებ. მომავალი სეზონი უკეთესი უნდა მქონდეს. მინდა „იუნაიტედს“ ახალი ტიტულების მოხვეჭაში დავეხმარო“.*

შემდეგ, ჩიჩარიტომ აღიარა, რომ მის მიერ გასულ სეზონში გატანილი გოლების რაოდენობამ თავადაც კი გააკვირვა.

*„სეზონის დასაწყისში მეგონა, რომ იშვიათად მათამაშებდნენ. ვფიქრობდი, უკეთეს შემთხვევაში მოედანზე მატჩის მიწურულს შემიშვან, როდესაც გუნდი ვერ იგებს და რამენაირად გოლია გასატანი-მეთქი. ძირითადად პრემიერლიგასთან შეგუებისთვის ვემზადებოდი, მეგონა, რომ განსაკუთრებით ფიზიკურად გამიჭირდებოდა. სინამდვილეში კი სხვა რამ მოხდა: თავიდანვე მათამაშებდნენ, რამაც საკუთარი თავის რწმენა ჩამინერგა და გოლებიც გავიტანე. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, ვერც კი წარმოვიდგენდი. საოცნებო სეზონი მქონდა“.*

საინტერესოა, რომ ხავიერ ერნანდესი იმ კონკრეტულ შეხვედრასაც კი ასახელებს, როდესაც მან იგრძნო, რომ ნამდვილად „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელია. ეს 24 ოქტომბერს, „სტოკ სიტის“ 2:1 ძლევის დროს მოხდარა. იმ შეხვედრაში „იუნაიტედის“ ორივე გოლი მექსიკელმა გაიტანა.

### ჰა, ბურთი...

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველს, ტრავმებით დატანჯულ 30 წლის **ოუენ ჰარგრივზს** კარიერის დასრულების საფრთხე ემუქრება. დაიწყო სატ-



ოუენ ჰარგრივზი

რანსფერო სეზონი და, როგორც ჩანს, მის ყიდვას არავინ ეშურება. ასე რომ, ერთადერთ ვარიანტად ისევ „იუნაიტედში“ დარჩენაღა რჩება, ოღონდ ინგლისის ჩემპიონი ხელშეკრულების მეტად „მსუბუქ“ ფორმას სთავაზობს: როგორც ითამაშებ, ისე გადაგიხდი...

**ტოტენჰემ ჰოთსპური**

### გავყიდოთ კი არა, ვიყიდოთ!

„ტოტენჰემ ჰოთსპურის“ მწვრთნელი **ჰარი რედნაპი** ამბობს, რომ თავისი ვარსკვლავებიდან ერთსაც არ გაყიდის — მოგეხსენებათ, ბოლო დღეებში 25 წლის ხორვატ **ლუკა მოდრიჩზე** დიდი ამბავია ატეხილი, მისი ყიდვა „ჩელსის“ უნდა. „ჩელსი“ მოდრიჩის სანაცვლოდ 22 მილიონ ფუნტს იძლეოდა და ამბობენ, რომ მეტსაც არ დაინანებს, მაგრამ რედნაპი კატეგორიულია:

*„დღეს ლუკა რომ გავყიდოთ, ხვალ გარეთ ბეილის გამო მოგვადგებიან. მოდრიჩის გაყიდვა, ფაქტობრივად, ბეილის მყიდველების მოპატიჟებას ნიშნავს, არადა, ორივე ფეხბურთელი ჩვენთვის გვჭირდება. ასეთი რამ „ვესტ ჰემში“ უკვე გადამხდენია და ვიცი მექანიზმი როგორც მუშაობს. მახსოვს, რიო ფერდინანდის გაყიდვაზე თანხმობა ვთქვით და თითქოს სტარტი მისცესო, ყველა გავარდა. ასეთი რამ ნებისმიერ კლუბს გაანადგურებს. თუ ჩემპიონობაზე ფიქრობს, „ტოტენჰემმა“ არათუ საუკეთესო ფეხბურთელები უნდა შეინარჩუნოს, არამედ ახლებიც უნდა დაიმატოს და გუნდი გააძლიეროს. პრემიერლიგის სხვა წამყვანი კლუბები თამასას სულ მაღლა და მაღლა სწევენ. მათ*



რედნაპს მოდრიჩი არ ეთმობა

*რომ არ ჩამორჩეს, „დეზებმაც“ იგივე უნდა გააკეთონ. ეს ძალიან მარტივი, მაგრამ სწორი ლოგიკაა“.*

ამრიგად, რედნაპი კლუბის თავმჯდომარე **დენიელ ლივის** სატრანსფერო ბაზარზე გასვლასა და მოთამაშეების ყიდვას სთხოვს. მწვრთნელი ფიქრობს, რომ ამით მოდრიჩს დაანახვებს, რომ „სფურზი“ სერიოზულად არის განწყობილი და უმაღლესი მიზნების მისაღწევად სხვა კლუბის ძებნა არ არის საჭირო. რედნაპმა განაგრძო:

*„ლუკას გამარჯვებები, ტიტულების მოპოვება სურს. ჩვენ თუ გავძლიერდებით, ის დაინახავს, რომ ამას ჩვენთან ერთადაც შეძლებს. მოკლედ, მისი გაყიდვის საკითხს არც კი განვიხილავ. მასზე კარგ ფეხბურთელსა და კეთილ ადამიანს ვერსად ვიპოვით. ამიტომაც, კლუბისთვის მოდრიჩის შენარჩუნება პრინციპული საკითხია. ზემოთ ვთქვი და გავიმეორებ, რომ თუ ერთი-ორ ძლიერ ფეხბურთელს დავიმატებთ, კიდევ ერთ კარგ სეზონს ჩავატარებთ და მერწმუნეთ, მოდრიჩისთვის უახლოესი წლების განმავლობაში სხვა კლუბის ძებნა აქტუალური არ იქნება. ჩვენი ამოცანაა ჩემპიონთა ლიგაში დავბრუნდეთ და გვინდა, რომ ამაში ლუკა დაგვეხმაროს“.*

**ასტონ ვილა**

### დიდი მძარცველი

„ბლექპულის“ ნახევარმცველის, 25 წლის **ჩარლი ადამის** ყიდვას „ლივერპული“ აპირებს, თუმცა „ასტონ ვილამ“ გადაწყვიტა მერსისაიდელებს დაასწროს. მოგეხსენებათ, „ვილა“ ის გუნდია, რომელმაც ახალი მწვრთნელი იშოვა — შოტლანდიელმა სპეციალისტმა **ალექს მაკლიშმა** ქალაქ ბირმინგემის მეორე გუნდი, „ვილას“ უდიდესი მოქიშპე „ბირმინგემ სიტი“ სკანდალურად მიაგდო და „ვილა პარკზე“ გამოიქცა. როგორც ჩანს, მაკლიში, რომელსაც მეტსახელად დიდ ეკს უწოდებენ, გამომწვევი ნაბიჯების გადადგმას დაეჩვია და დიდ ძარცვასაც აღარ ერიდება. თუმცა, მედალს მეორე მხარეც აქვს. მაკლიში ადამს რახანია იცნობს: 2004 წელს, „რეინჯერსში“, ფეხბურთელის დებიუტი სწორედ დიდი ეკის



ჩარლი ადამი

ხელმძღვანელობით შედგა და შემდეგ, მანვე ჩააცვა პირველად ეროვნული გუნდის მაისურა. მოკლედ, „ვილას“ მწვრთნელს „ბლექპულის“ ფეხბურთელზე ნამდვილად დიდი ამაგი აქვს. სხვათა შორის, მაკლიშს შოტლანდიის ნაკრების ნახევარმცველის „ბირმინგემ სიტიში“ გადაბირება ჯერ კიდევ იანვრის სატრასფერო ბაზრის დღეებში უნდოდა, მაგრამ იანვრის სატრანსფერო ფანჯარაზე ლაპარაკისას აუცილებლად უნდა დავძინოთ, რომ ადამის გადაბირება იანვარშივე სურდათ „ლივერპულსა“ და „ტოტენჰემ ჰოთსპურსაც“. და კიდევ, რაც შეეხება შოტლანდიელობას, „ლივერპულის“ თავკაცი **კენი დალგლიშიც** ხომ სქოთია?

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომლის წართმევასაც მაკლიში „ბლექპულს“ უპირებს, **დი ჯეი კემპბელი** გახლავთ. ამ 29 წლის მოთამაშისა და „ბლექპულის“ კონტრაქტში ერთი ისეთი პუნქტია, რომლის მიხედვითაც მისი ყიდვა საკმაოდ იაფად, კერძოდ კი 1,25 მილიონ ფუნტად არის შესაძლებელი.

ალექს მაკლიშს „ასტონ ვილას“ პატრონებმა ზაფხულში დასახარჯად დაახლოებით 40 მილიონი ფუნტი მისცეს, საიდანაც, დიდ ეკს 10 მილიონი კიდევ ერთი ძარცვისთვის სჭირდება — ყოფილ გუნდ „ბირმინგემ სიტის“ მეკარე **ბენ ფოსტერი** უნდა წაართვას. კიდევ, ამბობენ, რომ „ვილას“ ახალი თავკაცი „სანდერლენდს“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველის **ვეს ბრაუნის** ყიდვაში შეუშლის ხელს, რადგან ეს 31 წლის მოთამაშე თავისთვის უნდა.

**ევერტონი**

### ფელაინის მომავალი

„ევერტონი“ იმედიანადაა — ლივერპულის კლუბის ხელმძღვანელები წარმატებით აგრძელებენ მოლაპარაკებას 23 წლის ბელგიელ ნახევარმცველ **მარუან ფელაინისთან**. დიდი შანსია ფელაინი მომავალშიც „გუდისონ პარკზე“ დარჩეს.

კონტრაქტის თანახმად ფელაინის „ევერტონთან“ კიდევ ორი წელიწადი აკავშირებს, მაგრამ მერსისაიდში უკვე მსჯელობენ მის მომავალზე. აქ, ამ ფეხბურთელთან განშორება ორი წლის შემდეგაც კი არ სურთ.

**ვულვერჰემპტონი**

### კონჩესკის ამბავი



პოლ კონჩესკი მგლებს სურთ

„ვულვერჰემპტონს“ „ლივერპულისგან“ მცველის, **პოლ კონჩესკის** ყიდვა უნდა. 30 წლის ინგლისელი მოთამაშის გაყიდვას მერსისაიდელები სულაც არ უარობენ, უბრალოდ, იმავე ფასის მიღება უნდათ, რაც ფასადაც შარშან ამ დროს „ფულჰემისგან“ შეიძინეს. ეს თანხა 3,5 მილიონი ფუნტია.

„ვულვზის“ მწვრთნელ **მიკ მაკარტის** „ბირმინგემ სიტის“ ფეხბურთელების, **როჯერ ჯონსონის** და **კრეიგ გარდნერის** გადაბირებაც უნდა.

**ბირმინგემი**

### ძოლას ეპატიჟებიან

„ვესტ ჰემის“ ყოფილი მწვრთნელი, იტალიელი **ჯანფრანკო ძოლა** შესაძლოა „ბირმინგემ სიტის“ მწვრთნელი გახდეს. ბირმინგემელები, რომელთაც მწვრთნელი, **ალექს მაკლიში** „ასტონ ვილაში“ გაექცათ, 44 წლის სპეციალისტთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ.

საინტერესოა, რომ ბირმინგემელი



ჯანფრანკო ძოლა

„ლურჯების“ თავმჯდომარე **პიტერ პენუმ** ბოლო დღეებში კიდევ ერთ იტალიელთან, „ვესტ ბრომვიჩის“ თავკაც **რობერტო დი მატეოსთან** მოსინჯა ნიადაგი. დი მატეო 41 წლის არის.

**ლიდს იუნაიტედი**

### გახსოვთ ლიდს იუნაიტედი?

„ლიდს იუნაიტედი“, რომელიც ოდესღაც გრგვინავდა, დღეს კი ჩემპიონშიპის მეშვიდე გუნდია, თავისი დიდების დროინდელ, ოღონდ მობერებულ ვარსკვლავებს, **ალან სმიტს, ლი ბოიერს** და **ჯონათან ვუდგეიტს** იბრუნებს. აღსანიშნავია, რომ სამივე თავისუფალია და მათ „ელანდ როუდზე“ დაბრუნებაში პენიც კი არ იქნება გადასახდელი.

*„როდესაც კარგი ფეხბურთელების დამატების შესაძლებლობა გეძლევა, მომენტი ხელიდან არ უნდა გაუშვა“* — თქვა „ლიდსის“ მწვრთნელმა, **საიმონ გრეისონმა**.

30 წლის ალან სმიტი გასულ სეზონში „ნიუკასლ იუნაიტედში“ თამაშობდა, 34 წლის ლი ბოიერი „ბირმინგემ სიტის“ ფეხბურთელი იყო, ხოლო 31 წლის ჯონათან ვუდგეიტი „ტოტენჰემისა“ გახლდათ.

## შოტლანდია

**სელტიკი**

### მაინც ლენონი დატოვეს

„სელტიკის“ თავკაცად **ნილ ლენონს** ტოვებენ, თან, გაუმჯობესებული კონტრაქტით. ჩრდილოირლანდიელი სპეციალისტი ოჯახთან ერთად დასასვენებლად პორტუგალიაში იყო და გლაზგოს დასვენებული დაუბრუნდა. ახალი შემართებით დახვდნენ კლუბშიც - ერთწლიან ხელშეკრულებას, რომელიც ბოლოდროინდელ ჭორებსა და კამათს წერტილს დაუსვამს, ხელმოწერაღა აკლია.

შვებულებაში გასვლის წინ ლენონს „პარკჰედის“ ბინადართან ნახევარწლიანი კოტრაქტი ჰქონდა გაფორმებული და ხელფასსაც გაცილებით ნაკლებს იღებდა ვიდრე მისი წინამორბედი მწვრთნელები. ახალი პირობები მას, რასაკვირველია, დააკმაყოფილებს. ლენონის ხელმძღვანელობით „სელტიკმა“ შოტლანდიის თასი მოიპოვა, ჩემპიონობა კი, ვაგლახ, „რეინჯერსს“ გაატანა, თუმცა მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა.

აღსანიშნავია, რომ ნილ ლენონი ძლიერი პიროვნებაა. მან არად ჩააგდო უსიამოვნო ამბები, რომლებიც თავს გასული სეზონის განმავლობაში გადახდა. ჩრდილოირლანდიელს არც საკუთარი ქომაგი ინდობდა და არც სხვისი. მას, შინ, ფოსტით ტყვიებს უგზავნიდნენ, მეილით მუქარებს სწერდნენ და ერთხელ ედინბურგში, „ჰართსის“ სტადიონზე ვიღაც ხულიგანი თავს დაესხა კიდეც.

ლენონი ამ კვირაში 40 წლის ხდება და სავარაუდოდ, დღეობას ახალი კონტრაქტით შეხვდება.

„სელტიკის“ ფეხბურთელები ლენოქსთაუნის საწვრთნელ ბაზაზე ხუთშაბათს ბრუნდებიან. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ლენონი ახალი ფეხბურთელების ყიდვასაც შეუდგება. ცნობილია, რომ ის ინგლისური „რედინგიდან“ 24 წლის ირლანდიელი თავდამსხმელის, **შეინ ლონგის** შეძენას აპირებდა, მაგრამ ჩემპიონშიპის გუნდმა ლონგი 7 მილიონ ფუნტად დააფასა და ამიტომ ლენონმა, შესაძლოა, ფეთაჰ თიქვას „მაკაბის“ მიმართოს — ისრაელის გუნდში 22 წლის **ომერ დამარი** თამაშობს, რომლის შეძენაც 3 მილიონად არის შესაძლებელი. მეტიც, „სელტიკი“ იმედოვნებს, რომ „მაკაბის“ ხელმძღვანელობას დაელაპარაკება და ფასს დაახლოებით 2 მილიონამდე დააკლებინებს.

არის ლაპარაკი კენიელ ფეხბურთელზე, 19 წლის ნახევარმცველ **ვიქტორ ვანიამაზე**, რომელიც ამჟამად ბელგიის „ჟერმინალში“ თამაშობს. ვანიამას ყიდვა ლიეჟის „სტანდარდსაც“ უნდა, მაგრამ თუ „სელტიკი“ შეატყობს, რომ საკუთარ ფეხბურთელს, 23 წლის ებრაელ **ბერამ კაიალს** კონტრაქტს ვეღარ უხანგრძლივებს, ლიეჟელებს დიდ კონკურენციას გაუწევს.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



ბარსელონა

## ანდრესი: ამის გამეორება ძნელი იქნება




ანდრეს ინიესტა

„ბარსელონას" ვარსკვლავი **ანდრეს ინიესტა** აცხადებს, რომ მის კლუბს ძალიან გაუჭირდება მომავალ სეზონში მიღწეულის გამეორება. ანდრესი იუნესკო-ვალდინიას სპორტული მიღწევებისთვის დაჯილდოების ცერემონიალზე გამოვიდა, სადაც მთელი საფეხბურთო სეზონი შეაჯამა. შეგახსენებთ, რომ 2010 წლის 11 ივლისს ინიესტა ესპანეთის გმირი გახდა, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გადამწყვეტი გოლის გატანით. იუნესკომ ინიესტა სწორედ ამ გოლის აღნიშვნისას გამო დააჯილდოვა. მაშინ ინიესტამ გოლი „ესპანიოლის" კაპიტნის, **დანი ხარკეს** ხსოვნას მიუძღვნა. „მაგალითი სხვებისთვის" – ასე დაახასიათეს ანდრეს ინიესტა დაჯილდოების ცერემონიალზე.

ინიესტამ გასულ სეზონს „განსაკუთრებული" უწოდა. *„მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ძალიან კარგი წელიწადი მქონდა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ტიტულები კვლავ მოვიგეთ. მე კი ერთ ძალიან დიდ პირად ტიტულს შევწვდი – მამა გავხდი. ძალიან, ძალიან ძნელი იქნება ასეთი კარგი სეზონის გამეორება, თუმცა ჩვენ შევეცდებით. კლუბში დიდებული ატმოსფეროა, ყველას მხოლოდ საუკეთესო უნდა ჩვენთვის. განსაკუთრებით მხარში პრეზიდენტი სანდრო როსელი გვიდგას"*, - განაცხადა 27 წლის ნახევარმცველმა.

### ლუის ენრიკეს შემცვლელი



ეუსებიო საკრისტანი

„ბარსელონას" ხელმძღვანელებმა ოფიციალურად დაამტკიცეს **ლუის ენრიკეს** შემცვლელი B გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე. როგორც მოსალოდნელი იყო, „ბარსელონას" სარეზერვო გუნდი **ეუსებიო საკრისტანმა** ჩაიბარა. უახლოეს დღეებში კონტრაქტიც გაფორმდება. ეუსებიო მომავალ სეზონში უხელმძღვანელებს „ბარსელონა B-ს", კონტრაქტის მიხედვით, შესაძლებელია თანამშრომლობის კიდევ ერთი სეზონით ავტომატურად გაგრძელება. ეუსებიო საკრისტანი 47 წლის სპეციალისტია. ფეხბურთელობისას ის ნახევარმცველი იყო და „ბარსაში" 1988 წლიდან 1995 წლამდე ითამაშა. ესპანეთის ნაკრებში ეუსებიომ 15 მატჩი ჩაატარა, 2003-08 წლებში კი ფრანკ რაიკაარდის სამწვრთნელო შტაბში იყო. ამას მოჰყვა უილბლო მწვრთნელობა „სელტაში", საიდანაც ზუსტად ერთი წლის წინათ გაუშვეს.

## სანჩესი 50 მილიონი ღირს?

„ბარსელონას" გულშემატკივრები ახლა ყველაზე მეტად გუნდში ჩილელი **ალექსის სანჩესის** შესაძლო ტრანსფერზე ლაპარაკობენ. თუმცა ეს სუპერტრანსფერი არც ისე ახლოსაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. აი, რას ამბობს „უდინეზეს" მფლობელი **ჯამპაოლო პოცო:**

*„ალექსისი, სულ მცირე, 50 მილიონი ევრო ღირს. ეს სამართლიანი ფასია. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ასეთი დონის ფეხბურთელის შენარჩუნება გაგვიჭირდება"*. მოკლედ, ვყიდითო, მაგრამ ძალიან ძვირადო. გავიხსენოთ, ერთი კვირის წინ ესპანურ მედიაში გავრცელებული ცნობა – **სანდრო როსელმა** სატრანსფერო საქმეებზე სულ 45 მილიონი ევრო გამოყო. ამით მხოლოდ სანჩესიც არ მოვა, არადა, „ბარსას" კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი ჰყავს შეგულებული.

„ბარსელონა" გამოსავლის ძიებაში სხვა ვარიანტს ათანხმებს – თანხას + ფეხბურთელები. ასეთი იქნება კატალონიელთა წინადადება და აქედანვე ცნობილია, რომ პოცო ყაბულსაა, მაგრამ იტალიელებს არ მოსწონთ „ბარსას" ვარიანტი: სანჩესში თანხის გარდა **ბოიან კრკიჩი** და **ჯონათან სორიანო** გაიმეტონ. ჯერ ერთი, კრკიჩი კატეგორიული წინააღმდეგია, ვინმეს სატრანსფერო გარიგებაში „ხურდის" როლში გამოვიდეს, მეორეც, იტალიელები არ არიან დაინტერესებულნი სეგუნდადივიზიონის ბომბარდირ სორიანოს დამატებით. პოცოს წარმომადგენელი ესპანეთში, **კიკე პინა** სხვა გვა-


SPORT
902
123
018
ALEXIS VIAJA PARA CERRAR SU FICHAJE
“ME VOY AL BARÇA”
CESC
ROSSI

„სპორტის" პირველი გვერდი, „მე მინდა ბარსაში", - აცხადებს ჩილელი

რებს ასახელებს: **ხეფრენ სუარესი** და **ჯონათან დოს სანტოსი**. სხვათა შორის, სამხრეთამერიკული წარმოშობის კატალონიელი სუარესი მოვლენათა ასეთ განვითარებაზე ყაბულსაა.

სტატისტიკური დეტალი: ალექსის სანჩესი იმდენად ტექნიკურია, რომ მის წინააღმდეგ უჯარიმოდ თამაში ყველას უჭირს. სერია A-ს გასულ სეზონში ყველაზე მეტჯერ ჩილელის წინააღმდეგ დაჯარიმდნენ – საშუალოდ ყოველ 21 წუთში ერთხელ.

### ბოლო ცდა

როგორც კატალონიური მედია აცხადებს, „ბარსელონამ" **სესკ ფაბრეგასის** ტრანსფერის განხორციელების ბოლო ცდა წამოიწყო. მოლაპარაკების პირველი ეტაპი რომ გაიმართა, „არსენალის" პრეზიდენტმა **პიტერ ჰილ-ვუდმა** თავადვე აღიარა. ჰილ-ვუდმა ისიც თქვა, რომ ეს საკითხი შეიძლება დროში გაიჭიმოს. „არსენალის" პრეზიდენტს მთელი ყურადღება ისეთი ფეხბურთელების შენარჩუნებაზე აქვს გადატანილი, როგორიც **სამირ ნასრია**, რაც შეეხება გუნდის ესპანელ კაპიტანს, ის შეიძლება მართლა გაუშვან „ბარსაში", თუმცა, რა თქმა უნდა, სათანადო შემოთავაზების შემთხვევაში. პრეზიდენტისგან განსხვავებით, სესკის გაშვება სამშობლოში ცოცხალი თავით არ სურს **არსენ ვენგერს**.

### ბარსა-ესპანიოლი, კონფლიქტი პატარების დონეზე

„ბარსელონა" და „ესპანიოლი" ყველაფერში ერთმანეთის მოქიშპენი არიან. ახლა განსაკუთრებით გაღვივდა კონფლიქტი თანაქალაქელთა კანტერებს, ანუ ახალგაზრდულ კლუბებს შორის. რა თქმა უნდა, მიზეზი ნიჭიერ ფეხბურთელთა გადაბირებებია, რომლებიც ხშირად მალულად და კანონის დარღვევით ხდება. ბოლო სეზონში კლუბებმა ერთმანეთს „თავდაუსხმელობის პაქტი" დაუდეს, თუმცა ბოლოდროინდელმა „ტრანსფერებმა" ყველაფერი ძველებურად არია. გასულ კვირაში „ბარსამ" „ესპანიოლის" 6 პატარა ტალანტი გადაიბირა, რამაც ამ გუნდის ხელმძღვანელთა აღშფოთება გამოიწვია. „ესპანიოლის" საპასუხო სვლამაც არ დაახანა – მათ „ბარსას" კადეტი **მარკ ნავარო** გადაიყვანეს.

რეალი

## ჯერ გაუშვებენ, მერე იყიდიან




ფერნანდო გაგო წასვლის რეალური კანდიდატია

„რეალის„ სატრანსფერო პოლიტიკა, ბუნებრივია, ამ კლუბის ხელმძღვანელთა კაბინეტებში წყდება. სწორედ ასეთი შეხვედრა შემდგარა გასულ კვირაში, რომელშიც **ჟოზე მოურინიო** მონაწილეობდა. მოურინიო „რეალის„ პრეზიდენტ **ფლორენტინო პერესს** შეხვდა, ამ შეხვედრას გენერალური დირექტორი **ხოსე ანხელ სანჩესიც** ესწრებოდა. როგორც „მარკა„ იუწყება, კლუბის ბოსები იმაზე შეთანხმდნენ, რომ ახალ შენაძენებს მანამდე არ გააკეთებენ, სანამ ბალასტს არ მოიცილებენ. „რეალი„ 3-4-მა ფეხბურთელმა უნდა დატოვოს ჯერ.

გუნდში ახლა 28 ფეხბურთელია იჯარიდან დაბრუნებული **როისტონ დრენტეს, დავიდ მატეოსის,** მესამე მეკარე **ტომას მეხიასისა** და ახალწვეულების (**კალეხონი, შაჰინი, ალთინთოფი**) ჩათვლით. პორტუგალიელი სპეციალისტი შვებულებაში გასვლამდე ფეხბურთელებთან დალაპარაკებას აპირებს. მოურინიოს გუნდში 23 ფეხბურთელზე (+ მეხიასი, რომელიც „რეალ კასტილიაში„ ირიცხება) მეტი არ სჭირდება. პირველ ეტაპზე გუნდიდან 3 ან 4 ფეხბურთელს გაუშვებენ. შემდეგ მიიღებენ მარცხენა მცველ **ფაბიო კოენტრაუს**, გააკეთებენ არჩევანს **ნეიმარსა** და **სერხიო აგუეროს** შორის და კიდევ ერთი-ორს გაუშვებენ.

### ნური, ყველაზე პერსპექტიული

ფიფა-ს ოფიციალურმა ვებსაიტმა გულშემატკივართა გამოკითხვის შემდეგ, პლანეტის ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდა ფეხბურთელად მადრიდის „რეალის„ 23 წლის თურქი ახალწვეული **ნური შაჰინი** დაასახელა. ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელმა დიდი უპირატესობით მოიგო გამოკითხვა - მან ხმების ნახევარი მიიღო. შაჰინმა ისეთ ახალგაზრდა ვარსკვლავებს გაასწრო, როგორიც **ალექსის სანჩესი** (უდინეზე), **ხავიერ პასტორე** (პალერმო), **გარეთ ბეილი** (ტოტენჰემი) და **განსოა** (სანტოსი).

### ეკიპმა, 30 მილიონიო

ფრანგულმა „ეკიპმა„ გამოჩხრიკა „რეალისა„ და „ინტერის„ ხელმძღვანელთა მოლაპარაკებების დეტალები, რომელიც **კაკას** მილანში სავარაუდო ტრანსფერს შეეხება. იტალიური გრანდი ბრაზილიელის ნაცვლად „სამეფო კლუბს„ 30 მილიონ ევროს სთავაზობს, მაგრამ ამ თანხაზე ესპანელები ყაბულს არ არიან. მათ 29 წლის ნახევარმცველის სანაცვლოდ 10 მილიონი ევროთი მეტი სურთ. შეგახსენებთ, რომ 2009 წელს „რეალმა„ კაკას სანაცვლოდ „მილანს„ 68,5 მილიონი გადაუხადა. მას შემდეგ კაკამ ვერაფრით შეძლო ესპანეთში ფეხის მოკიდება, რაშიც მას გამუდმებით ტრავმები უშლიდა ხელს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**




კაკას წასვლა არ უნდა, რეალს - კაკა

საირმეს დაბადება 40 წლის შემდეგ
განახლებული კურორტი საირმე!
ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის ივლისში განახლებული კურორტი საირმე უკვე პირველ დამსვენებლებს მიიღებს. სამკურნალო, მინერალური და თერმული წყლებით მდიდარი საბადოები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, მთის კლიმატი – ეს ყველაფერი ერთად გვხვდება ბალნეოლოგიურ კურორტ საირმეში, რაც მას მთელ ევროპაში გამოარჩევს და უნიკალურს ხდის.
3-ვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს პასუხობს სასტუმრო კომფორტული ნომრებით-ყველა ნომერში არის ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია, სწრაფი ინტერნეტი და სრული საყოფაცხოვრებო კომფორტი, თანამედროვე ავეჯით.
ბუნებრივი თერმული წყლების კურორტი უდაბნო - ევროპული სტანდარტების სპა ცენტრი.
უფრო მეტს, საირმის განახლებული კომპლექსის შესახებ ვებგვერდის:
www.sairme.com.ge
შეიტყობთ.


ჩოგბურთი

# ტატიშვილის ისტორიული გამარჯვება

## ანამ უიმბლდონი რუსის გაგდებით დაიწყო

ამერთი მოგებით 21 წლის **ანა ტატიშვილმა** (118) იმდენ რამეს მიაღწია, რომ ჯერ მათ ჩამოვთვლით: დავიწყოთ იმით, რომ ეს მისი კარიერის პირველი გამარჯვებაა „დიდი სლემის“ ტურნირების ძირითად ბადეში. ანამ ეს მეორე ცდაზე მოახერხა, პირველად მან მაისში, საფრანგეთის ღია პირველობაზე ითამაშა ამ დონის ტურნირის ძირითად ბადეში, სადაც ფრანგ ფავორიტ **მარიონ ბარტოლის** ერთი სეტი მოუგო, თუმცა შემდეგ დამარცხდა. 5-წლიანი პაუზის შემდეგ, ქართველმა ჩოგბურთელმა პირველად გაიმარჯვა „დიდი სლემის“ ტურნირში. ბოლოს ეს **ირაკლი ლაბაძემ** 2006 წლის უიმბლდონზე მოახერხა, როცა მერვედფინალამდე მივიდა და მხოლოდ **რაფაელ ნადალთან** დამარცხდა. ქალ ჩოგბურთელთა შორის კი ქართველებს „დიდი სლემის“ ტურნირებში 17 წელიწადი არ მოეგოთ! ბოლოს **ლეილა მესხმა** 1994 წლის ამერიკის ღია პირველობაზე გაალწია მერვედფინალში, სადაც იაპონელ **კიმიკო დატესთან** (რომელიც, სხვათა შორის, ახლაც აქტიური ჩოგბურთელია, თანაც წარმატებული) ბრძოლაში გამოეთიშა. ამ ერთი გამარჯვებით ანამ 100 სარეიტინგო ქულა გაინაღდა და 23 ათასი დოლარი ჰონორარის სახით. არასოდეს ტატიშვილს ერთი თამაშით არ მოუხვეჭია ამხელა მონაგარი.

ჩვენი თანამემამულე უიმბლდონის რიგით 125-ე გათამაშების პირველ წრეში თანატოლ რუს **ანასტასია პივოვაროვას** ხვდებოდა (114). მეტოქე რეიტინგში ოდნავ წინაა, ოდნავ მეტი გამოცდილებაც აქვს, ახალგაზრდულ ასპარეზზეც მეტად გამოირჩეოდა (მე-2 ჩოგანი იყო). ამიტომაც შეხვედრის ფავორიტი პივოვაროვა იყო და არა ტატიშვილი. თამაში უიმბლდონის ნომერ მე-9 კორტზე გაიმართა, ბუნებრივია, ტელეტრანსლაცია ამ კორტზე არ წარმოებს. პივოვაროვა და ტატიშვილი ადგილობრივი დროით, 12 საათზე გავიდნენ სათამაშოდ.

დასაწყისი ტატიშვილის იყო - პირველი 4 გეიმიდან ჩვენებურმა 3 მოიგო, თუმცა მერე და მერე პივოვაროვას უპირატესობა აშკარა გახდა. ტატიშვილს კი არაფერი გამოსდიოდა - 3:1-ის შემდეგ ანამ I სეტი 3:6 დათმო. მეორე სეტიდან მოყოლებული ქართველი უკეთ თამაშობდა და მან დამსახურებულადაც გაიმარჯვა - 3:6, 6:2, 6:3. ბოლო, გადამწყვეტ სეტში ანამ 1:1-ის შემდეგ ზედიზედ სამი გეიმი მოიგო, თუმცა მთლად უპრობლემოდ არც ამ სეტს ჩაუვლია - თავის მოწოდებაზე რუსმა იმარჯვა და ჩვენებურის მოწოდებასაც „ჩაეჭიდა“, თუმცა ყველაზე გადამწყვეტ გათამაშებაში ანას ნერვებმა არ უღალატა და თამაში ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა.

პირველი სეტი 39 წუთში დასრულდა, მეორე - 34-ში, ხოლო მესამე - 42-ში. ჯამში თამაშს თითქმის ორი საათი დასჭირდა (სუფთა დროს ვგულისხმობთ). თამაშის სტატისტიკას ჩავუღრმავდეთ: ანა უფრო აკურატულად აწვდიდა პირველ მოწოდებას (77% პივოვაროვას 75-ის წინააღმდეგ), რუსმა 4 ეისი ჩააგდო, ქართველმა მხოლოდ - 1, ტატიშვილი 4-ჯერ შეცდა ორმაგად, პივოვაროვა - 3-ჯერ. ჩვენებურმა პირველი მოწოდებით 72-დან 51 მოიგო (72%), მისმა მეტოქემ - 74-დან 44 (59%). გამარჯვებულმა 15-დან 5 ბრეიქპოინტი გამოიყენა, წაგებულმა - 10-დან 3. ტატიშვილი ბადესთან 14-ჯერ გავიდა (11-ჯერ წარმატებულად), პივოვაროვა 9-ჯერ (5).






მეორე წრეში ტატიშვილის მეტოქე მსოფლიოს მე-19 ჩოგანი **იანინა ვიკმაიერია**. ბელგიელმა, რომელიც უიმბლდონზე მე-19 ნომრად არის განთესილი, პირველ წრეში ორ სეტში მოუგო ამერიკელ **ვარვარა ლეპჩენკოს** (82) - 7:5, 6:3. ვიკმაიერიც 21 წლისაა, თუმცა გაცილებით ბევრისთვის მიუღწევია მსოფლიო ჩოგბურთში. 2009 წელს ის ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალში გავიდა, უიმბლდონზე მისი საუკეთესო მიღწევა მესამე წრეა (შარშანდელი შედეგი). ამიტომ ბელგიელს ჰაერივით სჭირდება ქართველის დამარცხება, რომ შარშანდელი ქულები შეინარჩუნოს. ამ მატჩის გამარჯვებული 160 სარეიტინგო ქულას მიიღებს და 40 ათასი დოლარით გამდიდრდება. ეს ჩოგბურთელები ერთმანეთს ორჯერ შეხვდნენ - 2008 წელს ვიკმაიერმა ჩვენებურს ინდიან ბიჩის (აშშ) ტურნირის ნახევარფინალში შანსი არ დაუტოვა, 6:2, 6:0 მოუგო. წლეულს, აპრილში კი ანა ჩარლსტონში (აშშ) ტოლსწორად ეომა ბელგიელს, მაგრამ მაინც დამარცხდა - 4:6, 5:7.

აქვე გთავაზობთ გუშინ გამოქვეყნებულ ქართველ ჩოგბურთელთა რეიტინგებს: 118 (+2) ანა ტატიშვილი - 579 ქულა; 193 (+1) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 300; 237 (-16) **მაკა ჩახნაშვილი** - 229; 292 (+7) **სოფიო შაფათავა** - 178; 331 (-5) **თათია მიქაძე** - 139; 406 (-12) **სოფიო ქვაცაბაია** - 97; 552 (-9) **ეკა გორგოძე** - 55; 1148 (-23) **მანანა შაფაქიძე** - 4.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფოტოები ლონდონიდან მოგვაწოდა **მიხეილ ქორქიამ** (საგანგებოდ „ლელოსთვის“)

ჭიდაობა

# ჭაბუკთა 7 მედალი კუშადასიდან

საქართველოს ჭაბუკ მოჭიდავეთა გუნდებმა ამ უქმეებზე თურქულ კუშადასში თანატოლთა დიდ საერთაშრისო ტურნირში იასპარეზეს, რომელსაც ცნობილმა კურორტმა წლეულს XIV-ედ უმასპინძლა. ეს შეჯიბრება დიდი პოპულარობით სარგებლობს და იქ ყოველთვის უძლიერესი შემადგენლობა იკრიბება ხოლმე. მით უფრო, ტურნირი ევროპის პირველობისთვის მზადების ეტაპში მეტად ხელსაყრელად ჯდება და ყველასთვის მისაღებ ვადებში ტარდება. გამონაკლისი არც წლევანდელი ასპარეზობა ყოფილა - თურქები ხომ რამდენიმე გუნდით გამოდიოდნენ, იყვნენ ირანის, რუსეთის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, კანადის, შვედეთის და სხვათა ნაკრებები.

საქართველოდან ბიჭებში ორივე სტილის მოჭიდავეთა გუნდი გამოდიოდა, რომლებმაც ჯამში შვიდი მედალი მოიპოვეს. უფრო უკეთ ბერძენ-რომაელებმა იასპარეზეს, რომლებმაც ოთხი ჯილდო ირგუნეს - ერთი ოქრო და სამი ვერცხლი, „თავისუფლებმა“ კი - ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო. ბერძენ-რომაელთაგან ჩემპიონი **შმაგი ბოლქვაძე** (58) გახდა, **ლეონ ხოზრევანიძე** (46), **ლაშა გობაძე** (76) და **ირაკლი კოვზირიძე** (85) კი მეორეზე გავიდნენ. „თავისუფალთაგან“ ვერცხლის მედლები **გიორგი ჩხარტიშვილმა** (76) და **ბექა როჭიკაშვილმა** (85) მოიპოვეს, შეჯიბრების მესამე პრიზიორი კი **ტაიფუნ აბდულაევი** (42) გახდა.

სამწუხაროდ, ტურნირის პერიპეტიებზე ბევრს ვერაფერს გეტყვით ოფიციალური ცნობების სიმწირის გამო. ვიცით მხოლოდ ის, რომ ბოლქვაძემ ფინალში მასპინძელი **ემრე ბასარი** დაამარცხა. გადამწყვეტი შეხვედრა თურქთა ფალავანთან დათმო **ირაკლი კოვზირიძემაც** (85) - **ფატიჰ ბასკისთან**, ხოზრევანიძე და გობაძე კი ირანელებთან დამარცხდნენ - პირველი **კონსენტ ხედრისთან**, მეორე - **მასოუდ მორადისთან**.

„თავისუფალთაგან“ ჩხარტიშვილმა ფინალი რუს **ალიმბეკ აიდინოვთან** დათმო, როჭიკაშვილმა - ირანელ **ჰატამ ალიაკბარზადენთან**.

**ირაკლი თავაძე**

# სერბეთში ახალგაზრდული ევროპა იწყება



ხვალ სერბულ ზრენჯანინში ევროპის ჩემპიონატი იწყება ახალგაზრდა მოჭიდავეთა შორის. მასში თავიდან თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაებმებიან, ჩვენი ნაკრები კი ასეთი შემადგენლობით გამოვა: **ლაშა ტალახაძე** (50), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **თენგიზ ჩოჩიშვილი** (60), **დავით ტლაშაძე** (66), **ბექა პეტრიაშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **თედო ებანოიძე** (96), **გენო პეტრიაშვილი** (120).

ხვალ 50, 60, 74 და 96 კილოგრამების ფალავნები იჭიდავებენ, დანარჩენები - ზეგ. ამის შემდეგ მომდევნო ორი დღე გოგოების შეჯიბრებას დაეთმობა, სადაც ამჯერად მონაწილე არ გვყავს, 25-26 ივნისს კი ბერძენ-რომაელთა პირველობა გაიმართება. ამ ნაკრებში **ნიკოლოზ ცეცხლაძე** (50), **თორნიკე ტოტიკაშვილი** (55), **გოგიტა გოგიბერაშვილი** (60), **საჩინო დავითაია** (66), **ზურაბ დათუნაშვილი** (74), **დავით ჩაკვეტაძე** (84), **სანდრო დიხამინჯია** (96) და **სერგო გოგისვანიძე** (120) იჭიდავებენ.

**ირაკლი თავაძე**

კრივი

# სამნი მეოთხედფინალში

თურქეთის დედაქალაქ ანკარაში გრძელდება მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი. გუშინ წარმატებით იასპარეზა **ზაალ კვაჭატაძემ** (69 კგ). მან უკრაინელ დენის ლაზარევს სძლია და მეოთხედფინალში გავიდა. ასევე მეოთხედფინალში იასპარეზებენ **ჯაბა ხოსიტაშვილი** (უნგრელ ზოლტან პარკსას მოუგო) და მძიმეწონოსანი **მიხეილ ბახტიძე**, რომელმაც 7 ქულით პოლონელი მარჩინ რეკოვსკი დაამარცხა. სამივე ჩვენებურს მედლების გასანაღდებლად თითო მოგებაღა ჰყოფნით.

**ვაჟა დანელია**

ქართული ჭიდაობა

# პრეზიდენტი ქართლშიც გიორგაძეა

„ლელო“ რამდენჯერმე წერდა, რომ პარადოქსი იყო შიდა ქართლში ქართული ჭიდაობის რეგიონული ფედერაციის არარსებობა. და აი, საკითხი მოგვარდა - ფედერაცია ჩამოყალიბდა. დაფუძნებას ქართული ჭიდაობის ადგილობრივი სპეციალისტები, ყოფილი ტიტულოვანი და ამჟამად მოქმედი სპორტსმენები ესწრებოდნენ. ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე წარდგენილი იყო რეგიონის ვიცე-გუბერნატორის **პაატა გიორგაძის** კანდიდატურა, რომელსაც, როგორც შევიტყვეთ, მისი მოგვარე, საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **თემურ გიორგაძეც** უჭერდა მხარს. პაატა გიორგაძე პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს, ვიცე - პრეზიდენტი ცენტრალური სასპორტო სკოლის დირექტორი **იაგო ჯალაბაძე** გახდა, გენერალური მდივანი - ჭიდაობის კომპლექსური სკოლის დირექტორი **ანზორ თენაძე**. ალმასკომში შევიდნენ: **გურამ პაპიტაშვილი, გივი ზაუტაშვილი, ქართლოს პავლიაშვილი** და ქართული ჭიდაობის სხვა ცნობილი სპეციალისტები თუ მოღვაწენი.

*„რეგიონში ქართული ჭიდაობის სადავეების ჩემთვის ჩაბარება საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმეა. ყველას კარგად მოგეხსენებათ რა თაობები ქმნიდნენ ქართლში ქართული ჭიდაობის საამაყო ტრადიციებს... ჩვენ მათი საქმის ღირსეული გამგრძელებლები უნდა ვიყოთ! მზად ვარ, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად პრობლემების გადაჭრაში დაგეხმაროთ. თუ რომელიმე პრობლემა უმალ ვერ მოგვარდება, იმას მაინც ვერ იგრძნობთ, რომ არაფერი ვილონეთ. თქვენს გვერდით ვარ და მომავალშიც თქვენთან მიგულეთ. ცხადია, გარჯის პარალელურად შედეგსაც ადეკვატურს მოგთხოვთ“* - უთხრა პაატა გიორგაძემ შეკრებილებს. შეთანხმდნენ იმაზეც თუ ვინ უხელმძღვანელებენ რეგიონის ნაკრებ გუნდებს ქართულ ჭიდაობაში. გადაწყდა, რომ უფროსი ასაკის, ანუ მთავარ და ახალგაზრდულ გუნდებს უწინდელივით გივი ზაუტაშვილი უთავკაცებს ანზორ თენაძესთან და ქართლოს პავლიაშვილთან ერთად. ჭაბუკთა და უმცროსი ასაკის ნაკრებებს კი **ნიკო ბიბილაშვილი** და **დავით პავლიაშვილი** გაწვრთნიან. აქვე გიორგაძემ, გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე **ვანო ხორგუაშვილთან** ერთად ფალავნებს მიულოცა ამ დღეებში საქართველოს პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში მოპოვებული გუნდური გამარჯვება. „ექვს წონით კატეგორიაში გათამაშებული 18 მედლიდან 9 შიდა ქართლის რეგიონს ერგო. ბუნებრივია, მწვრთნელები უკმაყოფილო ვერ ვიქნებით მიღწეულით, მით უფრო, რომ ვგეგმავდით კიდეც გუნდურ გამარჯვებას.“ - თქვა რეგიონის გუნდის თავკაცმა გივი ზაუტაშვილმა.

**ვასილ ბალახაძე**

გორიდან

**დავით ასპანიძის** ფოტო



მარცხნიდან: პაატა გიორგაძე, გურამ პაპიტაშვილი და ვანო ხორგუაშვილი

ჭადრაკი

# ლიდერს მოუგო და დაწინაურდა

ჯერმუკში სომეხი მოჭადრაკის კარენ ასრიანის მე-4 საერთაშორისო მემორიალში ხუთი ტური მიილია. გუშინ ქართველმა დიდოსტატმა **კონსტანტინე შანავამ** შავი ფიგურებით ერთპიროვნული ლიდერი მიხაილ ულიბინი (რუსეთი) დაამარცხა და 4,5 ქულით თავად დაწინაურდა. ჩვენებურის მსგავსად 3,5 ქულა ჰქონდა მასპინძელ აშოტ ნადანიანს, მაგრამ მე-5 ტურში იგი მაქსიმ ტუროვს (რუსეთი) დაუზავდა და მხოლოდ 4 ქულას მოუყარა თავი. სამ-სამქულიანთა პაექრობებში დაზავდნენ: არა მინასიანი (სომხეთი)-სამველ ტერ-საჰაკიანი (სომხეთი), **შოთა აზალაძე**-რობერტ ჰოვანესიანი (სომხეთი), დანიილ დუბოვი (რუსეთი)-ჰოუია იდანი (ირანი), რობერტ ალასარიანი (სომხეთი)-**დავით მალალაშვილი**. ორი პარტია შედეგიანი გამოდგა: მასპინძელმა ჰრაირ სიმონიანმა თანამემამულე დიდოსტატი ქალბატონი თათევ აბრაჰამიანი დაამარცხა, ტიგრან კოტანჯიანმა კი ჰოვანეს გაბუზიანს (ორივე-სომხეთი) სძლია.

შეჯიბრებაში 6 ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობს, მათ შორის - ორი მანდილოსანი. როგორც გახსოთ, კარგი სტარტი აიღო **ნინო ბაციაშვილმა**, მეორე ტურში მან ასპარეზობის რეიტინგფავორიტ არმან პაშიკიანსაც კი აჯობა, მაგრამ მომდევნო სამ ტურში მხოლოდ ნახევარი ქულა შესძინა მონაგარს. გუშინ თეთრი ფიგურებით უტიტულო არამ პლუზიანთან (სომხეთი) წააგო, **სოფიო გვეტაძე** კი დიდოსტატმა ევგენი გლეიზეროვმა (რუსეთი) დაჯაბნა. საკუთარ მონაგარს ქულა შესძინა **ბაჩანა მორჩიაშვილმა** - სომეხ საერთაშორისო ოსტატ ანა ჰაირაპეტიანს გააჩერებინა საათი.

ხუთი ტურის შემდეგ ქართველთა მონაგარი ასეთია: შანავა-4,5, მალალაშვილი, აზალაძე-3,5-3,5, მორჩიაშვილი-3, გვეტაძე, ბაციაშვილი-2,5-2,5 ქულა. ლიდერთა ჯგუფში კი შანავას ნახევარ-ნახევარი ქულით კოტანჯიანი, სიმონიანი, ნადანიანი და ულიბინი ჩამორჩებიან.

დღეს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: შანავა-სიმონიანი, კოტანჯიანი-ნადანიანი, ტერ-საჰაკიანი-ულიბინი... მალალაშვილი-აზალაძე, მორჩიაშვილი-ბაკუნცი, კოსარინია-ბაციაშვილი, გვეტაძე-ტამაზიანი.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები

# კარგი შემადგენლობა გვყავს, მაგრამ...

20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის (B დივიზიონი) ემზადება, რომელიც 14-24 ივლისს ბოსნია-ჰერცოგოვინის დედაქალაქ სარაევოში გაიმართება. ჯგუფში ჩვენი ნაკრების მეტოქეები იქნებიან: პოლონეთი, ესტონეთი, შვეიცარია, რუმინეთი და მაკედონია.

გუშინ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** ღია ვარჯიში ჩაატარა, სადაც მასმედიის წინაშე გუნდის მზადებაზეც ილაპარაკა და სამომავლო პერსპექტივებზეც.

საქართველოს ახალგაზრდული გუნდი 10 ივნისიდან ვარჯიშობს. ტრავმების გამო ნაკრებს დააკლდნენ **გიორგი კოლუაშვილი** და **ლევან ელიაძე**, ხოლო **ზურაბ მაჩალაძის, გოგა ჯავახიშვილის, ავთანდილ ლომინაშვილის** და **კახა მუმლაძის** გამოკლების მიზეზი კონკურენცია გახლდათ.

აი, ამჟამად ვინ ვარჯიშობს დავით უსტიაშვილის ხელმძღვანელობით: **გიორგი ტეტელაშვილი** (სტუ), **სოსო ლეჟავა** (სამედიცინო), **ტატო თავართქილაძე** (სამედიცინო), **გივი ბაქრაძე** (არმია), **ბექა ჩიკვილაძე** (სტუ), **მერაბ ბოქოლიშვილი** (აველინო, იტალია), **დუდა სანაძე** (ბათუმი), **აკაკი ლომოური** (სტუ), **დავით დეკანოიძე** (შსს), **ნოდარ თენიეშვილი** (ბათუმი), **თორნიკე შენგელია** (პეპინსტერი, ბელგია), **გიორგი რევაზაშვილი** (მაქაბი), **ბექა ბექაური** (სამედიცინო), **აკაკი დვალიშვილი** (სამედიცინო).

20-წლამდელთა ნაკრები საკონტროლო მატჩებს ჰოლანდიაში ჩაატარებს, სადაც საერთაშორისო ტურნირი 1-3 ივლისს გაიმართება. დავით უსტიაშვილის გუნდი ნიდერლანდებში ჰოლანდიის 20 და 23-წლამდელთა და ავსტრიის ახალგაზრდულ ნაკრებებს დაუპირისპირდება.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**დავით უსტიაშვილი:**

- ჰოლანდიის საერთაშორისო ტურნირზე ნაკრები სათანადო გამოცდილებას მიიღებს. საშუალება მოგვეცემა, ვარჯიშებზე დამუშავებული კომბინაციები ამხანაგურ მატჩებში დავხვეწოთ. კარგი შემადგენლობა გვყავს და სამუშაოც ბევრია. ეს ბიჭები პერსპექტიულები არიან, მაგრამ საკუთარ თავზე მუშაობა მართებთ. რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატს, ვთვლი, რომ ძლიერ ჯგუფში მოვხვდით. პოლონეთს თითქმის ყოველთვის სოლიდური გუნდი ჰყავს, ასევეა შვეიცარია, ესტონეთი, რუმინეთიც. იოლი არ იქნება, თუმცა უნდა მოვინდომოთ, ორეულში მოვხვდეთ და ჯგუფიდან გავიდეთ. დანარჩენზე მერე ვიფიქრებთ, მთავარია, ჯერ პირველი ბარიერი დავძლიოთ.

**თორნიკე შენგელია:**

- ახალგაზრდულშიც ისეთივე მონდომებული ვიქნები, როგორც ეროვნულ გუნდში. ამ შემადგენლობას ერთად სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში გვიასპარეზია და შეთამაშებულებიც ვართ. უნდა მოვინდომოთ და სარაევოში მაქსიმალური შედეგი ვაჩვენოთ.

**მერაბ ბოქოლიშვილი:**

- გასული სეზონი ევროპის წამყვანი მოთამაშეებით დაკომპლექტებულ „აველინოში" გავატარე, სადაც დიდი გამოცდილება და პრაქტიკა მივიღე. ვფიქრობ, იტალიაში მიღებულ გამოცდილებას ახალგაზრდულ ნაკრებს მაქსიმალურად მოვახმარ და ერთიანი ძალისხმევით შედეგსაც მივაღწევთ.

**დუდა სანაძე:**

- დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ. დილას ავთო ბერიძესთან ერთად ფიზიკურად ვემზადებით, საღამოს ბურთთან ვმუშაობთ. ჰოლანდიური ტურნირი კიდევ უფრო დაგვეხმარება, რათა B დივიზიონის მატჩებს სათანადო კონდიციებში შევხვდეთ.

იტალიის ჩემპიონატი. ფინალი




# მანუს ტყორცნით იტალია დასრულდა

როგორც მოსალოდნელი იყო, „მონტეპასკიმ" იტალიის ჩემპიონატი მოიგო - „კანტუს" ფინალურ სერიაში 4:1 სძლია. მართალია, ანგარიში 4:1 ერთი შეხედვით დიდ უპირატესობაზე მიუთითებს, მაგრამ რეალურად კანტუელებმა ფავორიტებს ყველა მატჩში ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს: ბოლო შეხვედრა 2 ქულის სხვაობით დათმეს (61:63), ბოლოსწინა - ოთხი ქულის სხვაობით (65:69), იმის წინ კი 80:71 გაიმარჯვეს...

**მანუჩარ მარკოიშვილი** ფინალურ სერიას სათანადო კონდიციებში შეხვდა და საკვანძო ეპიზოდებში ლიდერის ფუნქციებსაც კისრულობდა. ასე იყო სიენაში გამართულ სერიის მეხუთე შეხვედრაშიც: საფინალო სირენამდე 10 წამი რჩებოდა, როცა მანუჩარმა ჯარიმის ტყორცნის უფლება მოიპოვა. იმ დროისთვის „მონტეპასკი" სამი ქულის სხვაობით იგებდა. ამიტომ აუცილებელი იყო პირველი ჯარიმის ჩაგდება, მეორის აცილება, ოღონდ ბურთი კანტუელებს უნდა მოეხსნათ. მანუმ ყველაფერი გეგმიურად შეასრულა: პირველი ტყორცნა გამოიყენა, მეორე ააცილა და ფარიდან ასხლეტილ ბურთს თავადვე დაეუფლა. იგი მარცხენა ფლანგზე გავიდა, აიწია, ისროლა, მაგრამ ტყორცნამ მიზანს ვერ მიაღწია და ამით დასრულდა იტალიის ჩემპიონატი.

მარკოიშვილმა გამოცემა „ბასკეტნეტისგან" 6.5-ბალიანი შეფასება მიიღო: „იგი მხოლოდ გადამწყვეტ მომენტებში ისროდა, „კანტუს" ზონური დაცვის მთავარი ფიგურა იყო". ასე და ამგვარად, მანუმ მეხუთე ფინალში 21 წუთში 7 ქულა (3-დან 0 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი, 2-დან 1 საჯარიმო), 2 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა.

კანტუელთა ბომბარდირობა **ვლადიმირ მიკოვმა** (17 ქულა) და **მაიკ გრინმა** (13) ითავეს. მასპინძლებს კი **მალიკ ჰაირსტონი** გაუძლვა - 13 ქულა.

მარკოიშვილი მიმდინარე სეზონში გამართულ 22 მატჩში საშუალოდ 20.4 წუთში 10.8 ქულას, 2 მოხსნასა და 1.2 პასს აგროვებდა.

საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი. ფინალი

# დაწინაურდა სოხუმი

| სოხუმი-ქუთაისი | 72:56 |
| --- | --- |

12:9, 18:16, 20:13, 22:18

**სოხუმი:** ჩოჩია (16ქ, 5მ, 5ჩ), გაფრინდაშვილი (8ქ, 9მ), დოლიძე (1ქ), ძიძიგური (2ქ), რ. როგავა (9ქ, 5მ, 5პ), გოლეთიანი (9ქ), მესხი (11ქ, 6მ, 4ჩ), ორმოცაძე (8ქ, 11მ), ბულიავა (8ქ, 8მ).

**ქუთაისი:** გრძელიძე (9ქ, 3პ), ტყაბლაძე (3ჩ), ბერეკაშვილი, ფხაკაძე (15ქ, 7მ), ცირეკიძე (14ქ, 12მ, 3დ), დ. დვალიშვილი (16ქ, 18მ), გოგოძე (2ქ, 5პ), კუხიანიძე.

დაიწყო საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალური სერია, რომელშიც ერთმანეთს საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ორი ჭაბუკთა გუნდი ხვდება - „სოხუმი" და „ქუთაისი".

ფინალური სერია ორ მოგებამდეა. პირველი მატჩი თბილისში გაიმართა და ნომინალური მასპინძლის, „სოხუმის" გამარჯვებით დასრულდა. მეტ-ნაკლებად თანაბრად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ, მესამე პერიოდში სოხუმელებმა 12-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, რომელიც მეოთხე რაუნდში 16-მდე გაავრცეს და სერიაში 1:0 დაწინაურდნენ.

„სოხუმმა" „ქუთაისს" უმთავრესად პერიმეტრიდან ტყორცნებში აჯობა - 6 სამქულიანი ჩააგდო, მაშინ, როცა საკუთარ კალათში ერთი სამიანი მიიღო. **ლიკა ქაჯაიას** განვრთნილ გუნდში სნაიპერობა **ალეკო ჩოჩიამ** იკისრა (16 ქულა), ხოლო სტუმართაგან **ცირეკიძე** და **დვალიშვილი** გამოირჩნენ - ორივემ დუბლი მიითვალა.

ფინალური სერიის მეორე მატჩი 22 ივნისს (18 საათზე) ქუთაისში გაიმართება.

არმია. სიახლეები

# არმია ტულუშმა ჩაიბარა

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დავწერეთ, რომ „არმიის" მთავარი მწვრთნელი **ლევან მოსეშვილი** მომავალ სეზონში გუნდს აღარ გაუძღვება. იქვე გაჩნდა კითხვა - ვინ გაწვრთნის გუნდს მომავალ სეზონში?

გუშინ სიახლეების შესატყობად კაპიტან **კოტე ტულუშს** დავუკავშირებოდი.

- „არმიას" მე გავუძღვები, - მითხრა კოტემ ცხადია, ეს ერთგვარად მოულოდნელი ამბავი იყო, რადგან კოტე გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ იგი სპორტსმენის კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობას აპირებს...

**- დროებით მწვრთნელად დაგნიშნეს, თუ გუნდს მომავალ სეზონშიც გაუძღვები?**

- „არმიას" 2010-11 წლების სეზონში გავწვრთნი. მოთამაშე-მწვრთნელის ფუნქციები მექნება. სხვათა შორის, ბავშვებს რამდენიმე წელია ვავარჯიშებ...

**- „არმიას" მომავალ სეზონში სერიოზული მიზნები აქვს, პასუხისმგებლობაც შესაბამისი იქნება.**

- პასუხისმგებლობასაც ვაცნობიერებ და ვთვლი, რომ ახალი სამუშაოსთვის მზად ვარ.

**- ახლა გუნდზე გკითხავ. გასული სეზონის შემდეგ „არმიაში" რა სიახლეებია?**

- სიახლეები ნამდვილად იქნება, მაგრამ დღეს ვერაფერს ვიტყვი. კვირის ბოლომდე კარგად ჩამოვყალიბდებით და ყველაფერი მერე გაცხადდება.

**- მწვრთნელის ასისტენტად ვინ იმუშავებს?**

- ესეც კვირის ბოლოს გახდება ცნობილი.



სატრანსფერო მიდი-მოდი

# მაქაბიდან მაქაბიმდე

## ბლატი შერმადინისთვის...

**გიორგი შერმადინი** თელ-ავივის „მაქაბის" სურს... სათაურსა და ქვესათაურში მთელი სტატიაა აკუმულირებული: შერმადინი თბილისის „მაქაბიში" ჩამოყალიბდა კალათბურთელად, 2008 წელს ბერძნულ „პანათინაიკოსთან" ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. საწყისი ორი სეზონის შემდეგ იგი მწვრთნელმა **ჟელკო ობრადოვიჩმა** სლოვენიის „ოლიმპიაში" გაანათხოვრა. ამ გუნდთან ერთად ქართველმა ცენტრმა ევროლიგაზე წარმატებით ითამაშა და საკუთარი შესაძლებლობები საქვეყნოდ გამოამზეურა. ტოპ-16-ში „ოლიმპიას" მეტოქე ისრაელის „მაქაბი" იყო. რადგან მაქაბელთა მწვრთნელმა **დევიდ ბლატმა** სწორად შერჩეული ტაქტიკით „ოლიმპია" წელში გაწყვიტა, მხოლოდ გიორგი ცდილობდა ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე მაქაბელებთან გამკლავებას.



ჰოდა, 216 სმ სიმაღლისა და 22 წლის ქართველი ცენტრის გარჯა სათანადოდ დააფასა „მაქაბის" მწვრთნელმა დევიდ ბლატმა და სეზონის დასრულების შემდეგ „პანათინაიკოსს" (რომელთანაც გიორგი კონტრაქტის მიხედვით კიდევ ერთი წლითაა დაკავშირებული) მიადგა - იქნებ, ეგ ბიჭი დაგვითმოთო. ბერძნული გამოცემები წერენ, რომ „მაქაბი" მზადაა შერმადინის კონტრაქტი გამოისყიდოს, თუმცა არავინ არაფერს ამბობს „პანათინაიკოსის" პოზიციაზე. როგორც ჩანს, ბერძნები პასუხის გაცემას არ ჩქარობენ.

ბევრი რამ დამოკიდებული იქნება მთავარი მწვრთნელის **ჟელკო ობრადოვიჩის** გადაწყვეტილებაზე - თუ შერმადინი მის გეგმებში ჯდება, შეიძლება „მაქაბის" არც დაუთმოს, თუ არა - ებრაელები პირდაპირ ამბობენ: ქართველი ცენტრი **სოფოკლის შორციანიტისის** შემცვლელად გვჭირდებაო. ბლატმა თუ შერმადინი დაიმატა, წინა ხაზში ვარირების საშუალებაც მიეცემა - თუ ფარქვეშ სიმძიმე დასჭირდა, შორციანიტისს ათამაშებს, თუ სისწრაფე - გაცილებით მოქნილ გიორგის დააყენებს შემადგენლობაში.

ასეა თუ ისე, ქართველი მეფარის ბედი 23 ივნისამდე ნამდვილად არ გადაწყდება. ამ დღეს NBA-ს დრაფტია, რომელშიც გიორგიც მიიღებს მონაწილეობას.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

# ყურადღება, დოპინგი!

WWW.GADA.GE

WORLD ANTI-DOPING AGENCY

სპეციალური გამოშვება №4

საქართველოს ეროვნული ანტი-დოპინგური სააგენტო

**იუნესკოს სპორტში დოპინგის გამოყენების აღმოფხვრისა და გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მხარდაჭერით**

## ტესტირების საერთაშორისო სტანდარტი დოპინგკონტროლის პროცედურები

ტესტირების საერთაშორისო სტანდარტი პირველად მიღებულ იქნა 2003 წელს და ძალაში შევიდა 2004-ში. ამ ვერსიაში შედის ცვლილებები ტესტირების საერთაშორისო სტანდარტისათვის, რომელიც დამტკიცებულია მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 2009 წლის 1 იანვარს. ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის ახალი ვერსია ძალაშია 2009 წლის 1 იანვრიდან.

ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის ძირითადი მიზანია ეფექტური ტესტირების დაგეგმვა, როგორც საშეჯიბრებო, ასევე არასაშეჯიბრებო პერიოდში და აღებული სინჯის იდენტურობისა და ხელშეუხებლობის შენარჩუნება სპორტსმენის შეტყობინების ადგილიდან იმ ლაბორატორიამდე, სადაც მოხდება ანალიზისათვის სინჯის ტრანსპორტირება.

### სინჯის აღების პროცესის ჩატარება

**ძირითადი ქმედებები**

ა) სინჯის ასაღებად მომზადება;

სინჯის აღება და დაცვა;

გ) სინჯის აღების დოკუმენტაციის შედგენა.

ანტიდოპინგური ორგანიზაცია პასუხისმგებელი უნდა იყოს სინჯის აღების პროცესის სრულ ჩატარებაზე, დოპინგკონტროლის ოფიცერისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მინიჭებით.

დკო-ს შერჩევის კრიტერიუმები:

დკო უნდა იყოს სრულწლოვანი პირი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, სადაც საქმიანობს ანტიდოპინგური სააგენტო;

უნდა მონაწილეობდეს ინდივიდუალურ ან პატარა ჯგუფისგან შემდგარ ტრეინინგის სესიაში სერტიფიცირების გასავლელად;

უნდა ჰქონდეს ეფექტური კომუნიკაციის უნარი ეროვნულ ენებზე, ასევ მიზანშეწონილია, რომ იცოდეს ინგლისური ენა;

უნდა ფლობდეს ინსტრუქციების მიყოლის უნარს;

უნდა ჰქონდეს უნარი, შეინახოს კონფიდენციალური ინფორმაცია;

უნდა მოახდინოს ანტიდოპინგური სააგენტოს ინფორმირება ნებისმიერი შესაძლო ინტერესთა კონფილქტის შესახებ, რომელიც ეხება იმ სპორტის ადმინისტირებას, რომელშიც უნდა ჩატარდეს ტესტირება.

უნდა ჰქონდეს უნარი და ინტერესი, რომ გააცნოს სპორტსმენებს.

**დოპინგკონტროლის პროცედურები**

**დკო-ს როლი და პასუხისმგებლობა**

დკო არის ანტიდოპინგური სააგენტოს წინახაზი და თამაშობს მნიშვნელოვან როლს სპორტსმენის უფლებების დაცვაში, რათა მათ შეეძლოთ დოპინგისგან თავისუფალ სპორტში ასაპარეზობა.

დკო პასუხისმგებელია სინჯის აღების პროცედურის ყველა ეტაპზე;

შედეგების ანალიზის პროცესში დკო-ს მიერ სინჯის აღების პროცედურა შეიძლება გადაიხედოს. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ პროდეცურები ჩატარდეს ზუსტად, რათა არ მოხდეს შედეგის ანულირება;

დკო-მ უნდა შეატყობინოს ადოს:

შეატყობინოს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ;

შეატყობინოს ნებისმიერი დარღვევის შესახებ ტესტირების დროს;

ჩაპერონების შერჩევა (სპორტსმენის თანმხლები პირი)

როდესაც ხდება ჩაპერონების შერჩევა, დკო პასუხისმგებელია, რომ ჩაპერონი აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

არ უნდა იყოს არასრულწლოვანი;

იყოს შესაბამისი სქესის სინჯის აღების პროცედურის დროს;

უნდა ფლობდეს ეფექტური კომუნიკაციის უნარს ეროვნულ ენებზე და საჭიროების შემთხვევაში იცოდეს ინგლისური;

უნდა ჰქონდეს უნარი, რომ მიჰყვეს ინსტრუქციებს.

უნდა ჰქონდეს უნარი, რომ შეინახოს კონფიდენციალური ინფორმაცია;



New anti-doping policy in the Tour de France

**სპორტსმენის შეტყობინება**

ჩაპერონს გადაეცემა დოპინგკონტროლის ფორმა, რომელიც ასევე შეიცავს სპორტსმენის შერჩევის ინფორმაციას.

ინფორმაცია, რომელიც ეხება სპორტსმენის შერჩევას ან შეჯიბრებას უნდა დარჩეს კონფიდენციალურად, მანამ, ვიდრე შეჯიბრების წარმომადგენელს (საშეჯიბრო ტესტირებისას) არ მეოთხოვება, რომ დაადგინოს კონკრეტული სპორტსმენის ვინაობა ან/და ის, თუ, რომელ ადგილას დაამთავრა ამ სპორტსმენმა შეჯიბრება.

დკოს მიერ მითითებულ დროს, ჩაპერონი მიუახლოვდება სპორტსმენს და შეატყობინებს მას, რომ იგი შეირჩა დოპინგ კონტროლისათვის და ვინ ატარებს დოპინგკონტროლს. შენიშვნა.

**ჩაპერონი პასუხისმგებელია, აცნობოს სპორტმენს რომ ის:**

უნდა გამოცხადდეს დოპინგკონტროლის პუნქტში დაუყოვნებლივ შეტყობინების შემდეგ;

უფლებამოსილია წამოიყვანოს ერთი თანმხლები პირი და თუ საჭიროა თარჯიმანი დოპინგკონტროლის პუნქტში;

რომ იქნება თანხლებული ჩაპერონის მიერ მანამ, სანამ არ დასრულდება სინჯის აღების პროცედურა;

რომ თან უნდა იქონიოს ფოტოსურათიანი საიდენტიფიკაციო ბარათი დოპინგკონტროლის პუნქტში.

დკომ უნდა მისცეს სპორტსმენს ინსტრუქტაჟი სინჯის აღებისას. დოპინგის პერსონალმა არ უნდა მოჰკიდოს ხელი სინჯს, სანამ იგი საბოლოოდ არ იქნება დალუქული სპორტსმენის მიერ.

როდესაც სპორსტმენი მიანიშნებს, რომ მზადაა სინჯისთვის, მაშინ დკომ უნდა უზრუნველყოს სპორტსმენის ინფორმირება თავის უფლებებსა და ვალდებულებებზე და სინჯის აღების პროცედურაზე.

სპორტსმენმა უნდა აირჩიოს დალუქული შესაგროვებელი ჭურჭელი და დარწმუნდეს, რომ იგი არის ცარიელი, სუფთა და ხელუხლებელი. რეკომენდებულია, რომ იყოს სულ ცოტა სამი შესაგროვებელი ჭურჭელი, საიდანაც სპორტსმენს შეუძლია აირჩიოს ერთი მათგანი.

დკო ან ჩაპერონი და სპორტსმენი უნდა წავიდნენ ტუალეტში, რათა მოხდეს სინჯის აღება.

დკო ან ჩაპერონი, რომელიც ესწრება სპორტსმენის ანალიზის აღებას, უნდა იყოს იმავე სქესის, რაც სპორტსმენი.

სპორტსმენმა უნდა დაიბანოს ხელი მანამ, სანამ წარმოადგენს სინჯს, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ მისი ხელები არის სუფთა და არ დააბინძურებს შარდს უცხო სხეულებით.

სპორტსმენს უნდა მიეცეს ინსტრუქცია, რომ მან უნდა მხოლოდ ამოიღოს შესაგროვებელი ჭიქა დალუქული ჩანთიდან და არ უნდა მოაძროს თავსახური, სანამ სინჯი არ არის წარმოდგენილი.

პირდაპირი ზედამხედველობა შარდის სპორტსმენის სხეულიდან სინჯარაში მოხვედრაზე არის უმნიშვნელოვანესი. დკო ან ჩაპერონი უნდა იყოს მოწმე შარდის სინჯის შეგროვებისა, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ არანაირი ხელის შეშლა, შეცვლა ან დაბინძურება არ მოხდება სინჯისა მისი აღების პროცესში. დკომ ან ჩაპერონმა უნდა აუხსნან სპორტსმენს, რომ იმისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს, სპორტსმენმა წარმოადგინოს სინჯი, დკოს ან ჩაპერონს უნდა ჰქონდეს ნათელი და სრულყოფილი დაუბრკოლებელი ხედვა სინჯის აღებისას.

თუ სპორტსმენის წარმომადგენელი არის დოპინგკონტროლის პუნქტში სპორტსმენთან ერთად, იგი უნდა დარჩეს პროცედურის სრულად დამთავრებამდე.

დკო ან ჩაპერონი, რომელიც იყო შარდის აღების მოწმე, მოაწერს ხელს შარდის სინჯის მოწმის ხაზს დოპინგკონტროლის ფორმაზე რათა, დაადასტუროს, რომ სპორტსმენმა წარმოადგინა ნათელი, დაუბრკოელებელი ხედვა სინჯის აღებისას.




## ანტიდოპინგური წესების დარღვევად ითვლება

აკრძალული ნივთიერებების არსებობა ან აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოყენების მტკიცებულების არსებობა

უარი, ან სინჯის ვერ წარდგენა

ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის არ მიწოდება ან არასწორი ინფორმაციის მიწოდება

ტესტირების პროცესში ჩარევა, შედეგების გაუქმების მიზნით

აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის ფლობა ან ტრეფიკინგი.

სპორტსმენის მიმართ აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის ადმინისტრირება: დახმარება, დახმარების წახალისება, თანამონაწილეობა, დაფარვა ან ნებისმიერი სხვა ტიპის თანამონაწილეობა.

მსოფლიო ანტიდოპნგური კოდექსი აწესებს სხვადასხვა სანქციებს ინდივიდებისა და გუნდების მიმართ.

## სანქციები ინდივიდების მიმართ ასე გამოიყურება

- აკრძალული ნივთიერების აღმოჩენის შემთხვევაში 2 - წელი

- გამოყენება ან გამოყენები მცდელობა - 2 წლი

- უარი სინჯის ჩაბარებაზე ან სხვაგვარად სინჯის არჩაბარება – 2 წელი

- ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის არწარმოდგენა/გამოტოვებული ტესტები 1-დან 2 წლამდე

- დოპინგკონტროლის სფეროში ჩარევა, ან ჩარევის მცდელობა – 2 წელი

- მფლობელობა ნებისმიერ დროს- 2 წელი

- ტრეფიკინგი 4 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე

- ადმინისტრირება 4 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე

- განსაზღვრული ნივთიერებების შემთხვევაში, უფრო ნაკლები სანქციის მისაღებად სპორსტმენმა უნდა დაამტკიცოს:

როგორ მოხვდა ეს ნივთიერება მის ორგანიზმში და ფაქტი, რომ არ ჰქონდა მიზნად შესარულების გაუმჯობესება.

არსებობს დამამძიმებელი გარემოებები, რომელიც იწვევს სანქციებს 4 წლამდე.

შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობისას სანქცია შეიძლება საერთოდ არ დაეკისროს სპორტსმენს, მაგალითად, თუ დამტკიცდება ბრალის ან დაუდევრობის არარსებობა – ეს გამორიცხავს სანქციას. უმნიშვნელო ბრალი ან დაუდევრობა ანახევრებს სანქციას.

სანქციის შემცირების საფუძველი ასევე შეიძლება გახდეს სპორტსმენის მხრიდან არსებითი დახმარება ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტის დადგენაში.

## ყველა სპორტსმენი ვალდებულია

**ყველა სპორტსმენი ვალდებულია დაექვემდებაროს საერთაშორისო ანტიდოპინგური კოდექსის წესებს, რომლებიც ჩართულია ყველა საერთაშორისო სპორტული ფედერაციების, მსხვილი სპორტული შეჯიბრებისა და ოლიმპიური თამაშების რეგლამენტებში.**

საერთაშორისო ანტიდოპინგური კოდექსის მუხლი 1-ს თანახმად, დოპინგის გამოყენება განისაზღვრება შემდეგი წესებიდან ერთ-ერთის ან რამდენიმეს დარღვევით:

1. სპორტსმენის ორგანიზმიდან აღებულ სინჯში აკრძალული სუბსტანციის ან მისი მეტაბოლიტების არსებობა;

2. სპორტსმენის მიერ აკრძალული სუბსტანციის/მეთოდის გამოყენება ან მისი გამოყენების მცდელობა იმისდა მიუხედავად, თუ რა შედეგით დასრულდა იგი (კომენტარი: გამოყენება ჩაითვლება დამტკიცებულად აღიარების ან მესამე პირის მოწმობის შემთხვევაში);

3. სინჯის აღებაზე **უარის თქმა ან არგამოცხადება** საპატიო მიზეზის გარეშე.

**4. სპორტსმენის მიუწვდომლობა** არასატურნირო პერიოდში დოპინგკონტროლის ჩასატარებლად. ასევე **ინფორმაციის მიუწოდებლობა მისი ადგილმდებარეობის** შესახებ;

**5. ფალსიფიკაცია ან ფალსიფიცირების მცდელობა** დოპინგკონტროლის ნებისმიერ ეტაპზე;

**6. აკრძალული სუბსტანციებისა და მეთოდების ფლობა ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას** თუ სპორტსმენს არ გააჩნია სპეციალური ნებართვა მათი თერაპევტული მიზნებით გამოყენებისა;

7. ნებისმიერი აკრძალული სუბსტანციის ღა მეთოდის **გავრცელება;**

**8. სპორტსმენის ორგანიზმში აკრძალული სუბსტანციის შეყვანა ან მისი მცდელობა.** ასევე ყოველი სახის **ხელშეწყობა, წაქეზება** და ა.შ.

**გახსოვდეს, რომ აკრძალული ნივთიერებების და მეთოდების გამოყენებაში პასუხს აგებს მხოლოდ სპორტსმენი!**





**სხვათა შორის...**

## დედოფლის ცხენი დოპინგში გამოიჭირეს

ბრიტანეთის დედოფლის ელიზაბეტ II-ის ცხენი, 6 წლის ულაყი, სახელად - „მთვარის გზა“, დოლიდან მოიხსნა. როგორც ბრიტანული ტაბლოიდი „სანი“ წერს, ცხენის დოპინგტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა.

დედოფალს კი, რომელიც 41 ცხენის მფლობელია, ეს ამბავი დაუყოვნებლივ აცნობეს. ცხენის მწვრთნელი ნიკი ჰენდერსონი, ცხადია, დაისაჯა.

## ძველ საბერძნეთშიც სჯიდნენ...

ძველ საბერძნეთში ოლიმპიურ შეჯიბრებებზე ჩვეულებრივად ხორციელდება დოპინგკონტროლი. დოპინგის გამოყენებისთვის სპორტსმენი ისჯებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ არ ჰქონდათ დოპინგის შემოწმების თანამედროვე საშუალებები, მაინც შესანიშნავად ავლენდნენ გამოყენების შემთხვევებს.



გვერდი მომზადებულია პელოპონისის უნივერსიტეტის ოლიმპიური აკადემიის ასპირანტის, თორნიკე გაჩეჩილაძის კონცეფციით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაკრები

# მზადებას 46 მორაგბე იწყებს

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რიჩი დიქსონმა** ეროვნული გუნდის გაფართოებული შემადგენლობა გააცხადა, რომელშიც 46 მორაგბე მოხვდა. „ბორჯღალოსნები" მსოფლიო თასისთვის მოსამზადებლად თბილისში 4 ივლისს შეიკრიბებიან, ორი კვირის შემდეგ კი საფრანგეთში განაგრძობენ მზადებას, სადაც რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას გამართავენ ელიტარული, პირველი დივიზიონის გუნდებთან.

საფრანგეთში გაცხადდება იმ 30 მორაგბის ვინაობა, ვინც სამ სექტემბერს ახალ ზელანდიაში გაემგზავრება.

**საქართველოს ნაკრები**

პირველი ხაზი: ჯაბა ბრეგვაძე (არმია), აქვსენტი გიორგაძე, ანტონ ფეიქრიშვილი (ორივე-კასტრი), გიორგი ჟღენტი (მონპელიე), ვასილ კაკოვინი, დავით ხინჩაგიშვილი (ორივე-ბრივი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), ბექა შეყლაშვილი (აჟენი), გოდერძი შველიძე (მონპელიე), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), შალვა მამუკაშვილი (ყოჩები).

მეორე ხაზი: ლევან დათუნაშვილი (ორი-აკი), ვახტანგ მაისურაძე (სენ ნაზერი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), გიორგი ნემსაძე (მონტობანი), ილია ზედგინიძე (კარკერენი).

მესამე ხაზი: მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე (ორივე-მონპელიე), დიმიტრი ბასილაია (ობენა), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), გია ლაბაძე (ლა სეინი), სიმონ მაისურაძე (ვილერბანი), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი), შალვა სუთიაშვილი (მასი), ბესო უდესიანი (მაკონი), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), ლაშა თავართქილაძე (ფარული).

№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (არმია), გიორგი ბეგაძე (ყოჩები), გიორგი კაჭარავა (ლელო)

№10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე), ლაშა ხმალაძე (ლელო)

№12-13: რევაზ გიგაური (ფიჟაკი), ირაკლი გიორგაძე (აია), დავით კაჭარავა (ნიცა), ალექსანდრე თოდუა (ლელო), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), გიორგი ჯიმშელაძე (კლერმონი)

№11-14: ბესიკ ხამაშურიძე, ირაკლი ჩხიკვაძე (ორივე-აია), ლექსო გუგავა (ლელო), ირაკლი მაჩხანელი (მაკონი).

№15: მალხაზ ურჯუკაშვილი (გურდო), ბექა ურჯუკაშვილი (ფიჟაკი)

**ბესიკ ჯანგავაძე**

ლეგიონერები



მარცხნივ ლაშა მალაღურაძე

# ბეზიე და პერიგო ელიტურ დივიზიონში

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში პლეი ოფის ორი ფინალისტი გამოვლინდა, რომლებმაც ავტომატურად მოიპოვეს ელიტური, მეორე დივიზიონის საგზურები.

წარმატებას მიაღწიეს ქართველ მორაგბეთა გუნდებმა, „პერიგომ" და „ბეზიემ". **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის, ირაკლი ნინიძისა** და **დავით დადუნაშვილის** „პერიგომ" პლეი ოფის ნახევარფინალში შინ წააგო **შალვა სუთიაშვილის, სანდრო ესაკიას, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასისთან" - 20:25.

პერიგოელებს პირველი თამაში სტუმრად შვიდი ქულით ჰქონდათ მოგებული (24:17), ამიტომ მეორე დივიზიონის საგზური სწორედ მათ ერგოთ. განმეორებითი შეხვედრა პარიზელებისთვის დრამატული აღმოჩნდა. საქართველოს ნაკრების ყოფილი მეორეხაზელის **ვიქტორ დიდებულიძის** სამწყსო მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყო და თამაშის ბოლო წუთამდე რვა ქულის სხვაობით იგებდა - 25:17.

მასპინძლებმა ანგარიშის სასურველ სხვაობამდე შემცირება სწორედ უკანასკნელ წუთზე შეცვლაზე შესული მგეზავის, **ჟერომ ბოსველის** საჯარიმოთი შეძლეს და მეორე დივიზიონში აღზევება იზეიმეს.

ნინიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 35-ე წუთზე მარგველაშვილმა შეცვალა, რომელმაც მოედანზე 65-ე წუთამდე დაჰყო, მის ნაცვლად თამაშში დადუნაშვილი ჩაერთო, ზიბზიბაძემ სრულად ითამაშა. პარიზელი ქართველებიდან აშვეთია 41-ე წუთზე შეცვალეს, სუთიაშვილმა კი მოედანი ცხრა წუთის შემდეგ დატოვა, კობაური და ესაკია განაცხადში არ იყვნენ.

ლაშა მალაღურაძისა და გიორგი მჭედლიშვილის „ბეზიემ" სტუმრად წააგო „ტიროსთან" - 17:13, თუმცა პირველ შეხვედრაში შინ ასევე ოთხი ქულით ჰქონდათ მოგებული (19:15) და რადგან ორ მატჩში მეტოქეზე ერთი ლელოთი მეტი გაიტანეს, მეორე დივიზიონის საგზური ჩვენებურთა გუნდს ერგო.

აღსანიშნავია, რომ თამაშის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე ლანგედოკელები 11 ქულით აგებდნენ - 6:17. სწორედ ამ დროს გადამწყვეტი ლელო ბეზიელთაგან ინგლისელმა ცხრა ნომერმა **ჯონი ჰოვარდმა** გაიტანა, გარდასახვა კი ახალზელანდიელი **ენდრიუ მერთენსის** ანგარიშზეა - 13:17.

მალაღურაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 52-ე წუთზე შეცვალეს, მჭედლიშვილი განაცხადში არ იყო.

**II დივიზიონი**

**ნახევარფინალი**

**პერიგო- მასი 20:25 (24:17), ტიროსი-ბეზიე 17:13 (15:19)**

**ფინალი**

**პერიგო-ბეზიე**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ინტერვიუ ნუგზარ ძაგნიძესთან



# რატომ ეგონათ მშობლებს ნუგზარ ძაგნიძე კალათბურთელი?!

**ნუგზარ ძაგნიძე ქუთაისის „აიას" იმ ოქროს თაობის გამორჩეული მორაგბე იყო, რომელმაც ზედიზედ სამჯერ (1987, 88, 89 წლებში) მოიგო საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა. ორჯერ გახდა სსრკ-ის თაისის მფლობელი. რამდენჯერმე მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა და თასი. თამაშობდა სსრკ-ის ნაკრებში. საქართველოს ნაკრების რიგებში ჩატარებული აქვს 12 შეხვედრა. ეროვნული გუნდის სადებიუტო მატჩში ზიმბამბვესთან 16-ივე ქულა მის ანგარიშზეა. სახელოვან ვეტერან მორაგბეს 19 ივნისს 44 წელი შეუსრულდა. ამ დღესთან დაკავშირებით ქუთაისის სპორტულ მუზეუმში ძაგნიძისადმი მიძღვნილი სპეციალური კუთხე გაიხსნა, სადაც მისი კარიერის ამსახველი ფოტოები და ექსპონატები გამოიფინება. ვეტერანმა „ლელოსთან" მისი კარიერის საუკეთესო წლები და მიღწევები გაიხსენა...**

- რაგბიში შემთხვევით მოვხვდი. სპორტსკოლაში კალათბურთის სექციაში ჩასარიცხად მივედი, სადაც რაგბის მწვრთნელმა ვახტანგ შვანგირაძემ შემამჩნია და მასთან მისვლა და რაგბის თამაში შემომთავაზა. ასე დავიწყე ჩემთვის სპორტის სრულიად უცნობ სახეობაში ვარჯიში.

**- თქვენს გადაწყვეტილებაზე მშობლებს როგორი რეაქცია ჰქონდათ?**

- მშობლებს კარგა ხანი ეგონათ, რომ კალათბურთზე დავდიოდი. ჩემი მორაგბეობა მოგვიანებით გამოაშკარავდა. რუსეთში იუნიორთა შორის „ოქროს ოვალის" ტურნირი ტარდებოდა, ჩვენც ვიყავით მიწვეულები. ამასთან დაკავშირებით მშობელთა კრება ჩატარდა. ჩემი მშობლები თავიდან გაკვირვებული იყვნენ, თუ რატომ იბარებდნენ მორაგბეთა კრებაზე. ყველაფერი რომ გამოაშკარავდა, გვარიანად მომხვდა... თუმცა, ეს იყო ბოლო საყვედური ჩემი არჩევანის გამო. შემდეგ ყველანი კმაყოფილი იყვნენ ჩემი კარიერით და უმცროსი ძმა, ემზარიც მორაგბე გახდა.

**- ქუთაისის „აიაში" სრულიად ახალგაზრდა - 15 წლის ასაკში მოხვდით...**

- რაგბის წრიდან მოზარდების გუნდში „გელათში" გადავედი, რომელსაც რამაზ სვანიძე წვრთნიდა. 1982 წლის ბოლოს კი „აიაში" მივედი. ქუთაისურ გუნდს მაშინ შაკო ქურციკიძე ავარჯიშებდა. თავდაპირველად 15-20 წუთს ვთამაშობდი და ცნობილი მორაგბეების გვერდით გამოცდილებას ვიძენდი. ამან დიდი როლი ითამაშა ჩემს დაოსტატებასა და წინსვლაში.

**- მალე დიდი წარმატებებიც მოვიდა...**

- 1983 წელს ახალგაზრდებს შორის სსრკ-ის ჩემპიონები გავხდით. მას შემდეგ არაერთი გაცილებით დიდი მნიშვნელობის ჯილდო მომიგია, მაგრამ პირველი წარმატება მაინც ყველაზე ტკბილად მახსენდება. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამ გამარჯვების შემდეგ საკუთარი თავისაც უფრო მეტად ვირწმუნე. 1984 წელს „აია"-სთან ერთად სსრკ-ის ვერცხლის მედალი ავიღე, მომდევნო წელს - ბრინჯაო. შემდეგ კი ზედიზედ სამჯერ გავხდით საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და ორჯერ თასი მოვიპოვეთ. 1987 წელს სსრკ-ის საუკეთესო მორაგბედ დამასახელეს. ექვსი წელი გამოვდიოდი სსრკ-ის ნაკრებში. ვითამაშე მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში ევროპის ნაკრების წინააღმდეგ.

**- ყველასათვის უცნობმა „აიამ" გასული საუკუნის 80-ან წლებში ნამდვილი ფურორი მოახდინა. თქვენი აზრით, რა იყო ქუთაისური გუნდის წარმატებების საიდუმლო?**

- პირველ რიგში ის, რომ გუნდში იყო უმკაცრესი დისციპლინა. მეგობრული, ერთ მუშტად შეკრული გუნდი ვიყავით. ამასთან ერთად იმ პერიოდში ნიჭიერი ახალი თაობა გამოვიდა ასპარეზზე, რომელიც კარგად შეეწყო უფროს თაობას და ასე ერთიანობით მივაღწიეთ წარმატებებს.

**- არაერთი ცნობილი მორაგბის გვერდით გითამაშიათ. ვინმეს თუ გამოარჩევდით?**

- მართლაც რომ ძნელია ვინმეს გამორჩევა, ძალიან ბევრი კარგი მოთამაშე იყო, მაგრამ ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ჩემზე იგორ მირონოვი ახდენდა, რომელთან ერთადაც ნაკრებში ვთამაშობდი.

**- სსრკ-ის დაშლის შემდეგ ეროვნულ ჩემპიონატშიც წარმატებით თამაშობდით, საქართველოს ნაკრებში კი შთამბეჭდავი დებიუტი გქონდათ...**

- 1989 წელს საქართველოს ნაკრებმა პირველი შეხვედრა გამართა ზიმბაბვეს ნაკრებთან. 16:3 გავიმარჯვეთ. თექვსმეტივე ქულა მე მოვიპოვე. ძალიან დიდი სიხარული იყო ეროვნული გუნდის მაისურით თამაში და გამარჯვება. მას შემდეგ ნაკრებში არაერთი შეხვედრა ჩავატარე. „აია"-სთან ერთად კი ორჯერ საქართველოს ჩემპიონი გავხდი. ბათუმის „დათვების" მოთამაშე მწვრთნელიც ვიყავი და ამ გუნდთან ერთად ორჯერ საქართველოს ჩემპიონობა მოვიპოვე. შემდეგ კი, როცა შევატყვე, ძველებურად თამაში აღარ შემეძლო, კარიერა დავასრულე და მთლიანად მწვრთნელობაზე გადავერთე. ვიყავი ქუთაისის „აიას" მთავარი მწვრთნელი, რომელიც უმაღლეს ლიგაში გადავიყვანე. ვწვრთნიდი აგრეთვე საქართველოს 20 წლამდე ნაკრებს... ჩემს კარიერაზე გული ნამდვილად არ მწყდება, იმ პერიოდში რისი მოგებაც შეიძლებოდა, ყველაფერი მოგებული მაქვს.

**- თუმცა, თქვენი დონის მორაგბეს თავისუფლად შეეძლო ევროპის წამყვანი სარაგბო ქვეყნების ჩემპიონატებში თამაში, რისი საშუალებაც ახლანდელი მორაგბეებისაგან განსხვავებით, თქვენ არ გქონდათ. არ გწყდებათ გული, რომ უცხოურ კლუბში თამაშის საშუალება არ მოგეცათ?**

- საუბედუროდ, არ იყო უცხოურ კლუბში წასვლის საშუალება, თორემ, საფრანგეთიდან, იტალიიდან და ინგლისიდან მქონდა მოწვევები. მაშინ ისეთი პერიოდი იყო, რომ 28 წლამდე უცხოეთში არავის უშვებდნენ. ამასობაში კი ჩემმა საუკეთესო წლებმაც ჩაიარა. თუმცა, კიდევ ვიტყვი, რომ გული არ მწყდება... მაინც კმაყოფილი ვარ.

**- ამჟამად რაგბისთან რა შეხება გაქვთ?**

- ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე ვარ. თუ რაიმე ხელმეწიფება, ყოველთვის რაგბისა და, საერთოდ, ქართული სპორტის სამსახურში ვიქნები. „აიას" ჩემი უმცროსი მეგობრები მიუძღვებიან წინ და მათი წარმატება ძალიან მახარებს.

**- თქვენი შვილი თორნიკე, ოჯახის ტრადიციებს აგრძელებს და „აიაში" თამაშობს...**

- შვილიც და სიძეც, ირაკლი ჩხიკვაძე. ირაკლი ნაკრებშიც თამაშობს და იმედი მაქვს, გუნდთან ერთად ქართველ გულშემატკივარს არაერთხელ გაახარებს.

**- ქართული რაგბის დღევანდელობაზე რას იტყვით?**

- პროგრესი შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. საკმაოდ ნორმალურ დონეზე ვართ. ეს იმ დროს, როცა ქართული რაგბის ისტორიაში წლეულს პირველად გაკეთდა რაგბის მოედანი...

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლაჟის ფრენბურთი




ბრაზილიელი ჩემპიონები

# ორჯერ ბრაზილია

რომში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი ბრაზილიური ტრიუმფით აღინიშნა. ქალებშიც და მამაკაცებშიც გამარჯვებული ამ ქვეყნის დუეტი გახდა.

ნახევარფინალური მატჩის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ დღეისთვის ქალებს შორის ყველაზე ტიტულიან წყვილს (**კერი უოლში/მისტი მეი-ტრენორი**) ძალიან გაუჭირდებოდა მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედ მოგება - ასაკი და ძველი ტრავმები მაინც თავისას შვრება. კერის ორი თვის შემდეგ 33 წელი შეუსრულდება, მისტი კი ერთი წლით უფროსია. წელს ამერიკელებს პარტნიორობის 10 წლისთავი აქვთ. საინტერესოა, რომ რომში ფინალი 47-ე იყო მათთვის FIVB-ის ეგიდით გამართულ 63 ტურნირში. თავიანთი ბოლო, რიგით 36-ე გამარჯვება ერთი კვირის წინ, პეკინში „დიდი სლემის“ ტურნირზე მოიპოვეს. კიდევ ერთი საინტერესო სტატისტიკა: 11:5 - ასეთი ანგარიშით უგებდნენ ამერიკელები 29 წლის **ლარისასა** და 28 წლის **ჟულიანას** - ბრაზილიელ მეტოქეებს გუშინდელ ფინალში. თუმცა ბოლო ორი შეხვედრა სამხრეთამერიკელებს დარჩათ.

ფინალი სამსეტიანი გამოვიდა. პირველში ამერიკელებს არ გამოუვიდათ თამაში, მიუხედავად იმისა, რომ 7:5 დაწინაურდნენ. ამის შემდეგ მათ ორჯერ ზედიზედ ოთხ-ოთხი ბურთი წააგეს და ბრაზილია წინ გავიდა - 13:8. მართალია, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა (15:16), მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლეს - 17:21. სამაგიეროდ, მეორე სეტში უოლშიმ და ტრენორმა გამოიყენეს მეტოქეთა ელემენტარული შეცდომები და უპრობლემოდ გაათანაბრეს ანგარიში - 21:13. მესამე სეტში ამერიკული დუეტი მუდმივად წინ იყო, მაგრამ 14:13-ზე მატჩბოლი ვერ გამოიყენა. მეტოქემ ამით კარგად ისარგებლა - ჟულიანას ორმა ბლოკის შემდეგ ანგარიში 16:14 გახადა და ოქროს მედალი ბრაზილიას დარჩა.

■ ■ ■

სავსებით ლოგიკური ჩანდა მამაკაცთა ფინალის შემადგენლობა. პლაჟის ფრენბურთში ოფიციალური ტურნირების 25-წლიან ისტორიაში ეს იყო 61-ე შემთხვევა, როცა ფინალში ურთიერთობას ბრაზილიური წყვილები არკვევდნენ. ამჯერად ოქროს მედლის გათამაშების პატივი ერგოთ **ალისონი/ემანუელისა** და **მარსიო არაუჟო/რიკარდოს** დეუტებს - ისინი შესაბამისად მეორე და მესამე ადგილს იკავებენ მსოფლიო რეიტინგში. როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, კლასიფიკაციის ლიდერებმა, ამერიკელებმა **ტოდ როჯერსმა** და **ფილ დალჰოსერმა** მერვედფინალიდან შეწყვიტეს ბრძოლა.

პროგნოზი ემანუელისა და ალისონის მხარეს იყო. 38 წლის ემანუელი ქვიშაზე მოთამაშე ფრენბურთელებს შორის ყველაზე ტიტულიანია: 209 ტურნირი, 1273 ჩატარებული მატჩი და 1027 მოგება. ეს უნიკალური შედეგია.

ემანუელი 36 წლის რიკარდოსთან ერთად 2004 წელს ათენის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, მაგრამ ახლა ისინი ბადის სხვადასხვა მხარეს აღმოჩდნენ. ემანუელი ალისონთან ერთად მხოლოდ ორი წელია თამაშობს და შარშან მათ არც ერთი ტურნირი არ მოუგიათ. რაც შეეხება რიკარდოს, მას პარტნიორად 37 წლის მარსიო არაუჟო ჰყავს, რომელიც მსოფლიოს 2005 წლის ჩემპიონია.

კაცების ფინალში გამარჯვებულის ვინაობა პრაქტიკულად პირველი სეტის ბოლოს გადაწყდა, როცა 16:16-ზე ალისონმა ზედიზედ 5 (!) ბლოკი გააკეთა. მიუხედავად იმისა, რომ რიკარდომ და მისმა პარტნიორმა დროულად მოახერხეს გონს მოსვლა, მოედანზე კვლავინდებურად ალისონი დომინირებდა. 21:16, 21:15 - ალისონი და ემანუელი პირველად გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები.

ველოსპორტი

# ბოლო რეპეტიცია

ველომრბოლებმა მოახლოებულ ტურ დე ფრანსამდე ბოლო რეპეტიცია გაიარეს - მათ ტრადიციულად შვეიცარიის ტურზე გაარკვიეს ურთიერთობა. წელს ამ პრესტიჟული რბოლას ძალიან დრამატული ფინალი ჰქონდა და მან მოგვაგონა 1989 წლის ტურ დე ფრანსის ბოლო ეტაპზე - 25 კილომეტრზე განცალკევებით რბოლაში განვითარებული დრამა. ამ ეტაპის წინ ფრანგი **ლორან ფინიონი** 50 წამს უგებდა ამერიკელ **გრეგ ლემონდს** და წინასწარ იღებდა მილოცვებს. მაგრამ ამ 25 კილომეტრზე ლემონდმა კონკურენტს 58 წამი მოუგო და ელისეს მინდვრებზე ტრიუმფატორის რანგში მივიდა. მას შემდეგ ტურ დე ფრანსის ბოლო ეტაპზე განცალკევებითი რბოლა აღარ იმართება.

დაახლოებით იგივე გააკეთა შვეიცარიის ტურის დასკვნით ეტაპზე 37 წლის ამერიკელმა ვეტერანმა **ლევი ლაიპჰაიმერმა.** 9-დღიანი ველორბოლა 32-კილომეტრიანი განცალკევებითი რბოლით სრულდებოდა. ამ ეტაპის წინ **დამიანო კუნეგო** ორ წუთს უგებდა პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორს და თითქოს ყვითელი მაისურის მფლობელის საკითხი დახურული იყო. რბოლის სტარტმა დაადასტურა ეს მოსაზრება - კუნეგო დისტანციის პირველი მესამედი მხნედ გამოიყურებოდა და მისთვის კატასტროფას არაფერი მოასწავებდა, მაგრამ იტალიელმა საკუთარ ტემპს ველარ გაუძლო და ყოველ კილომეტრზე ოთხი წამის წაგება დაიწყო, რითაც ლაიპჰაიმერმა ეტაპის დასრულების შემდეგ საერთო ჩათვლაში ოთხწამიანი უპირატესობა მიიღო.

2004 წლის ჯირო დ'იტალიას ჩემპიონისთვის ეს მარცხი განსაკუთრებით დასანანია, რადგან შვეიცარიის მთებში მან ძალიან კარგი ფორმა აჩვენა. ასეთი გამოსვლა კუნეგოს კარგა ხანია არ უჩვენებია. ბოლო მრავალდღიანი ველორბოლა მან ოთხი წლის წინ მოიგო („ტირენო-ადრიატიკო“), მას შემდეგ კი ერთდღიანი ველომრბოლების სპეციალისტად ჩამოყალიბდა. შვეიცარიაში „ლიამპრეს“ ლიდერი ყველაზე სტაბილური იყო - ორჯერ მეორე და ერთხელ მესამე ადგილი მოიპოვა.

სავარაუდოდ, კუნეგოს დღევანდელი ფორმა საკმარისი არ იქნება ტურ დე ფრანსზე გასამარჯვებლად, მაგრამ ფავორიტებისთვის პრობლემების შექმნა მას შეუძლია. რაც შეეხება ლევი ლაიპჰაიმერს, ბოლო ორი წელია ის ელიტას აღარ განეკუთვნება და საფრანგეთში ფავორიტებს შორის მისი მოხსენიება არ შეიძლება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია შვეიცარიაში ტურ დე ფრანსის ფავორიტების - ძმები **შლეკების** გამოსვლა. ლუქსემბურგელებმა ამ რბოლაში აქცენტი უფროს ძმაზე - **ფრანკზე** გააკეთეს. უმცროსმა **ანდიმ** ძალიან ბევრი წააგო რბოლის პირველ ნაწილში და მხოლოდ მეშვიდე ეტაპზე მეორე ადგილით გამოიჩინა თავი. ფრანკი ბოლომდე ინარჩუნებდა მესამე პოზიციას, მაგრამ განცალკევებით რბოლაში სამი წუთი წააგო და პირველი ექვსეულის მიღმა აღმოჩნდა. ტურ დე ფრანსის დაწყებამდე თითქმის თვე დარჩა და შლეკებს საკმარისი დრო აქვთ ოპტიმალური ფორმის ასაკრეფად.

**საერთო ჩათვლა**

1. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, „რედიოშეკი“) - 31:45.02; 2. **დამიანო კუნეგო** (იტა, „ლიამპრე“) - +0.04; 3. **სტივენ კრეისვიიკი** (ჰოლ, „რაბობანკი“) - +1.02; 4. **იაკობ ფუგლსანგი** (დან, „ლეოპარდი“) - +1.10; 5. **ბაუკე მოლემა** (ჰოლ, „რაბობანკი“) - +2.05; 6. **მიტიას ფრანკი** (შვეიც) - +2.24...







ჰემილტონი და „რედ ბულის“ შეფი კრისტიან ჰორნერი

ფორმულა 1

# ბაზარი 2013 წლისთვის იმუშავებს

დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ კანადის გრანპრის დროს „რედ ბულის“ მოტორჰოუმს სტუმრობდა „მაკლარენის“ პილოტი **ლუის ჰემილტონი**. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ 2013 წლის სეზონისთვის ტოპ-გუნდებში ადგილების დასაკავებლად ბრძოლა დაწყებულია.

რატომ 2013 წლისთვის და არა 2012-სთვის? იმიტომ, რომ საგაისოდ წამყვან გუნდებში თითქმის ყველაფერი გარკვეულია. „მაკლარენი“ შეინარჩუნებს ჰემილტონსა და **ჯენსონ ბატონს;** „ფერარის“ მრავალწლიანი კონტრაქტი აქვს **ფერნანდო ალონსოსთან** და თან იტალიურ გუნდში არაერთხელ უთქვამთ, რომ **ფელიპე მასაც** დარჩება ერთი წლით.

თუ ბრაზილიელი რჩება, ეს იმას ნიშნავს, რომ **მარკ უებერი** კიდევ ერთ წელს გაატარებს „რედ ბულის“ შემადგენლობაში. ავსტრიულ საჯინიბოს აქვს „ტორო როსოდან“ რომელიმე ახალგაზრდას დაწინაურების საშუალება, მაგრამ არც **სებასტიან ბუემი** და არც **ხაიმე ალგერსუარი** ამ შანსის გამოსაყენებლად ჯერ მზად არ არიან.

**ნიკო როსბერგი** და **მიხაელ შუმახერი** წესით „მერსედესში“ უნდა დარჩნენ, რაც შეეხება „ლოტუს-რენოს“, ამ გუნდში ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად სწრაფად აღიდგენს კონდიციებს **რობერტ კუბიცა.**

■ ■ ■

ასე რომ, თუ სიტუაცია 2012 წლის სეზონისთვის საკმაოდ სტატიკურია, 2013 წელს სატრანსფერო ამბები, შესაძლოა, ძალიან საინტერესო გამოვიდეს. იქ იქნება ძალიან ბევრი თავისუფალი აგენტი და პელოტონის სათავეში მყოფი გუნდების შემადგენლობებში სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი.

დღევანდელ სამ ტოპ-გუნდში („რედ ბული“, „მაკლარენი“ და „ფერარი“) მხოლოდ **სებასტიან ფეტელსა** და ფერნანდო ალონსოს აქვთ კონტრაქტები 2013 წლის ბოლომდე. ეს იმას ნიშნავს, რომ „რედ ბულსა“ და „ფერარის“ თითო ვაკანსია აქვთ, „მაკლარენში“ კი ორი ვაკანსია არსებობს. ეს ყველაფერი ძალიან საინტერესო სიტუაციას ქმნის. ყველა ეს ადგილი მეტად მიმზიდველია, ყველაზე საინტერესო კი ის არის, როგორ განვითარდება ჰემილტონისა და ბატონის კარიერა.

ჰემილტონისთვის „ფერარიში“ გადასვლა ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ალონსო ვეტოს დაადებს ბრიტანელთან თანამშრომლობის შესაძლო პერსპექტივას - ამ დუეტს წარუმატებელი პარტნიორობა ჰქონდა 2007 წელს „მაკლარენში“.

ასე რომ, ლუისს მკაფიო არჩევანი აქვს - „მაკლარენში“ კარიერის გაგრძელება ან „რედ ბულში“ გადასვლა. ოღონდ მოქმედმა ჩემპიონმა ფეტელმა უნდა მიიჩნიოს, რომ ჰემილტონი შესაფერისი პარტნიორია მისთვის.

ცხადია, რომ ჰემილტონსა და სხვა გუნდებს შორის არანაირი ფორმალური მოლაპარაკებები ჯერ არ ყოფილა. საბოლოო გადაწყვეტილება იმაზე იქნება დამოკიდებული, ლუისი რომელ გუნდს ჩათვლის იმ კონკრეტულ მომენტში უკეთ მომზადებულად.

მონრეალის რბოლაში ბრიტანელი, შესაძლოა, კმაყოფილი ვერ დარჩენილიყო თავისი „მაკლარენით“, მაგრამ იქვე ბატონმა იგივე მანქანით რბოლა მოიგო. ამის წყალობით, ლუისს შესაძლოა, სხვა თვალით შეეხედა ბრიტანული საჯინიბოს პერსპექტივებისთვის. მართალია, „რედ ბულს“ კვალიფიკაციაში გიგანტური უპირატესობა აქვს, მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლო რბოლებში „მაკლარენი“ უფრო სწრაფია.

თუ ასე გაგრძელდა და ლუისი დარწმუნდა იმაში, რომ „მაკლარენს“ შეუძლია **ედრიან ნიუის** დაამარცხება, სხვაგან გადასვლის საჭიროებაც აღარ იქნება.

ბატონსაც აქვს საინტერესო ვარიანტები. კანადის გრანპრის გამარჯვებული დღეს ტკბება „მაკლარენში“ ყოფნით - მან იპოვნა გუნდი, რომელიც თავად უყვარს და იგივეს გრძნობს საჯინიბოს მხრიდან. მის განკარგულებაშია მანქანა, რომელიც ისეთი ლამაზი გამარჯვებების საშუალებას იძლევა, როგორიც მონრეალში იყო.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჯენსონმა ამ „თბილ“ ადგილზე უარი თქვას და სხვაგან გადასვლაზე იფიქროს. სულაც არ არსებობს იმის გარანტია, რომ „რედ ბულში“ ან „ფერარიში“ ის ისევე კომფორტულად მოეწყოს, როგორც ახლა „მაკლარენშია“.

ბატონი ღიად ამბობს, რომ უნდა კარიერის დარჩენილი ნაწილი „მაკლარენში“ გაატაროს, მაგრამ, შესაძლოა, ცდუნებას ვერ გაუძლოს და „სკუდერიაში“ ამოჰყოს თავი. თუ, რა თქმა უნდა, შესაბამის შეთავაზებას მიიღებს იტალიური მხარისგან.

ერთმნიშვნელოვნად, მას აქვს სისწრაფე, იმიჯი, გარკვეულია ტექნიკაში და პერსონალური თვისებებიც არ დაეწუნება, რაც გაუადვილებს ალონსოსთან თანამშრომლობას. ის კი კარგად არის ცნობილი, რომ ნებისმიერი თავმოყვარე პილოტი მარანელოდან სარფიანი წინადადების მიღების შემთხვევაში თავს ვერ შეიკავებს და იტალიაში გაემგზავრება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი. უიმბლდონის 10 დიდი მატჩი



ვირჯინია უეიდი

# ჯინი უეიდი და უიმბლდონის თასი

ვაგრძელებთ სტატიების ციკლს უიმბლდონის ისტორიის შესახებ. დღეს ბრიტანეთისა და ჰოლანდიის დაპირისპირებაზე მოგიყვებით.

მის უდიდებულესობა **ელიზაბეტ II**-ს ჩოგბურთი არ უყვარს. იმ მომენტიდან, როცა ნორჩი გოგონა დედოფლის სტატუსით დაეშვა სასტუმრო Tree Tops Hotel-ის კიბეებიდან, უიმბლდონის ტურნირის ყველა ფინალი მონარქის სტუმრობის გარეშე მიმდინარეობდა. მაგრამ 1977 წელს ელიზაბეტ II-ს გამონაკლისის დაშვებამ მოუწია.

ჯერ ერთი, მთელ ბრიტანეთში დიდი პომპეზურობით აღინიშნებოდა დედოფლის მმართველობის 25 წლისთავი და მონარქს მდგომარეობა აიძულებდა ყველა მნიშვნელოვან მოვლენას დასწრებოდა. და მეორე: მმართველობის ვერცხლის იუბილე დაემთხვა თავად ტურნირის ასი წლისთავს და ბუნებრივია, ორგანიზატორებს ძალიან უნდოდათ დედოფალი ცენტრალურ კორტზე ეხილათ. და, რა თქმა უნდა, მთავარი - პირველად მრავალი წლის განმავლობაში ფინალში ბრიტანელი ჩოგბურთელი გავიდა. ეს უმთავრესი მიზეზი იყო.

ინგლისელების ბოლო გამოჩენა ფინალში 1969 წლით თარიღდებოდა, როცა **ენ ჰეიდონ-ჯონსმა** თვით **ბილი ჯინ კინგი** დაამარცხა. მამაკაცებს შორის ჩემპიონს კი ბრიტანელები 1936 წლიდან დღემდე ელიან. მაშინ ბრწყინვალე **ფრედ პერიმ** სამშობლოში დატოვა თასი, როცა ფინალში **ვიქტორ კრამი** დაამარცხა. უფრო სწორად, **გოტფრიდ ფონ კრამი** (სხვათა შორის, ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ფონ კრამი **შტირლიცის** ერთ-ერთი პროტოტიპი იყო - საბჭოთა მზვერავმა ასევე კარგად იცოდა ჩოგბურთის თამაში).

მოკლედ, ინგლისი მოუთმენლად ელოდა გამარჯვებას და ინგლისმა ოცნება აისრულა.

საჩოგბურთო საზომით ვირჯინია უეიდი ახალგაზრდა არ იყო. ტურნირის სტარტის მომენტში ის 31 წლის გახლდათ. ეს იყო მისი მე-16 სტარტი უიმბლდონზე და მანამდე ყველა მცდელობა უილბლოდ სრულდებოდა - მაქსიმუმ ნახევარფინალში გასვლა. მრავალი წლის განმავლობაში ვირჯინია მთელი ქვეყნის ერთ-ერთი საყვარელი სპორტსმენი გახდა. გულშემატკივრები და ჟურნალისტები მას უბრალოდ „ჯინის" ეძახდნენ და გულწრფელად წუხდნენ იმის გამო, რომ მათი კერპი ისე ასრულებდა კარიერას, რომ კოლექციაში საოცნებო ტიტული არ ჰქონდა. არადა, მის უეიდი ბრწყინვალე ჩოგბურთელი იყო. ის ჩოგბურთის ისტორიაშია შესული - „ღია ერაში" პირველი ტურნირი მოიგო (ბორნმუთში). იმავე წელს ამერიკის ღია პირველობის ფინალში გაანადგურა ბილი ჯინ კინგი, ოთხი წლის შემდეგ კი მელბურნში გაანბილა კორტის კიდევ ერთი მასპინძელი - **ივონ გულაგონგი**.

მეთექვსმეტე ცდა ჯინისთვის წარმატებით დაიწყო. ის ერთიმეორის მიყოლებით ამარცხებდა კონკურენტებს ისე, რომ მათ სეტსაც არ უთმობდა. ხასიათის გამოვლენა მას მეოთხე წრეში დასჭირდა, სადაც **მარიანა სიმიონესკუსთან** 16-გეიმიანი პირველი სეტი წააგო. და, რა თქმა უნდა, ტურნირზე თავისი საუკეთესო ჩოგბურთი უეიდმა ნახევარფინალში აჩვენა, სადაც დაძაბულ ბრძოლაში აჯობა მოქმედ ჩემპიონს. **კრის ევერტი** ცხრა წლით ახალგაზრდა და გაცილებით ნიჭიერი იყო, მაგრამ სეტების გაცვლის შემდეგ გადამწყვეტ პარტიაში სასტიკი დარტყმა მიიღო - 1:6. ქვეყანას სენსაციის მოლოდინში სუნთქვა შეეკრა - მოსალოდნელი იყო ბრიტანული ფინალი. მოსალოდნელი იყო, მაგრამ არ შედგა - მეორე ნახევარფინალში **სიუ ბარკერმა** ვერაფერი მოუხერხა ჰოლანდიელ **ბეტი სტოუვს**, რომელიც საჩოგბურთო სამყაროში უფრო წყვილთა თანრიგში მიღწეული წარმატებებით იყო ცნობილი.

ფინალის წინ ვირჯინიამ იმიჯის რადიკალურად შეცვლა გადაწყვიტა. მრავალი წელი ჯინი იოლად საცნობი იყო უკან შეკრული თმებით, ამჯერად კი მან მოდური ვარცხნილობა გაიკეთა. სტოუვის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გარკვეული უპირატესობა ჰქონდა. ის უიმბლდონის პირველი ჰოლანდიელი ფინალისტი გახლდათ და ეს უკვე დიდ წარმატებად მიიჩნეოდა. მასზე სულაც არ ლოცულობდა მთელი ჰოლანდია - ამ ქვეყანაში 70-იან წლებში სულ სხვა სპორტული კერპები არსებობდნენ და მათ ჩოგბურთთან არანაირი კავშირი არ ჰქონდათ.

თამაშის ხარისხის მიხედვით ეს ფინალი არ იმსახურებდა ამ სტატიების ციკლში მოხვედრას. ორივე ჩოგბურთელი ნერვიულ და არასტაბილურ თამაშს აჩვენებდა. მაგალითად, სტოუვმა მთელი მატჩის განმავლობაში ცხრა ორმაგი შეცდომა დაუშვა, თუმცა პირველი სეტი მას დარჩა. ჰოლანდიელი კარგად გადიოდა ბადესთან და ჰაერიდან წარმატებით თამაშობდა. უეიდის შემოვლით დარტყმებს ან სტოუვი იგერიებდა ან ბურთი აუტში მიდიოდა.

მეორე სეტში ვირჯინია ნერვებს გაუმკლავდა. მეტოქის პირველი გეიმის აღების შემდეგ ანგარიშში წაიყვანა, თუმცა შემდეგ ზედიზედ ორი გეიმის წაგება მოახერხა. 3:3-ზე ინგლისელმა შეინარჩუნა საკუთარი მოწოდება, შემდეგ კი ნერვებმა მეტოქეს უმტყუნეს. რამდენიმე ორმაგი შეცდომა და ვირჯინიამ ბრეიკი გააკეთა. დაძაბული მეცხრე გეიმი ასევე უეიდს დარჩა. სეტებში ანგარიში გათანაბრდა.

გადამწყვეტი სეტი უეიდმა თითქმის უშეცდომოდ ჩაატარა. მან ბრეიკით დაიწყო, შემდეგ კი მეორე გეიმში საკუთარი მოწოდება შეინარჩუნა. ჰოლანდიელი ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ მისი მეტოქე გამარჯვებისკენ მიდიოდა. მორიგმა ორმაგმა შეცდომამ (მეცხრემ და ბოლომ მატჩში) მის ყველა მცდელობას ხაზი გადაუსვა. სტოუვი ცდილობდა - შემდეგი გეიმი ბრძოლაში წააგო. მეხუთეში უეიდს სამმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ჰოლანდიელმა ზედიზედ ხუთი გათამაშება მოიგო და პირველი გეიმი აიღო სეტში. თუმცა ეს მისი ბოლო წარმატება აღმოჩნდა. მეექვსე გეიმი ვირჯინიამ „მშრალი" ანგარიშით მოიგო, მეშვიდეში სტოუვის ბადესთან ორი გასვლა შეცდომით დასრულდა. ინგლისელმა ორმაგი მატჩბოლი მიიღო. პირველი სტოუვმა მარცხნიდან შესანიშნავი კროსით მოიგერია, მეორე შემთხვევაში კი ჰოლანდიელმა ისევ ბადეს გაარტყა ბურთი. ამით მატჩი დასრულდა.

30 წლის შემდეგ, „გარდიანისთვის" მიცემულ ინტერვიუში უეიდმა აღიარა, რომ ერთი სიტყვაც ვერ დაიმახსოვრა დედოფლის სიტყვებიდან, რომელმაც ჩოგბურთელს თასი გადასცა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ცენტრალური კორტის ტრიბუნებზე საშინელი ხმაური იყო. მაგრამ ეს არ იყო მთავარი. სპორტულ გამარჯვებებს მონატრებულმა ქვეყანამ ახალი გმირი მიიღო.

1977 წლის უიმბლდონი ორივე ჩოგბურთელისთვის „გედის სიმღერა" აღმოჩნდა. უეიდი ბრიტანეთში წლის სპორტსმენად აღიარეს. სტოუვმა ამ უიმბლდონზე კიდევ ორი ფინალი ითამაშა და ისევ დამარცხდა - წყვილებში **მარტინა ნავრატილოვასთან** ერთად, მიქსტში - **ფრიუ მაკმილანთან**. ისიც ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად გამოცხადდა. მომდევნო წელს ვირჯინია ასევე კარგად გამოვიდა უიმბლდონზე, მაგრამ ამჯერად ნახევარფინალში უფრო ძლიერი კრის ევერტი აღმოჩნდა.

1986 წელს, კარიერის დასრულებიდან ერთი წლის თავზე ვირჯინია უეიდმა ბრიტანეთის იმპერიის ორდენი მიიღო, სამი წლის შემდეგ კი ჩოგბურთის საერთაშორისო დიდების დარბაზში შეიყვანეს. ჯინი ზედიზედ 24 წელი გამოდიოდა უიმბლდონზე, რაც ტურნირის აბსოლუტური რეკორდია. ერთით ჩამორჩა მას მარტინა ნავრატილოვა.

ტრიუმფის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში ვირჯინიამ ხუმრობით თქვა - *„იმედია, აღარ მოგვიწევს ბრიტანელი ჩოგბურთელის მორიგ გამარჯვებამდე რვა წელი ლოდინი!"* ხუმრობა მწარე სიმართლე აღმოჩნდა. მას შემდეგ 33 წელია ბრიტანელებს ფინალამდეც არ მიუღწევიათ.

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| მს. ჩემპიონატი | |
| UNDER 17 | |
| გერმანია-ეკვადორი | 6:1 |
| ბრაზილია-დანია | 3:0 |
| ამხანაგური მატჩები | |
| ჩილე-ესტონეთი | 4:0 |
| შვედეთი | |
| იურგორდენი-სირიანსკა | 3:0 |
| მალმიო-კალმარი | 2:0 |
| II დივიზიონი | |
| ლანდსკრონა-ატვიდაბერგი | 3:2 |
| ფინეთი | |
| ინტერი-იუვიასკიულა | 2:0 |
| II დივიზიონი | |
| ესპოო-პკ 35 | 2:1 |
| ირლანდია | |
| ბრეი-ბოჰემიანსი | 1:2 |
| ისლანდიის თასი | |
| ტორი-ვიკინგური | 3:1 |
| ფიოლნირი-ჰამარი | 3:2 |
| ჰაუკარი-კეფლავიკი | 1:3 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| ევრობასკეტი 2011 | |
| ქალები | |
| სლოვაკეთი-ლიტვა | 57:46 |
| თურქეთი-რუსეთი | 65:80 |
| ბრიტანეთი-ისრაელი | 74:51 |
| ჩეხეთი-ბელარუსი | 67:62 |
| გერმანია-ჩერნოგორია | 64:76 |
| პოლონეთი-ესპანეთი | 63:78 |
| ხორვატია-ლატვია | 61:67 |
| საფრანგეთი-საბერძნეთი | 64:55 |

● TV პროგრამა

**21 ივნისი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** არგენტინის ჩემპიონატი.ველეს სარსფილდი-რასინგი.
**12:00** ჩემპიონის გზა. ინგლისის ჩემპიონატი. უიგანი-მანჩესტერ იუნ.
**14:00** ჩემპიონის გზა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ალკმაარი.
**16:00** ჩოგბურთი. „დიდი სლემი". უიმბლდონი. II დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**23:30** ტელეჟურნალი - მსოფლიო ფეხბურთი.
**00:00** სეზონის შეჯამება. იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე.
**01:00** ჩემპიონის გზა. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-მილანი.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-გრემიო.
**11:50** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატის მიმოხილვა.
**12:20** რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-ირლანდია.
**14:00** ჩოგბურთი. უიმბლდონის მიმოხილვა.
**15:00** ჩოგბურთი. „დიდი სლემი". უიმბლდონი. II დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**14:55** ჩოგბურთი. უიმბლდონი. II დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**14:55** უიმბლდონი. II დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**20:00** WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ჩიკაგო (LIVE).
**03:00** WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ინდიანა (LIVE).

**EUROSPORT**

**00:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ჩრ. კორეა-ჰოლანდია. მექსიკა (LIVE).

**EUROSPORT-2**

**00:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. იაპონია-საფრანგეთი. მექსიკა (LIVE).

● ჰოკეი

# ლიდსტრიომი დარჩა



ნიკლას ლიდსტრიომი

ლეგენდარულმა შვედმა მცველმა **ნიკლას ლიდსტრიომმა** კარიერის გაგრძელება გადაწყვიტა. „დეტროიტ რედ უინგზის" კაპიტნის კონტრაქტი ამოიწურა, მაგრამ პლეი ოფში წაგებიდან ერთი თვის თავზე 41 წლის ლიდსტრიომმა განაცხადა, რომ ხელშეკრულების ერთი წლით გახანგრძლივების სურვილი აქვს. მან ამის შესახებ უკვე აცნობა კლუბის ხელმძღვანელობას.

ახალი კონტრაქტი ჯერ გაფორმებული არ არის, მაგრამ ეს მხოლოდ დროის საკითხია, რადგან „დეტროიტის" ხელმძღვანელობა ოცნებობდა ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მცველთან თანამშრომლობის გახანგრძლივების შესახებ.

გასულ სეზონში ლიდსტრიომმა რეგულარულ ჩემპიონატში 82 მატჩი ჩაატარა და 62 ქულა დააგროვა.

ასე რომ, ლიგამ შეინარჩუნა ერთი სახელოვანი ვეტერანი. სამაგიეროდ, „ბოსტონ ბრუინზის" ფორვარდი **მარკ რეკი** სტენლის თასის მფლობელის რანგში ასრულებს კარიერას, ხოლო „ანაჰაიმ დაქსის" ლეგენდარულ ფორვარდს **ტეემუ სელიანეს** ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

● ცურვა

# ფელპსს რვა ოქრო აღარ უნდა



მაიკლ ფელპსი

თოთხმეტგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მაიკლ ფელპსმა** მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზე რამდენიმე დისტანციის გამოტოვება გადაწყვიტა. ეს იმას ნიშნავს, რომ ლეგენდარული ამერიკელი შანხაიში არ ეცდება ოქროს რვა მედლის მოპოვებას. იგივე მოხდება გაისად ლონდონის თამაშებზე.

*„რა თქმა უნდა, ყველა დისციპლინაში გამოსვლას არ ვაპირებ. ზუსტად არ ვიცი, რამდენი ოქროსთვის ვიბრძოლებ, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა, რომ 400 მეტრზე კომპლექსურში არ გავცურავ. ეს დისციპლინა აღარ მაინტერესებს. გარდა ამისა, შანხაიში და ლონდონის ოლიმპიადაზე, შესაძლოა, კიდევ რამდენიმე სახეობაზე ვთქვა უარი. საბოლოო გადაწყვეტილებას მოგვიანებით მივიღებ"*, - განაცხადა მაიკლ ფელპსმა, რომელიც გასულ უქმეებზე სანტა კლარაში გამართულ ტურნირზე გამოდიოდა.

ამერიკელმა მოიგო გაცურვა 200 მეტზე გულაღმა ცურვაში. მისი დრო იყო წუთი და 57,05 წამი, ფელპსის უახლოესმა მდევარმა, ავსტრალიელმა **მიტჩელ ლერკინმა** კი გამარჯვებულთან სამ წამზე მეტი წააგო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდური ვენუსი ფორმაშია

**ნარმატებით** დაიწყო ტიტულის დაცვა ესპანელმა **რაფაელ ნადალმა.** ამერიკელ **მაიკლ რასელთან** მატჩში მსოფლიოს პირველ ჩოგანს მხოლოდ პირველ სეტში გაუჭირდა. რასელმა მოულოდნელად ბრეიკი გააკეთა და 4:2 დაწინაურდა. ნადალი დროზე მოეგო გონს - ზედიზედ ექვსი გეიმი აიღო, რითაც პირველი სეტი 6:4 მოიგო და მეორეში 2:0 დაწინაურდა. მეორე სეტში ნადალის ანგარიშზე სამი ბრეიკი იყო, მესამეში - ორი.

შემდეგ წრეში რაფაელი კიდევ ერთ ამერიკელ **რაიან სვიტინგს** შეხვდება, მესამე რაუნდში კი მისი სავარაუდო მეტოქე უნდა იყოს კანადელი **მილოშ რაონიჩი,** რომელმაც გუშინ შესანიშნავი თამაში აჩვენა ფრანგი **მარკ ჟიკელის** წინააღმდეგ. რაონიჩმა 25 ეისი ჩააწოდა და ამასთან, არც ერთი ორმაგი შეცდომა არ დაუშვია. შედეგად, მილოშმა საათსა და 36 წუთში 6:3, 7:6, 6:3 მოუგო ვეტერან ჟიკელს.

ფინალში ნადალის შარშანდელმა მეტოქემ კიდევ უფრო იოლად გაიარა იტალიელი **ფილიპო ვოლანდრის** ბარიერი. აპენინელმა სამ სეტში ჯამში მხოლოდ ხუთი გეიმის აღება შეძლო. ჩეხმა თითო პარტიაში ორ-ორი ბრეიკი აიღო, ჯამში 32 „ვინერსი" დააგროვა და 13 მატჩიდან მეთორმეტედ დაამარცხა იტალიელი.

გუშინდელი დღის სრულფასოვნად ჩატარება არ მოხერხდა - წვიმის გამო გადაიდო 31 მატჩი, აქედან 16 შეხვედრა მიმდინარეობდა, 15 კი ჯერ დაწყებულიც არ იყო. გვიან ერთადერთი მატჩი გაიმართა - მოძრავი სახურავით გადახურულ ცენტრალურ კორტზე ბრიტანელი **ენდი მიურეი** და ესპანელი **დანიელ ხიმენო-ტრავერო** არკვევდნენ ურთიერთობას. მასპინძელთა მთავარმა იმედმა ოდნავ ანერვიულა გულშემატკივარი, როცა პირველი სეტი 4:6 წააგო, მაგრამ შემდეგი პარტია 6:3 მოიგო, მესამეში და მეოთხეში კი ერთნაირი ანგარიშით - 6:0 გაიმარჯვა.

სინოპტიკოსების პროგნოზით, დღეს უიმბლდონზე მშრალი და თბილი ამინდია მოსალოდნელი.

■ ■ ■

ქალებს შორის გუშინ გაცილებით საინტერესო ბრძოლები ვიხილეთ და ამიტომაც მათ ბატალიებზე უფრო მეტხანს შევჩერდებით.

პირველი ქალი ჩოგბურთელი, ვინც მეორე წრეში გავიდა, 40 წლის იაპონელი ვეტერანი **კიმიკო დატე** იყო. მან თითქმის უპრობლემოდ დაამარცხა ბრიტანელი **კეტი ო'ბრაიენი** - 6:0, 7:5.

საგულისხმოა ერთი მომენტი - დატემ 15-წლიანი (!) შესვენების შემდეგ მოიგო უიმბლდონზე მატჩი. 1996 წელს მან მეოთხედფინალში დაამარცხა ფრანგი **მარი პირსი,** ნახევარფინალში კი ლეგენდარულ გერმანელ **შტეფი გრაფს** შეხვდა და სამსეტიან ბრძოლაში წააგო ფინალში გასასვლელი შეხვედრა - 2:6, 6:2, 3:6.

*„რა თქმა უნდა, მახსოვს 1996 წელი, როცა ცენტრალურ კორტზე შტეფი გრაფს ვხვდებოდი. მატჩი ორ დღეს გაიწელა, რადგან სიბნელის გამო არ მოხერხდა შეხვედრის დასრულება. ის მატჩი არასოდეს დამავიწყდება. 15 წლის შემდეგ ისევ მოვიგე უიმბლდონზე და ესეც დასამახსოვრებელი მომენტი იქნება ჩემთვის"*, - განაცხადა გუშინდელი მატჩის შემდეგ იაპონელმა.

40 წლისა და ცხრა თვის დატე ხანდაზმულობით მესამე მოთამაშეა, ვინც უიმბლდონზე მატჩი მოიგო. აბსოლუტური რეკორდის დამხობა მას არ გამოუვა, რადგან ლეგენდარულ ამერიკელ **მარტინა ნავარატილოვას** უიმბლდონზე 47 წლის ასაკში აქვს მოგებული შეხვედრა.

შემდეგ წრეში კიმიკო **ვენუს უილიამსს** შეხვდება. ეს ამ ჩოგბურთელების პირველი დაპირისპირება იქნება.

ამერიკელმა ყოველგვარი გართულების გარეშე დაამარცხა უზბეკი **აკგულ ამანმურადოვა.** უფროსმა უილიამსმა მეტოქისთვის მხოლოდ ოთხი გეიმი გაიმეტა. მეორე კორტზე გამართული მატჩი 59 წუთი გაგრძელდა. ვენუსმა ოთხი ეისი ჩააწოდა და მხოლოდ ხუთი უნებლიე შეცდომა დაუშვა, თანაც ყველა პირველ სეტში.

დღის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი იყო როლან გაროსის შარშანდელი ჩემპიონის **ფრანჩესკა სკიავონესა** და ავსტრალიელი **ელენა დოკიჩის** დუელი. ამ უკანასკნელს 2000 წელს უიმბლდონის ნახევარფინალში აქვს ნათამაშები, თუმცა ლონდონის კორტებზე 2003 წლის შემდეგ არ გაემარჯვა. ნავსი მან ვერც ამჯერად გატეხა, არადა, უიმბლდონს კარგ ფორმაში შეხვდა, რისი დამადასტურებელიცაა გასულ კვირას ჰერტოგენბოშის ტურნირის ფინალში გასვლა.

ბრძოლა ორ საათსა და 5 წუთს გაგრძელდა. მესამე სეტში სკიავონემ გადამწყვეტი ბრეიკი 4:3-ზე გააკეთა, თუმცა დოკიჩმა ნაადრევად დანებება არ ისურვა და მომდევნო გეიმში ოთხი ბრეიკ-პოინტი მიიღო, თუმცა ფრანჩესკამ ოთხივე მოიგერია და მაინც შეძლო მატჩზე ჩაწოდება.

აღსანიშნავია, რომ სკიავონეს აქამდე სამიდან სამი მატჩი ჰქონდა წაგებული დოკიჩთან.

არც ისე დამაჯერებელი სტარტი გამოუვიდა შარშანდელ ფინალისტს **ვერა ზვონარევას.** მეორე ნომრად განთესილმა რუსმა ერთი სეტი დათმო მსოფლიოს 115-ე ნომერ **ალისონ რისკესთან.** 20 წლის ამერიკელი მესამე პარტიაშიც კარგა ხანი ებრძოდა ფავორიტს, მაგრამ 3:4-ზე საკუთარი მოწოდება დათმო, შემდეგ კი ზვონარევამ მატჩზე „მშრალი" ანგარიშით ჩააწოდა.

ასევე სეტი წააგო კიდევ ერთმა რუსმა ფავორიტმა **სვეტლანა კუზნეცოვამ,** არადა, მასაც არ ჰყოლია ერთი შეხედვით რთული მეტოქე. მსოფლიოს 83-ე ჩოგანმა **შუაი ჟანგმა** პარტიებში ანგარიში წაიყვანა, მაგრამ მომდევნო ორ სეტში კუზნეცოვამ ორჯერ წაიყვანა ანგარიში - 3:0 და შემდეგ უპრობლემოდ მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე.


მიურეის დედამ და შეყვარებულმა პირველ სეტში ინერვიულეს

### კაცები

#### I წრე

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-მაიკლ რასელი (აშშ) 6:4, 6:2, 6:2; **რაიან სვიტინგი (აშშ)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 3:6, 4:6, 6:1, 7:6(1), 6:1; **ჟილ მიულერი (ლუქ)**-ტომი ჰაასი (გერ) 7:6(5), 7:6(3), 3:6, 6:3; **მილან რაონიჩი (კან, 31)**-მარკ ჟიკელი (საფ) 6:3, 7:6(3), 6:3; **დუდი სელა (ისრ)**-ფრედერიკო ჟილი (პორ) 6:4, 6:1, 6:4; **მარდი ფიში (აშშ, 10)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 7:6(3), 7:6(5), 6:4; **დენის ისტომინი (უზბ)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 4:6, 6:3, 6:3, 6:3; **ალექს ბოგომოლოვი (აშშ)**-დონალდ იანგი (აშშ) 7:5, 4:6, 6:3, 6:1; **ჟულიან ბენეტო (საფ)**-რუბენ ბემელმანსი (ბელ) 6:4, 6:2, 3:6, 4:6, 6:1; **ტომას ბერდიხი (ჩეხ, 6)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:2, 6:2, 6:1; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-დანიელ ხიმენო ტრავერო (ესპ) 4:6, 6:3, 6:0, 6:0; **რიშარ გასკე (საფ, 17)**-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 7:5, 6:3, 7:6; **იგორ კუნიცინი (რუს)**-იგორ სისლინგი (ჰოლ) 6:3, 6:4, 6:2; **სიმონე ბოლელი (იტა)**-მარტინ ფიშერი (ავსტრია) 7:5, 6:4, 6:4; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 14)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 6:3, 6:4, 6:4; **გაელ მონფილსი (საფ, 9)**-მატიას ბახინგერი (გერ) 6:4, 7:6, 6:3; **გრეგა ჟემლია (სლოვენ)**-ლუკაშ ლაჩკო (სლოვაკ) 6:4, 3:6, 7:6, 6:4; **რაინერ შუტლერი (გერ)**-ტომაშ ბელუჩი (ბრა, 30) 7:6, 6:4, 6:2; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-მიხაელ ბერერი (გერ) 6:4, 7:5, 6:3.

### ქალები

#### I წრე

**ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 6)**-ელენა დოკიჩი (ავსტრა) 6:4, 1:6, 6:3; **კრსიტინა მაკჰეილი (აშშ)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს, 28) 2:6, 6:1, 8:6; **ქსენია პერვაკი (რუს)**-შაარ პეერი (ისრ, 22) 5:7, 6:4, 6:4; **პოლინ პარმენტიე (საფ)**-სორანა კირსტეა (რუმ) 6:1, 6:3; **სარა ერანი (იტა)**-კაია კანეპი (იტა, 17) 6:1, 6:4; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 19)**-ვარვარა ლეპჩენკო (აშშ) 7:5, 6:3; **ანა ტატიშვილი (საქ)**-ანასტასია პივოვაროვა (რუს) 3:6, 6:2, 6:3; **ალექსანდრა დულგერუ (რუმ)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:2, 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 12)**-შუაი პენგი (ჩინ) 3:6, 6:3, 6:4; **მონაკა ნიკულესკუ (რუმ)**-სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:1, 6:1; **კიმიკო დატე (იაპ)**-კეტი ო'ბრაიენი (ბრიტ) 6:0, 7:5; **ვენუს უილიამსი (აშშ, 23)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 6:3, 6:1; **ელენა ვესნინა (რუს)**-ლაურა პოუს ტიო (ესპ) 6:4, 6:3; **ვერა ზვონარევა (რუს, 2)**-ელისონ რისკე (აშშ) 6:0, 3:6, 6:3.

გია თვალაბეიშვილი


სანამ წვიმა გადაივლის


გულშემატკივრები წვიმის დროს ერთობიან


ვენუსის ორიგინალური კაბა